CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი 18 დეკემბერი, 2009 წელი. №276 (2314) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

ნატო-რუსეთის ურთიერთობა კვლავ მძიმედ ვითარდება

A7

სანამ გავიღიმებთ და სანამ ჩიტი გამოფრინდება, გონზაგოს მკვლელობას უნდა დავესწროთ

A9

გაერთიანებული ტელეკომი

„გაერთიანებული ტელეკომის" საახალწლო აქცია - ინტერნეტის უფასო ინსტალაცია ერთი თვის განმავლობაში

A4

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

FREE INDUSTRIAL ZONE RAKIA GEORGIA

HYUNDAI

მე აქ დიდი ხნით ვარ...

ინტერვიუ განათლების ახალ მინისტრთან დიმიტრი შაშკინთან

სოფიკო ჩხაიძე

ხანრა ჯიბლიანელის ფოტო

დიმიტრი შაშკინი, "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, მეოთხე განათლების მინისტრია. რეფორმაში, რომელსაც ყველაზე მეტი კრიტიკაც ერგო და ყველაზე მეტი მოწონებაც, ის კარდინალურ ცვლილებებს გეგმავს.

- არ მახსოვს, მინისტრის პოსტიდან წასულს ისეთი ბედნიერი სახე ჰქონოდეს, როგორიც ბოლო ორ განათლების მინისტრს - გია ნოდიასა და ნიკა გვარამიას ჰქონდათ. თქვენც ფიქრობთ, რომ ძალიან რთულ საქმეს შეეჭიდეთ?

- ეს სფერო ჩვენი ქვეყნისთვის სტრატეგიულია. არ გვაქვს ნავთობი, გაზი; რაც გვაქვს, ეს არის ჩვენი ინტელექტუალური რესურსი. აქედან გამომდინარე, განათლება არის ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო. თვითონ სფერო არის ძალიან დიდი, მარტო სკოლაა 2462, აქედან 2179 - საჯარო. გარდა ამისა - 624 560 მოსწავლე და 79 866 მასწავლებელი. ამხელა რესურსების, ამხელა სფეროს მართვა მართლაც ურთულესია. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია:

გაგრძელება A12 გვერდზე

სახიფათო "შავი" პიარი

ვერიკო თევზაძე

ქართველ პოლიტიკოსთა აზრით, "შავი პიარი" წინასაარჩევნო პერიოდში ჩვეულებრივი მოვლენაა. ისინი იმედოვნებენ, რომ მტყუნ-მართალს გაარკვევს საზოგადოება, რომელიც მოვალეა, ამ დროს განსაკუთრებული პასუხისგებლობა გამოიჩინოს. "24 საათის" რესპონდენტთა გარკვეული ნაწილი კი მიიჩნევს, რომ პროცესი უპირველესად ჟურნალისტის პროფესიულმა ეთიკამ უნდა დაარეგულიროს და, შესაბამისად, მედიასაშუალებებს ეთიკური ნორმების მკაცრად დაცვისკენ მოუწოდებენ.

ბოლო დღეებში ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი ალასანიას შესახებ "რეალ ტვ"-ის მიერ მომზადებული უარყოფითი ხასიათის რამდენიმე სატელევიზიო სიუჟეტი გადაიცა. ამას ისიც მოჰყვა, რომ იმავე ტელევიზიის ჟურნალისტმა ალასანიას გუნდის წევრის, ყოფილი სახალო დამცველის სოზარ სუბარისგან მოითხოვა, კამერის წინაშე ეჩვენებინა, ეკეთა თუ არა გულზე ჯვარი.

საპარლამენტო ოპოზიციის წევრი, "ქრისტიან-დემოკრატი" ლევან ვეფხვაძე მიიჩნევს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში "შავი" პიარის შექმნა არავის უნდა უკვირდეს. როგორ მოიქცეოდა თავად ვეფხვაძე ალასანიას ადგილზე? "24 საათს" საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელმა განუცხადა, რომ იგი თავის მართლებაზე დროს არ დაკარგავდა: **"ასეთ შემთხვევაში ოპონენტს რომ უპასუხო და თავის მართლება დაიწყო, შენი სალაპარაკო დროის 90 პროცენტს გაფლანგავ. მე ყოველთვის ვცდილობ, დრო ჩემს სათქმელს მოვახმარო, საკუთარ საქმიანობაზე ვილაპარაკო და არა ოპონენტების ბრალდებების გასაბათილებლად."**

ვეფხვაძე საკითხს სხვადასხვა რაკურსით განიხილავს. მისი შეფასებით, ოპოზიციონერი ირაკლი ალასანია არც თუ დიდი ხნის წინათ სააკაშვილის ხელისუფლებას წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, ლევან ვეფხვაძის აზრით, თუკი ალასანიას ბიოგრაფიაში იყო შავი ლაქები, ხელისუფლებას ამაზე რეაგირება თავის დროზე უნდა მოეხდინა - როცა ირაკლი ალასანიას აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ნიშნავდა ან გაერთიანებული ერების ოგანიზაციაში ელჩად გზავნიდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

კოკოითმა ჰამარბერგი ხელცარიელი გამოუშვა

გუშინ ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი თომას ჰამარბერგი ცხინვალში კიდევ ერთხელ შეეცადა დაპატიმრებული ორი მოზარდის გათავისუფლებას. ჰამარბერგი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, დაახლოებით, 13:00 საათზე შევიდა. მართალია, ევროკომისარმა ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლამდე ივარაუდა, რომ სოფელ ტირძნისელ არასრულწლოვნებს 17 დეკემბერს არ გაათავისუფლებდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, დაპატიმრებული ვიქტორ ბუჩუკურისა და ლევან ხმიადაშვილის ოჯახის წევრები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და პარლამენტარი გია თორთლაძე ჰამარბერგის ცხინვალიდან დაბრუნებას ერგნეთის საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან ელოდებოდნენ.

თომას ჰამარბერგმა ცხინვალის რეჟიმის ლიდერ ედუარდ კოკოითთან მოლაპარაკება გამართა. როგორც პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში კოკოითის წარმომადგენლის მოადგილემ მერაბ ჩიგოევმა განაცხადა, მათ 4 ნოემბერს დაპატიმრებული საქართველოს მოქალაქეების გათავისუფლების შესახებ ისაუბრეს. კოკოითთან რამდენიმესაათიანი მოლაპარაკებების შემდეგ ჰამარბერგი კვლავ თბილისში დაბრუნდა. ადმინისტრაციულ საზღვარზე გადმოსულმა ევროკომისარმა შეხვედრის დეტალები საიდუმლოდ დატოვა. **"მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ მოლაპარაკებები გრძელდება, მე ამ საქმეს არ ვეშვები, ამ ეტაპზე დეტალების გახმაურების უფლება არ მაქვს. 18 დეკემბერს ცხინვალში აღარ ჩამოვალ, მომდევნო ვიზიტის თარიღიც კი დასადგენია,"** - განაცხადა ჰამარბერგმა. ვიდრე მომავალი შეხვედრის თარიღი გაირკვევა, ჰამარბერგი მოზარდების გათავისუფლების საკითხზე დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ტელეფონით გამართავს კონსულტაციებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

CMYK - 1

სოხუმი დახმარებას რუსეთს სთხოვს

სოხუმის რეჟიმმა სოხუმის სანაპიროსთან ნავთობპროდუქტებით დატვირთული ტანკერის კატასტროფის შედეგების აღმოფხვრაში დახმარება რუსეთს სთხოვა. ამის შესახებ "აპსნი.რუს" ინფორმაციაზე დაყრდნობით "ინტერპრესნიუსი" იუწყება.

აფხაზმა კოლეგებმა რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს ტანკერიდან და წყლიდან ნავთობის ამოსატუმბი ტექნიკით დახმარება სთხოვეს.

აფხაზეთის საგანგები სიტუაციების დე ფაქტო სამმართველოს უფროსის ლევ კვიცინიას ინფორმაციით, აფხაზეთში შესაბამისი ტექნიკა არ არის და სამუშაოების დასაწყებად ტექნიკასა და სპეციალისტებს რუსეთიდან ელოდებიან. მისივე თქმით, მსგავსი შემთხვევა აფხაზეთში არასოდეს მომხდარა და აფხაზეთის საგანეგბო სიტუაციების სამსახურს ამგვარი სამუშაოების ჩატარების გამოცდილება არ აქვს. კვიცინიას განცხადებით, რუსული მხარე აფხაზ კოლეგებს დახმარებას დაჰპირდა.

აფხაზეთის ეკოლოგიური დე ფაქტო სამსახურის უფროსის რომან დბარის შეფასებით, ნავთობის გაჟონვამ შესაძლოა, ზღვის ეკოლოგიას სერიოზული ზიანი მიაყენოს. მისი ინფორმაციით, ზღვაში 2 ტონა საწვავია გაჟონილი. გაჟონვა კატასტროფის დღიდან - 14 დეკემბრიდან გრძელდება, თუმცა სერიოზული შედეგები მხოლოდ გუშინ გახდა შესამჩნევი. დბარი ასევე აღნიშნავს, რომ ტანკერზე მოთავსებული ბენზინი ჯერ ზღვაში არ ჩაღვრილა, რადგან კონტეინერები დაზიანებული არ არის.

თურქულ ტანკერს, რომელიც ძლიერი შტორმის შედეგად ზღვამ სოხუმის სანაპიროსთან ახლოს გამორიყა, აფხაზეთში 100 ტონა ბენზინი შეჰქონდა.

სოხუმის რეჟიმი ნაურუში საელჩოს გახსნას არ აპირებს

სოხუმის რეჟიმი ნაურუში საელჩოს გახსნას არ აპირებს. ამის შესახებ გაზეთ "კომერსანტს" ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ განუცხადა.

შამბას განმარტებით, აფხაზეთს არ აქვს იმის რესურსი, რომ საელჩო გახსნას ნაურუს რესპუბლიკაში, რომელმაც აფხაზეთის დამოუკიდებლობა სამი დღის წინ აღიარა. მისივე განმარტებით, აფხაზეთს ნაურუსთან კონტაქტი რუსეთის დახმარებით ექნება, - იუწყება "ინტერპრესნიუსი".

"რუსეთს ჰყავს ელჩი ავსტრალიაში, რომელიც ასევე ამ რეგიონსაც ფარავს," - განაცხადა შამბამ.

ნაურუს რესპუბლიკის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ ნაურუს საგარეო საქმეთა, ვაჭრობისა და ფინანსთა მინისტრმა კირენ კეკემ 15 დეკემბერს სოხუმში ყოფნისას განაცხადა. უკვე გაფორმდა სოხუმის რეჟიმსა და ნაურუს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ შეთანხმება.



მამასახლისების ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

სანდრო ვაგანის ძე მამასახლისი

პანაშვიდი: 18, 19 დეკემბერს 16 სთ. მისამართი: ცოტნე დადიანის 87, პირველი სადარბაზო, მეშვიდე სართ.

გამოსვენება: წმინდა ბარბარეს ეკლესიიდან კვირას, 20 დეკემბერს, 14 სთ. მისამართი: თორნიკე ერისთავის 2 (კინოთეატრ "საქართველოსთან").

"24 საათის" რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გაზეთის ერთ-ერთი აქტიური და გამორჩეული ავტორი, ცნობილი ჟურნალისტი

სანდრო მამასახლისი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სახიფათო "შავი" პიარი

პირველი გვერდიდან

თავად ალასანიას გუნდი სატელევიზიო სიუჟეტს არ ეხმიანება. **"რა რეაგირება უნდა მოვახდინოთ ხელისუფლების მიერ მართვადი ტელევიზიის მიერ მომზადებულ სიუჟეტზე? მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება - ხელისუფლება სასოწარკვეთილებაში, აგონიაში იმყოფება,"** - განუცხადა "24 საათს" ირაკლი ალასანიას გუნდის წევრმა ზურაბ აბაშიძემ.

სოციოლოგ იაგო კაჭკაჭიშვილის აზრით, როცა კონკრეტული პირის ან ჯგუფის წინააღმდეგ მიმართული "შავი" პიარი რაიმე ტიპის კანონდარღვევას არ შეიცავს, უნდა ამოქმედდეს მედიის თვითრეგულირების მექანიზმი ანუ პროცესი ჟურნალისტის პროფესიულმა ეთიკამ უნდა დაარეგულიროს.

"მართალია, ამ შემთხვევაში ჟურნალისტს სასამართლოს მხრიდან პასუხისმგებლობა არ ეკისრება, სამაგიეროდ პროფესიულ წრეებში მისი რეპუტაცია ილახება," - დასძენს კაჭკაჭიშვილი.

იაგო კაჭკაჭიშვილის აზრით, სოციალურად აქტიური მოქალაქე, რომელიც მეტ-ნაკლებად ჩახედულია ქართულ სინამდვილეში, საარჩევნო პერიოდის შუქ-ჩრდილებში, ადვილად ვერ მოექცევა "შავი" პიარის გავლენის ქვეშ.

"მიუხედავად ამისა, არსებობს ამომრჩევლის კატეგორია, განსაკუთრებით რეგიონებში, რომელიც ჯერ კიდევ მიიჩნევს, რომ მედიით გავრცელებული ინფორმაცია უტყუარია. ასე რომ, "შავი" პიარი უკვალოდ არ იკარგება," - ამბობს სოციოლოგი.

ჟურნალისტ ზვიად ქორიძის შეფასებით, ირაკლი ალასანიას და მისი ოჯახის წევრების შესახებ გადაცემული სიუჟეტი მომზადდა ეთიკური ნორმების უხეში დარღვევით. ამ შემთხვევაში, შენიშნავს ქორიძე, ჟურნალისტი მუშაობდა არა სიმართლის დასადგენად, არამედ პროპაგადისთვის: **"სიუჟეტი თავიდან ბოლომდე აგებული იყო დაუზუსტებელ ფაქტებზე. ამასთანავე, კრიტიკის ობიექტებს არ მიეცათ საშუალება, საზოგადოების წინაშე გაებათილებინათ ტელევიზიის მიერ გამოთქმული ეჭვები თუ ბრალდებები."**

უმრავლესობის წარმომადგენელი დავით დარჩიაშვილი "24 საათთან" საუბრისას აღნიშნავს, რომ საჯარო პირმა უნდა აიტანოს მედიის თავდასხმები. სახელისუფლებო გუნდის წევრის განმარტებით, დღევანდელი კანონმდებლობა **"ჟურნალისტს ცილისწამების შემთხვევაში მაქსიმალურად იცავს სამართლებრივი დევნისგან."**

თუმცა, როგორც დარჩიაშვილი დასძენს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჟურნალისტი შეუზღუდავია - არსებობს ეთიკური ნორმები.

საბოლოო ჯამში, - ამბობს დარჩიაშვილი, - დასკვნა საზოგადოებამ უნდა გაკეთოს, მან უნდა განსაჯოს, ვინ მტყუანია და ვინ მართალი. **"საზოგადოება უკეთ უნდა იყოს გაცნობიერებული მსგავს ტექნოლოგიებში, "შავი" პიარის სახიფათო ბუნებაში. იგი უნდა სვამდეს კითხვას - რამდენად არგუმენტირებულია ჟურნალისტის ბრალდებები თავდასხმის ობიექტის წინააღმდეგ?"**

დარჩიაშვილის აზრით, საზოგადოების ამგვარი პრინციპული და პასუხისმგებლური დამოკიდებულებით მედია უფრო პროფესიონალური გახდება.

კოკოითმა ჰამარბერგი ხელცარიელი გამოუშვა

პირველი გვერდიდან

ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრესისა და მასობრივი კომუნიკაციის სამინისტროს ვებგვერდი კი იუწყება, რომ შეხვედრაზე კოკოითმა ჰამარბერგს პირობა მისცა, რომ ქართველი მოზარდების გასამართლების საკითხი უახლოეს მომავალში გადაწყდება.

გია თორთლაძე, რომელიც სოფელ ერგნეთში ჰამარბერგის ცხინვალიდან დაბრუნებას ელოდებოდა, აცხადებს, რომ **"ერთადერთი ადამიანი, ვისაც ცხინვალიდან რეალური ინფორმაციის მოპოვება შეუძლია, თომას ჰამარბერგია."** თორთლაძემ, ასევე აღნიშნა, რომ ქართული პოლიტიკური სპექტრი მუდმივად უნდა საუბრობდეს იმის შესახებ, რომ ცხინვალში უკანონოდ სულ 14 ადამიანია დაპატიმრებული.

როგორც 16 დეკემბერს ცხინვალში მყოფ "რესპუბლიკური პარტიის" წევრ პაატა ზაქარეიშვილს ედუარდ კოკოითმა განუმარტა, არასრულწლოვნები პატიმრობაში დარჩენის ერთ-ერთ მიზეზი ის არის, რომ უგზოუკვლოდ დაკარგული ეთნიკურად ოსი მოქალაქეების მშობლები, ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებაზე მძიმე საზოგადოებრივ ზეწოლას ახორციელებენ. კოკოითის ხელისუფლება კი მზად არის, საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან გატაცებული პირების გასათავისუფლებლად შემდეგი პრინციპით იხელმძღვანელოს: ყველა - ყველას სანაცვლოდ.

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილის თქმით, საქართველოს ხელისუფლებისთვის მარიონეტული ხელისუფლების მიდგომა მიუღებელია. დარჩიაშვილმა "24 საათს" განუცხადა, რომ **"ქართულ მხარეს არანაირი მძევლები არ ჰყავს, არამედ ადამიანები კონკრეტული დანაშაულის ჩადენის გამო არიან დაპატიმრებულნი."** მან დასძინა, **"რაც შეეხება ორ არასრულწლოვანს, ისინი იყვნენ და არიან მძევლები, უბრალოდ ეთნიკური ნიშნით აიყვანეს ტყვედ. ამიტომ ბავშვები აუცილებლად უნდა გათავისუფლდნენ და მათ გამოუშვებენ კიდეც. ამას დამატებითი ძალისხმევა დასჭირდება და ეს ნათელია."**

საკუთარი ინფორმაცია

სანაკოევი პარლამენტს ანგარიშს აბარებს

საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა კომისიის სხდომაზე გუშინ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელ დიმიტრი სანაკოევის ანგარიშს ისმენდნენ. რა არის დღეს ადმინისტრაციის მთავარი ფუნქცია, როგორი შიდაპოლიტიკური სიტუაციაა დღეს ცხინვალში და რა მდგომარეობაში ცხოვრობს მოსახლეობა? ეს იყო ძირითადი კითხვები, რომელსაც ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გუშინ პასუხი გახსა.

თავის ძირითად ამოცანად ცხინვალის რეგიონიდან დევნილებზე და ახალგორის მოსახლეობაზე ზრუნვას მიიჩნევს. სანაკოევის ინფორმაციით, ადმინისტრაციის პრიორიტეტია ასევე ის პოლიტიკური ასპექტები, რომლებიც ჟენევის ფორმატში განიხილება. როგორც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი საპარლამენტო კომისიის სხდომაზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, აგვისტოს ომამდე რეგიონის სრული რეაბილიტაციისთვის საქართველომ 40 მილიონი ლარის ღირებულების პროგრამა განახორციელა.

"ომის შემდგომ 2000 დევნილის დახმარების და მათი განთავსებისთვის უამრავი სამუშაო ჩატარდა, მაგრამ სოციალური პრობლემები ახლაც ბევრია. დევნილები ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას, იმაზე რაც მიუთითებს, რომ კიდევ ბევრია გასაკეთებელი" - განაცხადა სანაკოევმა. რაც შეეხება დროებითი ადმინისტრაციის საქმიანობის პოლიტიკურ მხარეს, ამ კონტექსტში სანაკოევი ჟენევის მოლაპარაკებებზე აკეთებს აქცენტს. მისი შეფასებით, **"მიუხედავად საერთაშორისო მხარდაჭერისა, ექვსპუნქტიანი შეთანხმების შესასრულებლად ჯერჯერობით რეალურად არაფერი კეთდება.**

ცხინვალში არსებულ შიდაპოლიტიკურ სიტუაციაზე საუბრისას ე.წ. სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დიმიტრი სანაკოევმა აღნიშნა, რომ ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში არც ერთ თანამდებობაზე ადგილობრივი პირი არ ინიშნება, რაც მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს. **"მიუხედავად იმისა, რომ ოს მოსახლეობაში არსებობს უკმაყოფილება, ცხინვალის სეპარატისტულ რეგიონში რეალური ოპოზიცია არ არის. გენერალი ბარანკევიჩი მხოლოდ საკუთარი ინტერესების გამოა განაწყენებული და მის ქმედებებს არ შეუძლია, დადებითი შედეგები მოუტანოს არც ქართველ და არც ოს მოსახლეობას. ცხინვალის რეგიონში მთლიანად რუსული სტრატეგია ხორციელდება, კოკოითის რეჟიმს კი არც სოციალური და არც პოლიტიკური პროგრამა გააჩნია, რაც ოსებისთვის ადრე თუ გვიან დამღუპველი იქნება,"** - აცხადებს სანაკოევი.

დიმიტრი სანაკოევის განცხადებით, ცხინვალის რეგიონი ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშეა. მისივე თქმით, **"რუსეთის რეჟიმს ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემები ნაკლებად აინტერესებს".** როგორც სანაკოევმა აღნიშნა, ცხინვალში მცხოვრები ოსები მის ადმინისტრაციას სამედიცინო დახმარების თხოვნით ხშირად მიმართავენ, რადგან ადგილზე სამკურნალო ობიექტები, ფაქტობრივად, არც არსებობს. მისივე თქმით, ახალგორში დარჩენილი პედაგოგები და მოსწავლეები დღემდე ხელფასსა და სკოლის სახელმძღვანელოებს თბილისიდან იღებენ.

"ჩვენი ადმინისტრაცია მომართვის შემთხვევაში ყოველთვის გამოთქვამს მზადყოფნას, დაეხმაროს ცხინვალის რეგიონის ნებისმიერ წარმომადგენელს, მათ შორის - სამედიცინო მკურნალობის თვალსაზრისით," - აღნიშნა სანაკოევმა. მისივე ინფორმაციით, "ღორის გრიპთან" საბრძოლველად კოკოითის სეპარატისტულ რეჟიმს 9 მილიონი რუბლი აქვს გამოყოფილი, თუმცა რეგიონში თავად დაავადების გავრცელების შესახებ სანაკოევი დეტალურ ინფორმაციას არ ფლობს.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ეკოციდის ავტორი ოლიმპიადას ვერ უმსაპინძლებს

დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში კლიმატის ცვლილებთან საბრძოლველად ახალი შეთანხმების მიღწევისთვის 192 ქვეყნის დელეგატები და ექსპერტები ორი კვირის განმავლობაში იმსჯელებენ. სამიტში მონაწილეობისთვის საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ ჩავიდა , საქართველოს დელეგაცია კი, გარემოს დაცვის მინისტრ გოგა ხაჩიძის ხელმძღვანელობით, დანიის დედაქალაქს 10 დეკემბერს ესტუმრა. ევროკავშირი თანახმაა, გლობალური დათბობის პრობლემასთან საბრძოლველად 2010-2012 წლებში განვითარებადი ქვეყნების სასარგებლოდ 10 მილიარდი ევრო გამოყოს და 2020 წლისთვის ეს თანხა 40 მილიარდამდე გაზარდოს. აშშ-მ კი განვითარებადი ქვეყნებისთვის მთლიანობაში 100 მილიარდი დოლარის გამოყოფას დაუჭირა მხარი. საქართველოც, როგორც განვითარებადი ქვეყანა, გარკვეულ თანხას მიიღებს.

ნათია მსხილაძე

კლიმატის ცვლილებებისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასპინძელი გაერო ღონისძიების მონაწილეებს მოუწოდებს, ბიუროკრატიის ნაცვლად ქმედითი ნაბიჯები გადადგან, რადგან კლიმატის ცვლილებების შესაჩერებლად ზომები დაუყოვნებლივ არის მისაღები.

სამიტზე შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა მხარი დაუჭირა განვითარებადი ქვეყნებისთვის 100 მილიარდი დოლარის გამოყოფას, რომელიც კლიმატის ცვლილებების ღონისძიებებს უნდა მოხმარდეს. **"ეს თანხები კლიმატის ცვლილებებისთვის დაგეგმილ ღონისძიებებს უნდა მოხმარდეს და როგორც საჯარო, ასევე კერძო ორმხრივი წყაროებიდან შეგროვდება. თანხები ყველაზე ღარიბ და ჩვენ შორის ყველაზე სუსტებზე გადანაწილდება,"** - აღნიშნა სამიტზე სიტყვით გამოსვლისას აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა.

გუშინ კოპენჰაგენში კლიმატის ცვლილებებისადმი მიძღვნილ მსოფლიო სამიტზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

როგორც სააკაშვილმა განაცხადა, მიუხედავად საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევებისა, ქვეყანა იზიარებს გლობალური დათბობის პრობლემის უდიდეს სიმწვავეს. **"მე საქართველოდან ვარ. ქვეყნიდან, რომელშიც შემოიჭრნენ და რომლის ტერიტორიის ნაწილიც მტრული ძალების მიერ არის ოკუპირებული; ქვეყნიდან, რომელმაც განიცადა ეთნიკური წმენდა და სამხედრო დანაშაულებები. მიუხედავად ამ ტრაგიკული გამოწვევებისა, რომლის წინაშეც ჩვენი ხალხი იდგა და დღესაც დგას, ხელი არ შეგვეშლება, რომ გავიზიაროთ კლიმატის ცვლილებების უდიდესი სიმწვავე. გლობალური დათბობა ჩვენს პლანეტას ემუქრება,"** - განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტის განმარტებით, კლიმატის ცვლილებები სამხრეთ კავკასიაშიც თვალსაჩინოა. ამას ადასტურებს გახშირებული წყალდიდობები, მეწყერი, ტყის ხანძრები და ნაპირების ეროზია. **"ოლიმპიური თამაშები საყოველთაო ღირებულებისა და ჰუმანურობის ზეიმია, მაგრამ რა ხდება მაშინ, როდესაც ეს იქცევა ბუნების განადგურებისა და მდგრადი ეკოსისტემის ცვლილების მიზეზად. მინდა შეგახსენოთ, რომ ვინც საქართველოში ეკოციდი მოაწყო, როდესაც ბორჯომის ტყეს ანადგურებდნენ, მათ საქართველოს ტერიტორიები აქვთ ოკუპირებული,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

საპარლამენტო კომისია ყოფილი მაღალჩინოსნების მოსმენას გეგმავს

ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებების შესწავლას დაგეგმილზე მეტი დრო დასჭირდება

თამარ ივანიძე

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების საკითხების შემსწავლელი პარლამენტის დროებითი კომისია მომავალში იგორ გიორგაძის, თენგიზ კიტოვანის, შოთა კვირაიას და სხვა ყოფილი მაღალჩინოსნების, მათ შორის ექს-პრეზიდენტ შევარდნაძის მოსმენასაც არ გამორიცხავს. ამისათვის კი კომისიას გამოყოფილ სამ თვეზე მეტი სჭირდება. ამიტომ გუშინ ამ პარლამენტში კომისიის მუსაობის ვადის გაგრძელების საკითხიც დაისვა.

კომისიის გუშინდელ სხდომაზე პროკურატურაში ზვიად გამსახურდიას სიკვდილის გამო აღძრული საქმის შესწავლის შედეგებზე იმსჯელეს. სამუშაო ჯგუფის წევრ მიხეილ ოსაძის ინფორმაციით, პროკურატურაში ჯგუფი 8-ტომიანი საქმის შესწავლას უახლოეს დღეებში დაასრულებს და კომისიას საბოლოო შედეგს გააცნობს. მისივე განცხადებით, ამ დროისთვის დადასტურებით შეიძლება იმაზე საუბარი, რომ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, მისი ჩეჩნეთიდან სამეგრელოში დაბრუნების დროს, ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფი ძალოვანი სამსახურების მხრიდან დევნა ხორციელდებოდა. სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ პროკურატურაში არსებულ მასალებში გამსახურდიას თვითმკვლელობის დამადასტურებელი დოკუმენტი არ მოიპოვება. კომისიის თავმჯდომარე კონსტანტინე გამსახურდიას განცხადებით, პროკურატურა ყოველმხრივ ეხმარება კომისიას საქმის საფუძვლიან შესწავლაში. რაც შეეხება საქმეზე მოწმეთა ჩვენებებს - საქმეში არ დევს არც ერთი მაღალჩინოსანი პირის ჩვენება, ასევე, აქ მოიპოვება ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებები, რაც ბევრ კითხვას ბადებს.

როგორც კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, საკითხის საფუძვლიანად შესასწავლად აუცილებელია როსტოვის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის სრული ტექსტის მოპოვება, რომელიც ზვიად გამსახურდიას ნეშტის დათვალიერებისას გაიცა. ასევე, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია სხდომაზე ყველა იმ ადამიანის მოწვევა, ვინც ჩვენებები მისცა აღნიშნულ საქმეზე და ვინც 1994 წელს სენაკის აეროპორტში უშუალოდ დაათვალიერა ნეშტი.

კონსტანტინე გამსახურდიას თქმით, დათვალიერების ოქმის ხელმომწერთაგან რამდენიმე გარდაცვლილია, მათ შორის - გურამ შარაძე, ვახტანგ ბოჭორიშვილი და თამარ დეკანოსიძე, ხოლო მათ, ვინც ცოცხალია, კომისია ერთ-ორ კვირაში მოუსმენს. დროებითი კომისიის წევრი ჯონდი ბაღათურია აქვე გამოვიდა ინიციატივით, კომისიის ეს სხდომა საზოგადოებრივი არხის პირდაპირი ეთერით გადაიცეს.

გუშინვე გაირკვა, რომ ზვიად გამსახურდიას დაღუპვის მიზეზების შემსწავლელ დროებით საპარლამენტო კომისიას მუშაობის სამთვიანი ვადის ამოწურვის შემდეგ ვადა, შესაძლოა, კიდევ სამი თვით გაუხანგრძლივდეს. კომისიისთვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების საკითხი გუშინდელ სხდომაზე ექსპერტის რანგში მიწვეულმა მიხეილ ოსაძემ დააყენა, რომელსაც დადგენილ ვადაში გასაწევი მუშაობის დასრულება შეუძლებლად მიაჩნია. როგორც ოსაძემ განმარტა, დასაკითხია სახელმწიფო უწყებების მაშინდელი პირველი პირები, რომლებიც ზვიად გამსახურდიას დევნას უშუალოდ ახორციელებდნენ და დღეს საქართველოში არ ცხოვრობენ. გარდა ამისა, მისივე თქმით, საქმის მასალებში ფიგურირებს პირი, რომლის მტკიცებით, მან იცის, ვინ არის პრეზიდენტის მკვლელობის შემკვეთი, თავად მკვლელი და კონკრეტულად რა თანხაა ამაში გადახდილი. სავარაუდოდ, დღეს საქართველოში ეს ადამიანიც არ ცხოვრობს და ოსაძე მის მოსმენასაც აუცილებლობად მიიჩნევს.

"პროკურატურის მასალები ცხადყოფს, რომ ძალიან ბევრი საინტერესო რამ არის გასარკვევი და ბოლომდე მისაყვანი. სიმართლის დასადგენად ძალიან სერიოზული მუშაობაა ჩასატარებული, რასაც დარჩენილ თვენახევარში ვერ შევძლებთ," - აღნიშნა ოსაძემ. ყოფილმა პარლამენტარმა დასაკითხ პირთა ვინაობა არ დააკონკრეტა. არაოფიციალურად კი ცნობილია, რომ საპარლამენტო კომისია იგორ გიორგაძის, შოთა კვირაიას და თენგიზ კიტოვანის მოსმენას გეგმავს, რომელთა ამჟამინდელი ადგილსამყოფელიც რუსეთის ფედერაციაა. კომისია ასევე აპირებს ზვიად გამსახურდიას მთავრობის წარმომადგენელ ბესარიონ გუგუშვილის მოსმენას, რომელიც გამსახურდიას დაღუპვის შემდეგ საცხოვრებლად ფინეთში წავიდა. სავარაუდოდ, საპარლამენტო კომისიის დღის წესრიგში ექს-პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მოსმენის საკითხიც დადგება.

გუშინ ჟურნალისტებთან საუბარში კონსტანტინე გამსახურდიამაც დაადასტურა, რომ შევარდნაძის ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსანი, რომელიც ზვიად გამსახურდიას მკვლელობას ამტკიცებს და აცხადებს, რომ იცის პრეზიდენტის მკვლელობის როგორც შემკვეთის, ისე შემსრულებლის ვინაობა, იგორ გიორგაძეა. **"სხვათა შორის, თავის დროზე იგორ გიორგაძემ პრეზიდენტის ცხედრის ექსპერტიზა მოითხოვა, ხოლო ოქმს, რომლშიც თვითმკვლელობაზეა საუბარი, ხელი არ მოაწერა და ამაზე უარი თქვა,"** - აღნიშნა კონსტანტინე გამსახურდიამ.

რამდენად მოახერხებს კომისია ყველა ჩამოთვლილი პირის მოსმენას, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, წინასწარი ინფორმაციით, კომისიის მუშაობის ვადის გაგრძელებას პრობლემა არ შეექმნება და პარლამენტარებს ამ საქმის შესასწავლად საკონომდებლო ორგანო საკმარის დროს მისცემს.

აგვისტოს ომში დაღუპულთა 192-მა ოჯახმა საჩუქრად ბინები მიიღო

აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახებს გუშინ საჩუქრად ბინები გადაეცათ. ახალი ბინის გასაღები 192-მა ოჯახმა მიიღო.

თბილისში, ისან-სამგორის რაიონში, ე.წ. "სამხედრო ქალაქის" ტერიტორიაზე თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია და გარდაცვლილთა ოჯახის წევრები ერთად მივიდნენ. ყველა ახალმოსახლის ბინა ოროთახიანია, კორპუსი მთლიანად დასრულებულია და ექსპლუატაციისთვის მზად არის. გაკეთებულია კომუნიკაციები, გამრიცხველიანება, სველი წერტილები - სამზარეულოები და სააბაზანოები კეთილმოწყობილია აუცილებელი ინვენტარით, მათ შორის გამათბობლითა და გაზქურით.

"ეს არის სამხედრო ქალაქი, რომლის მშენებლობაც ოფიცრებისთვის დაიწყო. აქ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი - სკვერები, ბაღები, სავაჭრო ცენტრი.....მაგრამ პირველი კორპუსი, რომელიც სრულიად დასრულდა და ექსპლუატაციაში შესასვლელად მზადაა, დღეს აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახებს, უკლებლივ ყველას, გადავეცით. აქ ყველა სამუშაო დასრულებულია, დარჩა მხოლოდ შესახლების პროცესი, რაც მათი სურვილის მიხედვით, დღეიდანვე შესაძლებელია დაიწყოს", - განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

"ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, ახალი კორპუსის ყველა ბინა ფართითა და კეთილმოწყობით იდენტურია. მათი გადანაწილება ლოტოტრონის პრინციპით თავად გარდაცლილთა ოჯახის წევრების მონაწილეობით მოხდა.

"კათარზისს" "ქრისტიან-დემოკრტები" ეხმარებიან

"ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერები გუშინ მოხუცთა თავშესაფარ "კათარზისს" ესტუმრნენ.

"ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, დეპუტატებმა ხანდაზმულ მობინადრეებს "ბარბარობის" დღესასწაული მიულოცეს და მათ პრობლემებს გაეცნენ.

პარტიის გადაწყვეტილებით, ერთი კვირის განმავლობაში, სოციალურად დაუცველი მოხუცების კვების ხარჯებს "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა" აანაზღაურებს.

სამი მცირე ჰესის რეაბილიტაცია იგეგმება

განახლებადი ენერგიების ფონდის დაფინანსებით 2010 წელს სამი მცირე ჰესის რეაბილიტაცია იგეგმება. ამის შესახებ "ჯი-ეიჩ-ენ"-ი გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტის ჰიდრომეტეოროლოგიისა და კლიმატის ცვლილების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის მედეა ინაშვილის განცხადებაზე დაყრდნობით იუწყება.

ინაშვილის თქმით, განახლებადი ენერგიების ფონდი დაფუძნდა პროექტის "საქართველო - განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ათვისების ხელშეწყობა ადგილობრივი ენერგომომარაგების მიზნით" ფარგლებში. ფონდი მცირე ჰესების მშენებლობასა და რეაბილიტაციაზეა ორიენტირებული.

"ჰიდრო- ანუ წყლის ენერგია საქართველოსთვის ყველაზე ტრადიციულია. საქართველოში არსებობს მზისა და ქარის პოტენციალიც, მაგრამ მათი დანერგვა სიძნელეებთანაა დაკავშირებული, რომელთა მიზეზებიც სხვადასხვაგვარია", - განაცხადა ინაშვილმა.

გიგი უგულავამ 51-ე სკოლის პედაგოგებს მომავალი წლის პრიორიტეტები გააცნო

დედაქალაქის მერმა გიგი უგულავამ ქალაქის მთავრობის მომავალი წლის პრიორიტეტები გუშინ თბილისის 51-ე საჯარო სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს გააცნო. უგულავამ პედაგოგებს 2010 წლის ბიუჯეტში განათლების სფეროს დახვეწისთვის გათვალისწინებული მიმართულებები წარუდგინა.

ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის ვაუჩერები მასწავლებლებს, სამედიცინო დაზღვევა და ხელფასების მომატება - ეს ის პრიორიტეტებია, რომელთაც ქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი პირველ რიგში გაითვალისწინებს.

"ჯი-ეიჩ-ენ"-ის ინფორმაციით, დედაქალაქის მერმა პედაგოგებსა და მოსწავლეებს ბარბარობის დღესასწაული მიულოცა და წარჩინებული კურსდამთავრებულები ოქროს მედლებით დააჯილდოვა.

დემონოპოლიზაცია მუდმივი პროცესი უნდა იყოს

ნინო ნატროშვილი

ქვეყნის პრეზიდენტმა საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე მონოპოლიების არსებობის შესახებ ღიად ისაუბრა. თუმცა ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მონოპოლიები სხვა სფეროშიც არსებობს. "24 საათი" ამ თემაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრულ პროფესორს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორ სოლომონ პავლიაშვილს ესაუბრა:

- პრეზიდენტმა ფარმაცევტული კომპანიების მონოპოლიური მდგომარეობისა და მათ მიერ ფასების ხელოვნურად ზრდის შესახებ ისაუბრა. როგორია თქვენი მოსაზრება ამის შესახებ?

- ასეთი მინიშნება პრეზიდენტმა 2007 წლის შემოდგომაზე პარლამენტში გამოსვლისას გააკეთა. მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ იმ სამსახურებისა და ინსტიტუტების მხრიდან, ვისაც ამ მიმართულებით მუშაობა ევალებოდა, არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. ამ ღონისძიებების განხორციელებას არ უნდა ჰქონდეს სპონტანური ხასიათი, არ უნდა გამოიწვიოს ძალისმიერი მეთოდით რაიმე ზეწოლა აღნიშნულ კომპანიებზე, არ უნდა დააზარალოს მათი საქმიანობა და ეკონომიკური შედეგები.

ეკონომიკური თეორიის თვალსაზრისით, არასრულყოფილი კონკურენციის პირობების კვლევას საფუძველი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში ჩაეყარა. მაშინ გამოვიდა ე. ჩემერლინის ნაშრომი "მონოპოლისტური კონკურენციის თეორია" და ჯ. რობინსონის "არასრული კონკურენციის ეკონომიკა". ნაშრომებში ნაჩვენებია, რომ თავისუფალი კონკურენცია წარსულს ჩაბარდა და არასრულყოფილი კონკურენციისას მონოპოლისტებს შეუძლიათ, მიწოდებასა და მოთხოვნაზე ზემოქმედების გზით ჩაერიონ ფასწარმოქმნის პროცესებში. ცალკეული მონოპოლისტები ითვალისწინებდნენ ურთიერთდამოკიდებულებას და ეს მომენტი წინასწარ შეთანხმების გარეშეც სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ ყველა მონოპოლისტისათვის მისაღები ფასი დადგინდეს.

მონოპოლიური მდგომარეობის არსი გამოიხატება იმით, რომ ეკონომიკურ სუბიექტებს, კომპანიებს ბაზარზე განსაკუთრებული მდგომარეობა უკავიათ, სახელმწიფოსაგან პირდაპირ თუ ირიბად მინიჭებული, რაც არსებით გავლენას ახდენს ბაზარზე და ხელს უშლის სრულყოფილ კონკურენციას.

გამოიყოფა სამი სახის მონოპოლია: დახურული, ბუნებრივი და ღია. დახურულ მონოპოლიად მიჩნეულია ისეთი, რომელიც კონკურენციისაგან დაცულია სამართლებრივი ნორმებით - საპატენტო დაცვა, საავტორო უფლებების ინსტიტუტი და ა.შ. ბუნებრივი მონოპოლია არის დარგი, რომელშიც გრძელვადიანი საშუალო დანახარჯები მინიმალურია მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთი ფირმა ემსახურება მთელ დარგს; მას საფუძვლად უდევს წარმოების მასშტაბებით მიღებული ეკონომია და უნიკალური ბუნებრივი რესურსების ფლობა. მისთვის დამახასიათებელი ნიშანია - ბუნებრივი მონოპოლიის ეკონომიკური სუბიექტების მიერ წარმოებული პროდუქცია შეუძლებელია შეიცვალოს სხვა საქონლით, ამიტომ მოთხოვნილება ბუნებრივი მონოპოლიის პროდუქციაზე სხვა სახის საქონელზე მოთხოვნილებასთან შედარებით ნაკლებად არის დამოკიდებული ამ საქონლის ფასის ცვლილებაზე. ბუნებრივ მონოპოლიებს მიეკუთვნება: ელექტროენერგეტიკა, გაზმომარაგება, წყალმომარაგება, სარკინიგზო ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ტელეკომუნიკაცია, აერონავიგაცია და სხვა. მონოპოლია ღიაა, როცა ერთი ფირმა ხანმოკლე პერიოდში მაინც ხდება პროდუქციის ერთადერთი მიმწოდებელი, მაგალითად, ახალი პროდუქციის გამოშვებისას, მაგრამ კონკურენციისაგან სპეციალური დაცვა არა აქვს.

- რა არის მონოპოლიების წარმოშობის ძირითადი მიზეზი და როგორია არასრულყოფილი კონკურენციის ფორმები და თავისებურებანი?

- არსებობს მონოპოლიის განმაპირობებელი სამი ძირითადი მიზეზი: ობიექტურად არსებობენ ბუნებრივი მონოპოლიები, რომელთა დანახარჯები მინიმიზირდებიან მთელი გამოშვების ერთი მონოპოლიის ხელში კონცენტრაციით. მეორე - მონოპოლისტს შეუძლია ფლობდეს კონტროლს ნედლეულის წყაროზე ან სპეციალური ტექნიკური ცოდნის ზოგიერთ სფეროში. მესამე - სახელმწიფო მონოპოლიურ უფლებებს ერთადერთ ფირმას ანიჭებს.

არასრულყოფილი კონკურენციის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმებია: მონოპოლია, მონოპსია, დუოპოლია, ოლიგოპოლია, მონოპოლისტური კონკურენცია პროდუქციის დიფერენციაციით. ყველაზე უფრო გავრცელებულია მონოპოლისტური კონკურენცია, როდესაც მონოპოლისტი ფირმები ჩვეულებრივ ახორციელებენ ფასობრივ დისკრიმინაციას, აწესებენ სხვადასხვა ფასს მყიდველთა სხვადასხვა კატეგორიისათვის. საერთოდ, მონოპოლისტი აწესებს ფასს, რომელიც ჭარბობს ზღვრულ დანახარჯებს, მოთხოვნის ელასტიკურობის უკუპროპორციული სიდიდით, რითაც მონოპოლიზებული ბაზარი განსხვავდება თავისუფალი კონკურენციის ბაზრისაგან. ოლიგოპოლიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ბაზარზე არის ერთგვაროვანი პროდუქციის მწარმოებელი მხოლოდ რამდენიმე ფირმა, რითაც ისინი ახორციელებენ სრულ კონტროლს მიწოდების მოცულობაზე და ნაწილობრივ კონტროლს ფასებზე. ოლიგოპოლიის მთავარი ხასიათი ის არის, რომ აქ მონაწილე ეკონომიკურ სუბიექტებს ერთმანეთთან ფორმალური თუ არაფორმალური შეთანხმების საფუძველზე შეუძლიათ შეინარჩუნონ ბაზარზე მონოპოლისტური ფასი კონკრეტულ დონეზე უფრო მაღლა და მიიღონ მოგება. ოლიგოპოლიის სხვა ფორმებია: ორმხრივი მონოპოლია, დუოპოლია, ლიდერობა ფასებით. ორმხრივი მონოპოლიისას ერთადერთი გამყიდველი უპირისპირდება ერთადერთ მყიდველს ამ დროს მთავარი პრობლემაა: რა რაოდენობის ფასით და რა რაოდენობის საქონლით შეიძლება მაქსიმალური მოგების მიღება. საბოლოოდ ორივე მხარე იყოფს ერთობლივ მაქსიმალურ მოგებას. ოლიგოპოლია და მონოპოლისტური კონკურენცია ყველაზე უფრო გავრცელებულია პრაქტიკაში, როგორც მსოფლიოში, ისევე ჩვენთან.

- რამდენად საგანგაშო მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?

- ისეთ ქვეყნებში, რომლებიც ეკონომიკურ ტრანსფორმაციას განიცდიან, ასეთი პროცესების უყურადღებოდ და უკონტროლოდ მიშვება ძალზე სერიოზულ დარტყმას აყენებს ეროვნულ ეკონომიკას. საბაზრო ეკონომიკა ჯერ კიდევ სრულად არ არის ჩამოყალიბებული, სუსტია ისეთი ინსტიტუტები, რომლებიც ხელს უწყობენ თავისუფალ ფასწარმოქმნას, თავისუფალ კონკურენციას. ამიტომ ეკონომიკის გარკვეულ რეგულირებას საკანონმდებლო დონეზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

არავინ იფიქროს, რომ ვინმე წინააღმდეგია მსხვილი კომპანიების, ქსელების, კონგლომერატების არსებობისა. თავისთავად მათი არსებობა კი არ არის დანაშაული, არამედ მათი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ქვეყნისთვის და ეკონომიკისთვის ზიანის მომტანია. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ეს არ ეხება მხოლოდ ფარმაცევტულ ბიზნესს და ფარმაცევტული პროდუქციის მწარმოებელ ქარხნებს, სამედიცინო კლინიკებს და სხვა. ასევე ძალზე შემაშფოთებელია სადაზღვევო, ნავთობის იმპორტიორი, ენერგეტიკული, საკომუნიკაციო და მრავალი სხვა კომპანიების მოქმედება საქართველოს ბაზარზე.

- როგორია ქართული საწარმოების მონოპოლისტური ბუნება?

- როგორც ცნობილია, სამი მსხვილი კომპანია "ავერსი", "პე-ეს-პე", და "ჯი-პი-სი" ბაზარზე დაახლოებით 80%-ს იკავებს. კურიოზული ფაქტია: პრეზიდენტი ამბობს, რომ ფარმაცევტიულ ბაზარზე მონოპოლისტური მდგომარეობაა, პარლამენტში კი ამბობენ, რომ არ არის. მათ შორის, სახელისუფლო გუნდის წარმომადგენლები, და ამას იმთ ხსნიან, რომ სამი კომპანია ბაზრის 80%-ს იკავებს, ეს კი არასრულყოფილი კონკურენციის ფორმის - ოლიგოპოლიის თვალნათელი მაგალითია. სახეზეა კარტელური ხასიათის არაფორმალური თანამშრომლობა - თითქმის სრული კონტროლი მიწოდების მოცულობაზე და ასევე კონტროლი ფასებზე. ამ კომპანიებმა დაიწყეს ფარმაცევტიული ქარხნების და კერძო კლინიკების ქსელის ჩამოყალიბება, განვითარება. მათ ძალზე მჭიდრო კავშირი აქვთ სადაზღვევო კომპანიებთან. ე.ი გამოდის, რომ ქარხანას, რომელიც ფარმაცევტულ საქონელს ამზადებს, გააჩნია საკუთარი სამედიცინო კლინიკა, სადაც პაციენტისთვის წამლის დანიშვნა ხდება და რომელიც სადაზღვევო კომპანიის პროვაიდერია, და ასევე გააჩნია სააფთიაქო ქსელი, სადაც უნდა მოხდეს აღნიშნული წამლის შეძენა... თუ ამას დავამატებთ იმ სუბიექტურ თუ ობიექტურ ფაქტორებს, რითაც აღნიშნული ფარმაცევტიული კომპანიები უშუალო კავშირში არიან სადაზღვევო კომპანიებთან და არის გარკვეული მოტივაციები, მაშინ გამოდის, რომ მთელი საბაზრო ციკლი შეკრულია და ხდება გადადინება ერთი ჯიბიდან მეორეში! უფრო მეტიც, ვინ არის დაზღვეული, რომ ამ კლინიკაში, როგორც პროვაიდერ კომპანიაში, არ მოხდება იმაზე მეტი და მაღალფასიანი წამლის დანიშვნა, ვიდრე ეს პაციენტს სჭირდება, რომლის ანაზღაურება ხდება ან პაციენტის ჯიბიდან, ან სადაზღვევო კომპანიიდან. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ სახელმწიფო არ ერევა ფარმაცევტულ ბაზარზე სამკურნალო საშუალებების ფასწარმოქმნისა და რეგულირების საკითხში. ზოგიერთ დასავლურ ქვეყანაში ფარმაცევტული საბითუმო ბაზრის მფლობელებს საცალო ქსელის გახსნის უფლებაზეც გარკვეული შეზღუდვები აქვთ, მაშინ როცა ჩვენთან მათ გააჩნიათ ფარმაცევტული საწარმოები, სამედიცინო დაწესებულებები, სააფთიაქო ქსელები და ინტერესები სადაზღვევო კომპანიებში. ასეთ სიტუაციაში ძალზე რთულია და თითქმის შეუძლებელია სამედიცინო ბიზნესში შეღწევა. ძალზე სამწუხაროა, რომ ქვეყანაში არც სტატისტიკის დეპარტამენტისა და არც ეკონომიკური სამსახურების მიერ არ იანგარიშება ისეთი ინდიკატორი, როგორიც არის ლერნერის ინდექსი, რომლითაც ფასდება ბაზარზე კომპანიების მონოპოლისტური ძალაუფლება და მათი მონოპოლიური მდგომარეობის გამოყენებით მიღებული მოგება. ეს კომპანიები კერძო სამართლის იურიდიული პირები არიან და სრული უფლება აქვთ შექმნან აღნიშნული საწარმოები, მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით მათი მონოპოლისტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება უდავოდ ხელს შეუშლის თავისუფალ და სრულყოფილ კონკურენციას, თავისუფალ ფასწარმოქმნას და ბაზარზე ახალი ეკონომიკური სუბიექტების შესვლას. მათი მიზანი მაქსიმალური მოგების მიღებაა, და ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს მათი მონოპოლისტური მდგომარეობის შედეგად ან ხელშეწყობით სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირ თუ ირიბად. მონოპოლისტური მდგომარეობის ძირითადი გამსაზღვრელი ფაქტორებია: კომპანიების წილი ბაზარზე, ამ ბაზარზე შეღწევის საშუალებები და წინააღმდეგობები. თავისთავად კომპანიების მონოპოლიური მდგომარეობა კი არ არის კანონსაწინააღმდეგო, არამედ ამ დომინირებული მდგომარეობის გამოყენება ფასების ზრდისა და კონკურენციის შეზღუდვისათვის. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ინსტიტუციურად, ორგანიზაციულად ისეთი ღონისძიებების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ბაზრის დემონოპოლიზაციას. დემონოპოლიზაცია არ უნდა იყოს ერთჯერადი ხასიათის, ის მუდმივი პროცესი უნდა იყოს.

- ფარცევტიული კომპანიების გარდა, კიდევ სად შეიმჩნევა მონოპოლისტური მდგომარეობა?

- თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა ნავთობის იმპორტიორ კომპანიებში. ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე, ნავთობზე ფასები თითქმის 3-ჯერ შემცირდა, ჩვენ ქვეყანაში აღნიშნული ცვლილებები ვერ ვიგრძენით. იმ ქვეყნებს ვერ შევედრებით, რომლებიც ნავთობს მოიპოვებენ. იქ ფასები ყოველთვის დაბალი იქნება, თუმცა ასეთი გრძელვადიანი ფასების დაცემა ნავთობზე უდავოდ გავლენას უნდა ახდენდეს ისეთ პატარა ქვეყანზე, როგორიც საქართველოა. მიმაჩნია, რომ ესეც მონოპოლიური მდგომარეობის ერთ-ერთი გამოვლინებაა, როდესაც ფასებთან დაკავშირებით კომპანიების "შეთქმულება" ხდება და ისინი სტაბილურად მაღალ ფასებს ინარჩუნებენ. მსხვილმა კომპანიებმა "ჩაყლაპეს" პატარა ბენზინგასამართი სადგურები, იმიტომ, რომ მსხვილ კომპანიებს იმპორტზეც მონოპოლიზებული უფლება აქვთ და საკუთარ ქსელში ისეთ ფასებს აწესებენ, რასაც სხვა, გაცილებით პატარა კომპანიები ვერ უძლებენ. ეს ეკონომიკის ბუნებრივი მოვლენაა, მაგრამ მაინც საჭიროა მარეგულირებელმა სამსახურებმა გაარკვიონ, ეს პროცესები რამდენად სწორად ხდება.

ნავთობის კომპანიებმა ასევე დაიწყეს სადაზღვევო კომპანიების შექმნა. როგორია დამზღვევი - ნავთობის კომპანია, დაზღვეული - ამ კომპანიაში დასაქმებული პერსონალი, მზღვეველი - ამ ნავთობკომპანიის მიერ დაფუძნებული სადაზღვევო კომპანია. ე.ი გამოდის, რომ ფულის გადამხდელიც, ის პირი, ვისი დაზღვევაც ხდება და ის სადაზღვევო კომპანია, სადაც დაზღვევა ხდება, ერთიანი ნავთობკომპანიის "ქუდქვეშ არიან მოქცეული". ამ ნავთობკომპანიამ თავისი სამედიცინო, სამკურნალო კლინიკაც რომ შექმნას და ზემოთ აღნიშნულ ფარმაცევტულ ბიზნესშიც პირდაპირ თუ ირიბად ჩაერთოს, რაც შესაძლებელია უკვე ხდება კიდეც, მაშინ, როგორც იტყვიან, "კაცს გარეთ გასვლა აღარ გინდა". ძალზე გასაკვირია, რომ მიუხედავად ასეთი ფაქტებისა, მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის არც ერთი კომპანია არ დაუჯარიმებიათ. არც ჩინოვნიკებს და არც კომპანიების მეპატრონეებს შენიშვნაც კი არ მიუღიათ.

- ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევისათვის რამდენად მკაცრი სანქციებია სხვა ქვეყნებში?

- მიკროპროცესორების მწარმოებელი მსხვილი ამერიკული კომპანია "Intel"-ი სწორედ ანტიმონოპოლიური კანონის დარღვევისათვის 2009 წელს ევროკომიის მიერ დაჯარიმებული იქნა 1,45 მილიარდი დოლარით. ევროკომისიის გარდა, ამ ფირმას ამერიკის შეერთებული შტატები და აზიის რამდენიმე ქვეყანა მონოპოლიზებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა და არაკეთილსინდისიერ კონკურენციაში ადანაშაულებენ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ კომპანიის წინააღმდეგ საქმეც კი აღიძრა. ხოლო 2004 წელს ანალოგიური დარღვევისათვის "Microsoft"-ი დაჯარიმებული იქნა დაახლოებით 899 მილიონი ევროთი. ვინაიდან მან არ გაითვალისწინა ევროკომისიის გაფრთხილება ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის შესახებ, 2007 წელს 1,6 მილიარდი ევროთი დაჯარიმდა. ჯამში, აღნიშნულ ფირმას 2,5 მილიარდი ევროს გადახდა დაეკისრა. ასევე ძალზე მნიშვნელოვანია ევროკავშირის ანტიმონოპოლიური სამსახურების წინააღმდეგობა მსხვილი საჰაერო კომპანიების მიერ მეგა ალიანსის შექმნის მიმართ. როგორც ცნობილია, "British

გაგრძელება A5 გვერდზე

17 წელი "თიბისი ბანკთან" ერთად

სოფო ჩიხლაძე

"თიბისი ბანკმა" ოქროს იუბილე აღნიშნა. კომპანია ზუსტად 17 წლის წინ, 17 დეკემბერს თანამოაზრეთა მცირე გუნდით და 500-დოლარიანი კაპიტალით შეიქმნა. "თიბისი ბანკის" ჩამოყალიბების პერიოდი საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი საკმაოდ მძიმე იყო. სირთულეები არც შემდეგ მოჰკლებიათ, თუმცა, მიუხედავად ამისა, კომპანია დღეისათვის 2300-ზე მეტ თანამშრომელს აერთიანებს და ერთი მილიარდი დოლარის აქტივებს ფლობს.

"თიბისი ბანკი" სტაბილურად ინარჩუნებს ლოკალურ საბანკო სექტორში წამყვანი ბანკის ფუნქციას არა მარტო ფინანსური მაჩვენებლების, არამედ ინოვაციურობის და ტექნოლოგიური განვითარების მხრივ. **"თიბისი ბანკის" მიერ განვლილი 17 წელი არის იმის ასახვა, რაც ამ ხნის მანძილზე ქვეყანაში ხდებოდა. თუმცა ძალიან ხშირ შემთხვევაში საპირისპიროც. მაშინ, როცა საქართველოში რთული პერიოდი იყო, ბანკი ინარჩუნებდა სტაბილურობას, გამჭვირვალობას, და უარყოფით გარე ფაქტორებს თავისი სიძლიერით უპირისპირდებოდა. მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან ვამაყობთ პროფესიონალების იმ გუნდით, რომელიც აქ 17 წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა. ძირითადი ბირთვი ამ წლების მანძილზე არ შეცვლილა... 1998 წლის რუსული კრიზისის, 2008 წლის მსოფლიო კრიზისისა და ქვეყანაში მომხდარი ომის შემდგომ ჩვენ უფრო გავძლიერდით, ეს კი სწორედ ჩვენი გუნდის პროფესიონალიზმზე და ასევე იმაზე მიუთითებს, რომ ყველა სიტუაციისთვის საკმაოდ სერიოზულად ვართ მომზადებულები. ბანკის დღევანდელი მდგომარეობა როგორც უცხოელების, ისე ქართველების გაკვირვებას იწვევს. მათ უკვირთ, თუ როგორ შევძელით ასე ღირსეულად გამოვსულიყავით ძალიან რთული მდგომარეობიდან. რადგანაც ამდენ კრიზისებს, ომებს, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ შეფერხებებს გავუძელით, ვფიქრობ, რომ "თიბისი ბანკს" ძალიან დიდი მომავალი აქვს... უახლოეს პერიოდში საზოგადოებას კიდევ ბევრ საინტერესო სიახლეებს შევთავაზებთ,"** - აღნიშნა "თიბისი ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ მამუკა ხაზარაძემ.

გუშინ "თიბისი ბანკში" გამართულ საიუბილეო ღონისძიებაზე მთელი ისტორია გაიხსენეს და იმ ფაქტებზე ისაუბრეს, რომლებიც განსაკუთრებილი იყო "თიბისი ბანკის" ისტორიაში. გაიჭრა საიუბილეო ტორტი და "17 წლის განმავლობაში ერთგული თანამებრძოლის" სიგელებით არაერთი ადამიანი დაჯილდოვდა.

1992 წელს დაფუძნებულ ბანკს ერთი წლის შემდეგ საბანკო ოპერაციების წარმოების ლიცენზია მიენიჭა. 1994 წლისათვის ბანკის საწესდებო კაპიტალი 75 ათას ლარამდე გაიზარდა. 1995 წელს "თიბისი ბანკში" დღევანდელი მენეჯმენტის ძირითადი ბირთვი შეიქმნა. ერთი წლის შემდეგ ბანკმა დაიწყო მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსება და გაიხსნა პირველი საერთაშორისო საკრედიტო ხაზი. 1997 წელს "თიბისი ბანკი" ჩაერთო საერთაშორისო გადარიცხვების სისტემაში Western Union. 1998 წელს ამ კომპანიამ წარმატებით დაძლია რუსეთის ცნობილი ფინანსური კრიზისი. წლის ბოლოს ბანკის კაპიტალმა 7.344 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო წმინდა მოგება 2.394 ათასი ლარით განისაზღვრა. 1999 წელს "თიბისი ბანკმა" მონაწილეობა მიიღო "საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკის" (დღევანდელი "პროკრედიტ ბანკის") დაფუძნებაში. 2000 წელს "თიბისი ბანკის" აქციონერები გახდნენ საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) და გერმანიის ინვესტიციებისა და განვითარების კომპანია (DEG). ამავე წელს "თიბისი ბანკი" გახდა პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა. 2001 წელს ბანკმა დააფუძნა საქართველოს საპენსიო სადაზღვევო ჰოლდინგი - "GPI ჰოლდინგი". 2002 წელს ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით "თიბისი ბანკი" საქართველოში ყველაზე მსხვილი ბანკი გახდა და მისი წილი ბაზარზე შემდეგნაირად განისაზღვრა: მთლიანი აქტივები - 16.8%, საკრედიტო პორტფელი - 17.5%, მთლიანი დეპოზიტები - 23.0%. 2003 წელს Financial Taimes Group-ის ჟურნალ "The Banker"-ის ყოველწლიურ საბანკო რეიტინგში მსოფლიოს "წლის საუკეთესო ბანკებს" შორის დასახელდა. ამავე წელს ბანკმა დააარსა ყოველწლიური ლოტერატურული პრემია "საბა". 2004 წელს ბანკმა დააფუძნა კომპანია "თიბისი ლიზინგი". 2005 წელს გაიხსნა "თიბისი ბანკის" ახალი სათაო ოფისი, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში თბილისში აშენებულ უნიკალურ შენობაში განთავსდა. 2006 წელს "თიბისი ბანკი" დაჯილდოვდა ხარისხის საერთაშორისო ჯილდოთი Gold Star. საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Moody`s-მა კი ბანკს ამავე წელს პირველად მიანიჭა საკრედიტო რეიტინგი, რომელიც ქვეყნის მასშტაბით მიღწეულ ყველაზე მაღალ შეფასებას წარმოადგენდა. 2007 წელს "თიბისი ბანკს" მიენიჭა ხარისხის ყველაზე ავტორიტეტული სტანდარტი ISO 9001:2000. ასევე 2007 წელს ბანკმა რეგიონული განვითარება დაიწყო და ბაქოში პირველი ფილიალი გახსნა. ამავე წლის დეკემბერში "თიბისი ბანკმა" რებრენდინგი განახორციელა. საქართველოში პირველმა დანერგა ახალი ტიპის, მსოფლიოს თანამედროვე სტანდარტების მიხედვით შექმნილი საბანკო ფილიალები. 2008 წელს ბანკმა ანაბრების უპრეცედენტო აქცია - "გახდი მილიონერი "თიბისი ბანკთან" ერთად" - დაიწყო. გასული წლის 13 აგვისტოს კი 5 მილიონი ლარის ინვესტიციით საქველმოქმედო ორგანიზაცია - "თიბისი ფონდი" დააფუძნა. რაც შეეხება 2009 წელს, ამ პერიოდში "თიბისი ბანკის" აქციონერებს IFC, DEG და ქართველ კერძო პირებს შეემატა ოთხი უმსხვილესი საფინანსო ინსტიტუტი: EBRD, FMO, JP Morgan და Ashmore. საერთაშორისო საფინანსო სააგენტომ Fitchratings "თიბისი ბანკს" რეიტინგი "B" კატეგორიიდან "B+"-მდე აუმაღლა. მიმდინარე წელს ბანკს კიდევ ერთხელ გადაეცა ხარისხის მართვის სისტემის საერთაშორისო სერტიფიკატი ISO 9001:2008. გარდა ამისა, კომპანია გერმანულმა "დოიჩე ბანკმა" საუკეთესო ბანკად დაასახელა და "2008 USD STP Excellenec Award" სერტიფიკატი გადასცა. 2009 წელს გაიხსნა 4 ახალი ფილიალი და 1 სერვისცენტრი. ქართულ საბანკო სექტორში "თიბისი ბანკმა" დანერგა ორი ახალი პროდუქტი: "ბონუს ანაბარი" და "ენერგოკრედიტი". ასევე შექმნა სწრაფი გადასახადების ახალი მომსახურება "თიბისი ფეი". ოქტომბრიდან ბანკში გამარტივდა სესხის გაცემის პროცედურა და მკვეთრად შემცირდა საპროცენტო განაკვეთები ავტოგანვადებებზე, სამომხმარებლო და იპოთეკურ სესხებზე. 2009 წელი "თიბისი ბანკმა" დაიწყო იმით, რომ მილიონი ლარით დაასაჩუქრა 2008 წლის ანაბრების გათამაშებაში გამარჯვებული მეანაბრე. მიმდინარე წლის 31 დეკემბერს კი "თიბისი ბანკი" მილიონ ლარს კვლავ გაათამაშებს.

დემონოპოლიზაცია მუდმივი პროცესი უნდა იყოს

მეოთხე გვერდიდან

Airways"-სა და "American Airlines"-ს უკვე 13 წელია სურთ შექმნან ტრანსატლანტიკური საჰაერო მეგა ალიანსი. ევროკავშირის რეგულატორების განმარტებით, ეს შერწყმა არღვევს ევროკავშირის ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას. აღნიშნულთან დაკავშირებით კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. როგორც ხედავთ, ანტიმონოპოლიური სამსახურების მოღვაწეობა მკაცრია და შედეგიანი. ასეთ შემთხვევაში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევას ყველა კომპანია მოერიდება.

- რა შეცდომები იყო დაშვებული ანტიმონოპოლიური საქმიანობის განხორციელების თვალსაზრისით საქართველოში?

- გაუქმდა კანონი ანტიმონოპოლიური საქმიანობის და კონკურენციის შესახებ, რომელიც სრულიად შეეფერობდა საერთაშორისო სტანდარტებს. პრაქტიკაში ეს ანტიმონოპოლიური სამსახური არაქმედუნარიანი აღმოჩნდა, მაგრამ ეს კანონის ბრალი კი არ იყო, არამედ იმ პერიოდში არსებული სახელმწიფო მართვის სისუსტეებისა და პოლიტიკური ნების უქონლობისა. როგორ წარმოგიდგენიათ, ეს სამსახური შეძლებდა "მაგთის" და თუნდაც "ჯეოსელის" წინააღმდეგ რაიმე ღონისძიებების გატარებას? ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმებას კანონის გაუქმებაც მიაყოლეს. მსოფლიოში ვერ იპოვით ანალოგს ამჟამად არსებული მოქმედი კანონისა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ, რომელმაც თითქოს 1996 წელს მიღებული ანტიმონოპოლიური კანონი შეცვალა.

რეგულირების შერბილების და გაუქმების ტენდენცია აზარტულ თამაშში გადაიზარდა. ამის მეორე გამოვლინება საფინანსო სექტორის რეგულირების დაკნინება იყო, უპირველეს ყოვლისა, გამართულად მომუშავე საბანკო ზედამხედველობისა. კიდევ კარგი, რომ ეს შეცდომა დროზე იქნა გამოსწორებული და ბოლო მოეღო ეროვნული ბანკის დასუსტების პროცესს. კვლავ შეიცვალა საბანკო კანონმდებლობა და ცალკე გამოყოფილი საბანკო ზედამხედველობის სამსახური კვლავ დაუბრუნდა ეროვნულ ბანკს. ახლახან პარლამენტში გაჩნდა ინიციატივა ზოგიერთი სახის საბაჟო რეგულირების აღდგენისა. აზარტულობის მანიის კიდევ ერთი მაგალითია საბაჟო ტარიფების განულება. განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტზე საბაჟო გადასახადის გაუქმება იმ ქვეყნებთან, რომლებსაც სამაგიეროდ არ მიუღია ასეთივე გადაწყვეტილებები ჩვენი პროდუქციის სასარგებლოდ. ბაზარი თურქული პომიდვრით, კიტრით თუ კარტოფილით გაივსო. ჩვენ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ვართ, მაგრამ აქაც იყო საშუალება ზომიერი რეგულირებისა. პარლამენტის საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტმა შიდა ბაზრის დასაცავად ზოგიერთი სახის სასოფლო სამეურნეო პროდუქციაზე საბაჟო ბარიერების დაწესება წამოიწყო. მომხმარებელს იმპორტული პროდუქცია საგრძნობლად არ გაუძვირდება, ხოლო ადგილობრივ მეწარმეს საკუთარი წარმოების განვითარების და, შესაბამისად, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობა ეძლევა.

- რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას?

- სამსახური, რომელიც დემონოპოლიზაციას განახორციელებს, დაახლოებით იმ სტატუსის უნდა იყოს, როგორებიც არიან ქვეყანაში დამოუკიდებელი, მარეგულირებელი სამსახურები, კომუნიკაციებისა და ენერგეტიკისა და წყლის საჯარო სამართლის იურიდიული პირები. მათ დამოუკიდებლობის ხარისხს ისიც აძლიერებს, რომ მათი ბიუჯეტის შევსების წყარო რეგულირების საფასურია და ისინი სახელმწიფო ბიუჯეტზე დამოკიდებულები არ არიან. რაში მდგომარეობს ანტიმონოპოლიური სამსახურის არსი? მაგალითად, თუ ქვეყანაში ერთადერთ ფირმას შემოაქვს ბანანი ან ქათამი, ყოველთვის უნდა დაისვას შეკითხვა: რატომ? რა არის ამის მიზეზი? თუ რომელიმე ფირმამ თავისი ეფექტიანი საქმიანობით კონკურენტები ჩამოიცილა, ეს ნორმალურია. მეორეა, ამ შედეგს მან რაიმე პრივილეგიებით, ლობირებით ხომ არ მიაღწია? ხომ არ უწყობს არსებული კანონმდებლობა ან პოლიტიკური პრაქტიკა "ძველი" ფირმების სასათბურე ვითარებაში ყოფნას და "ახალი" ფირმების შეღწევას ბაზარზე? მსგავს კითხვებს უნდა გასცეს პასუხი ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა. ანტიმონოპოლიური სამსახური ზოგიერთს წარმოუდგენია რეპრესიის ორგანოდ, სინამდვილეში კი იგი ბიზნესის ხელშეწყობის, თავისუფალი კონკურენციის, თავისუფალი ფასწარმოქმნის, სამართლიანობის და საბაზრო მოთამაშეების თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენების გარანტია.

აუცილებელია შემუშავდეს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, რომელიც ამჟამად არ არსებობს. კანონი, რომლითაც განისაზღვრება ეკონომიკური აგენტების მეწარმე სუბიექტების პასუხისმგებლობა მის მიერ მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის და სხვა ქმედებებისათვის და რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კონკურენციის შეზღუდვა ან აღკვეთა ბაზარზე. მოქმედი კანონის "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" მიზანი და ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, მიუხედავად მათი ორგანიზაციული-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა, სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ხელი არ შეეშალოთ მათ თავისუფალ ვაჭრობასა და სრულყოფილ კონკურენციაში. ამ კანონის მეშვეობით ვერ ხორციელდება მონოპოლიური საქმიანობისა და მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღკვეთა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა. სასაქონლო და საფინანსო ბაზრების ანალიზი; მის საფუძველზე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენა; წარმოების, მონოპოლისტური კომპანიების შერწყმის და გაერთიანების პროცესი; მიმოქცევის საფინანსო სფეროების დემონოპოლიზაციის ღონისძიებათა შემუშავება. აღნიშნული კანონი არ ითვალისწინებს მონოპოლიური საქმიანობის განხორციელებისათვის სანქციებსა და შესაბამის პასუხისმგებლობას. ყოველივე ეს უნდა განისაზღვროს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით, უფრო სრულყოფილად, ვიდრე ეს იყო გათვალისწინებული 1996 წელს მიღებული, საქართველოს კანონით "მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ".

„გაერთიანებული ტელეკომის" საახალწლო აქცია - ინტერნეტის უფასო ინსტალაცია ერთი თვის განმავლობაში

„გაერთიანებული ტელეკომი" თბილისში ახალ, საახალწლო აქციას ატარებს. ერთი თვის განმავლობაში კომპანიის აბონენტები ინტერნეტში უფასოდ ჩაერთვებიან.

ის აბონენტი (ფიზიკური პირი), რომელიც 15 დეკემბერიდან 15 იანვრის ჩათვლით დარეგისტრირდება ცხელ ხაზზე 100-100 და დაიდგამს ინტერნეტს, ინსტალაციის საფასურს (20$) არ გადაიხდის.

კომპანია 6 სხვადასხვა პაკეტით ემსახურება აბონენტებს 1მგბ/წ- 8მგბ/წ. ასევე თავაზობს ინდივიდუალურ პაკეტებს კორპორატიულ კლიენტებს.

„გაერთიანებული ტელეკომი" ქვეყნის მასშტაბით 80 ათასზე მეტ ინტერნეტ აბონენტს ემსახურება.

რამდენიმე დღეში ადვოკატთა ასოციაციის ახალ თავმჯდომარეს აირჩევენ

20 დეკემბერს ადვოკატთა ასოციაციის ახალ თავმჯდომარეს აირჩევენ. ასოციაციის წევრთა საერთო კრება სპორტის სასახლეში გაიმართება.

თავმჯდომარის გარდა, ადვოკატები აღმასრულებელ საბჭოს, ეთიკისა და სარევიზიო კომისიებისა და მმართველობის სხვა რგოლების წარმომადგენლებსაც აირჩევენ.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში 4 ათასამდე ადვოკატია გაწევრიანებული.

პირველი

ომბუდსმენის საანგარიშო მოხსენება პლენარულ სხდომაზე

გიორგი ტუღუში საანგარიშო მოხსენებით პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დღეს წარდგება.

სახალხო დამცველის ანგარიში დაახლოებით 350 გვერდს მოიცავს. მასში საუბარია სამართალდამცველების მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებაზე, სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ პრობლემებზე, დევნილების პრობლემებზე და ა.შ.

აღნიშნულ დოკუმენტში საკმაოდ ვრცელი ადგილი აპრილ-მაისის საპროტესტო აქციებს და ამ პერიოდში დაფიქსირებულ დარღვევებს ეთმობა.

სახალხო დამცველის 2009 წლის პირველი ნახევრის ანგარიში პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა უკვე მოისმინა. **პირველი**

ავტოსაგაზაო შემთხვევა აეროპორტის ავტომაგისტრალზე

აეროპორტის ავტომაგისტრალზე ავტოსაგაზაო შემთხვევა მოხდა. "მერსედესის" მარკის სამგზავრო მიკროავტობუსი ჯერ ხეს, შემდეგ კი სარეკლამო აბრას შეეჯახა.

შემთხვევის შედეგად 10 ადამიანი დაშავდა. სასწრაფო დახმარებამ დაზარალებულები ქალაქის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც მათ დახმარება აღმოუჩინეს.

დაშავებულთა ნაწილი კლინიკიდან უკვე გაწერეს, ნაწილი კი საავადმყოფოში ამ დრომდე რჩება. ექიმების განცხადებით, მათ სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

ჯი-ეიჩ-ენი

უკრაინის ხელისუფლების მიერ მკვლელობისთვის ძებნილი პირი გლდანში დააკავეს

უკრაინის ხელისუფლების მიერ მკვლელობისთვის ძებნილი უკრაინის მოქალაქე ვიტალი კილიხევიჩი სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა თბილისში, მეტროს სადგურ "ახმეტელის თეატრთან" დააკავეს.

სასაზღვრო პოლიციის ინფორმაციით, კოლიხევიჩი ბრალდებულია წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ადამიანის გატაცებასა და მძევლად ხელში ჩაგდებული პირის განზრახ მკვლელობაში.

ვიტალი კილიხევიჩი 2009 წლის 26 ოქტომბრიდან იძებნება უკრაინის სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ, უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლის II ნაწილის III პუნქტით და 146-ე მუხლის III ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

აღნიშნული პირი მოთავსებულია წინასწარი დაკავების იზოლატორში და აღიარებს დანაშაულს.

ინტერპრესნიუსი

ადვოკატთა სკოლის პრეზენტაცია

სასტუმრო "რედისონ სას ივერიაში" გუშინ ადვოკატთა სკოლის პრეზენტაცია გაიმართა.

როგორც "ადვოკატთა სკოლაში" აცხადებენ, ინოვაციური პროექტი საადვოკატო ბიუროს "გაბუნია და პარტნიორები" ძალისხმევით ხორციელდება. პროექტის პარტნიორები არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ევროპის საარბიტრაჟო პალატა

"ადვოკატთა სკოლის" დაარსების მიზანია ახალგაზრდა იურისტებისთვის საადვოკატო პრაქტიკისთვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევების სწავლება პრაქტიკული მეცადინეობებისა და ტრეინინგების ფორმით, აგრეთვე სკოლის ლექტორი-პრაქტიკოსი ადვოკატების მიერ წარმოებულ სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სასამართლო პროცესებზე მათი დასწრება - ჩართულობის უზრუნველყოფა. ადვოკატთა სკოლაში მიღება იწარმოებს წინასწარი ტესტირების საფუძველზე.

ინტერპრესნიუსი

ცვლილება ქართულ კანონმდებლობაში და არასრულწლოვანთა დასჯის საერთაშორისო პრაქტიკა

ნათუნა ჯანგირაშვილი

უახლოეს პერიოდში საკანონმდებლო ორგანოში მთავარი პროკურატურის მიერ მომზადებული და მთავრობის მიერ მოწონებული კანონპროექტის განხილვა დაიწყება. საუბარია "სისხლის სამართლის კოდექსში" შესატან ცვლილებების პაკეტზე, რომელიც არასრულწლოვნებთან დაკავშირებით, სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის ლიბერალიზაციას და სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის 12-დან 14 წლამდე გაზრდას ითვალისწინებს.

არასრულწლოვნების მიერ ჩადენილ დანაშეულებთან დაკავშირებით, გამკაცრებული კანონმდებლობა ერთი წლის წინ ამოქმედდა და სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკობრივი ზღვარის 14-დან 12-წლამდე შემცირების საკითხი ხელისუფლებასა და მაშინდელ ოპოზიციას შორის სერიოზული დაპირისპირების საგანი გახდა. ხელისუფლება მაშინ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის 12 წლამდე დაწევას მოზარდებში კრიმინოგენული მდგომარეობის გაუარესებით ხსნიდა. 12 წლის ასაკიდან არასრულწლოვანი დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემას, არასაპარლამენტო ოპოზიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების გარდა, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე ელენე თედორაძეც აპროტესტებდა. ისივე, როგორც კანონოპრიოექტის სხვა ოპონენტები, ელენე თევდორაძეც სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილების განხილვაში პედაგოგების, ფსიქოლოგებისა და ექსპერტების ჩართვას მოითხოვდა.

არასრულწლოვნებთან დაკავშირებით, კანონმდებლობის გამკაცრება მაშინვე გააპროტესტეს საერთასორისო ორგანიზაციებმა და დღემდე საქართველოს მთავრობას ამ საკითხთან დაკავშირებით, რეკომენდაციას რეკომნდაციაზე აძლევდნენ.

"12 წლის ბავშვი საკმაოდ პატარაა იმისათვის, რომ მას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისროს. 12 წლის ბავშვები არა თუ ციხეში, არამედ სარეაბილიტაციო ცენტრებში უნდა მოხვდნენ," - ასეთი იყო რეკომენდაციები. გაერო-ს ბავშვთა უფლებების დაცვის ორგანიზაციამ საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო ვალდებულებებისა და არასრულწლოვანთა მიმართ ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის საერთაშორისო სტანდარტების შესრულება შეახსენა.

"სამწუხაროა, რომ საქართველოში არასრულწლოვანთათვის თავისუფლების აღკვეთა არ ითვლება უკიდურეს ზომად, არამედ პატიმრობა გამოიყენება მსუბუქი და საკმაოდ გავრცელებული დანაშაულის დროსაც, რაც ჩვენს აღშფოთებას იწვევს," - ნათქვამი იყო გაერო-ს ბავშვთა უფლებების დაცვის ორგანიზაციის საგანგებო განცხადებაში.

საერთაშორისო პრაქტიკა

მართალია, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის სხვადასხვა მინიმალური ასაკი არსებობს, მაგრამ ყველა ქვეყანა თანხმდება, რომ სისხლის სამართლის აერთო კანონმდებლობა არ უნდა გავრცელდეს 18 წელს მიუღწეველ პირებზე.

მაგალითად, პორტუგალიაში სისხლის სამართლის კოდექსის საერთო ნორმები არ გამოიყენება 1 წლამდე ახალგაზრდების მიმართ. ესპანეთში და ნორვეგიაში, სადაც სისხლის სამართლებრივი რულწლოვანების ასაკი 16 წელია, ამ ზღვარის 18 წლამდე აწევის შესაძლებლობას განიხილავენ.

გერმანიაში, სისხლის სამართლის კოდექსი აბსოლუტურად გამორიცხავს 14 წლამდე არასრულწლოვანის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. 14-დან 18 წლამდე მოზარდების მიმართ გამოიყენება არა სისხლის სამართლის კოდექსის ნორმები, არამედ არასრულწლოვანთა სასამართლოს შესახებ კანონი, რომელშიც მოცემულია ამ ასაკის პირების მიმართ გამოსაყენებელი სანქციები და პროცედურები. გარდა ამისა, კანონის მიხედვით, 14-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდები სარგებლობენ უპასუხისმგებლობის პრეზუმფციით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება მათ მიერ საკუთარი ქმედებების გაცნობიერება, შესაძლებელი იქნება მათი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა.

გერმანიის არასრულწლოვანთა სასამართლოს შესახებ კანონში მოცემულია სამი ტიპის სანქცია: აღმზრდელობითი ღონისძიებები, დისციპლინური ზომები და თავისუფლების აღკვეთა. რაც შეეხება თავისუფლების აღკვეთას, ეს ზომა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმიდან და მოზარდის "საშიში მიდრეკილებებიდან" გამომდინარე, პირველი ორი ტიპის ღონისძიებები არასაკმარისია.

1998 წლიდან ინგლისსა და უელსში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 10 წელია. 18 წლამდე ახალგაზრდა და, მით უმეტეს, 15 წელს მიუღწეველ პირს ყოველთვის არასრულწლოვანთა სასამართლო ასამართლებს. გარდა ამისა, დანაშაულის პირველად ჩამდენ არასრულწლოვნებსა და 12 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვებს არ უსჯიან წინასწარი პატიმრობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საუბარია არაერთგზის სამართალდარღვევაზე. 10-დან 17 წლამდე მოზარდების მიმართ, ძირითადად, აღმზრდელობითი და დისციპლინური სანქციები გამოიყენება. უიშვიათესი გამონაკლისების გარდა, 21 წლამდე ახალგაზრდა არასოდეს იგზავნება ციხეში. მათ ათავსებენ ახალგაზრდა სამართალდამრღვევთა დაწესებულებაში. როგორც წესი, სასჯელის ნახევრის მოხდის შემდეგ, მათ ათავისუფლებენ და ვადის გასვლამდე უწესებენ სოციალური სამსახურებისა და ნაციონალური პრობაციული სამსახურის მეთვალყურეობას.

საფრანგეთში არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები 1945 წლის 2 თებერვლის N45-174 ბრძანებულებით რეგულირდება. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 13 წელია. ბრძანებულებაში დეტალურადაა გაწერილი არასრულწლოვნის დაკავების პროცედურები. ბრძანებულების I მუხლის მიხედვით, არასრულწლოვნები არ შეიძლება გაასამართლოს საერთო სასამართლომ. ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, საქმეს განიხილავს ან ბავშვთა სასამართლო (შედარებით მსუბუქი სამართალდარღვევები) ან არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის სასამართლო (მძიმე დანაშაული). ბრძანებულების II თავი მთლიანად პროცედურას ეხება. პრინციპია, რომ არასრულწლოვანის დაკავება არ შეიძლება. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში დაშვებულია არასრულწლოვნის დაკავება მისი დაკითხვის მიზნით, თუმცა ამისთვის აუცილებელია მოსამართლის წინასწარი ნებართვა. დაკავების ხანგრძლივობამ არ უნდა გადააცილოს 12 საათს; დაუყოვნებლივ უნდა გააფრთხილონ მშობლები ან მეურვეები; დაკავების წუთიდანვე მოზარდს უფლება აქვს, გაესაუბროს თავის ადვოკატს. 13-დან 18 წლამდე არასრულწლოვანს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მიესაჯოს წინასწარი პატიმრობა, თუ დადასტურდება ამის აბსოლუტური აუცილებლობა და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი კონტროლზე აყვანა არასაკმარისი აღმოჩნდება. არასრულწლოვანთა მიმართ, ძირითადად, გამოიყენება აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებები. არასრულწლოვანს შეიძლება დაევალოს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ან თუ ამის შესაძლებლობა არსებობს, მიყენებული ზიანის გამოსასწორებელი სამუშაოები.

ჰოლანდიაში სისხლსის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 12 წელია. სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს 12-დან 18 წლამდე მოზარდების მიმართ გამოსაყენებელ სპეციფიკურ ნორმებს. ამავე კოდექსის მიხედვით, მოსამართლეს შეუძლია, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და ბრალდებულის პიროვნებიდან გამომდინარე, დაწიოს სისხლის სამართლებრივი სრულწლოვანების ასაკი 16 წლამდე.

სისხლის სამართლის კოდექსი არასრულწლოვნებისთვის ითვალისწინებს აღმზრდელობითი და დისციპლინური ღონისძიებების გატარებას. 15 წლამდე მოზარდის წინააღმდეგ არავითარი სისხლის სამართლის სასჯელის ზომა არ შეიძლება იყოს გამოყენებული.

15-დან 18 წლამდე მოზარდების მიმართ გამოყენებული სისხლის სამართლის სასჯელის ფორმებია მხოლოდ ჯარიმა და ერთი დღიდან ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა. სისხლის სამართლის კოდექსის ჩვეულებრივი ნორმები, გამოიყენება 18 წლის ზევით.

გაერო-ს ბავშვთა უფლებების დაცვის ორგანიზაციის წევრები ირწმუნებოდნენ, რომ მსოფლიოს პროგრესული საკანონმდებლო თეორიისა და პრაქტიკის თანახმად, ბავშვები, რომელთაც დაარღვიეს კანონი, მოიაზრებიან მსხვერპლად და არა დამნაშავეებად.

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი თომას ჰამარბერგი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებაში, მიიჩნევდა, რომ: **"გაერო-ს ბავშვთა კონვენციის მიხედვით, დამნაშავე არასრულწლოვნებს ისე არ უნდა ეპყრობოდნენ, თითქოს მათ პასუხისმგებლობა არ გააჩნიათ. პირიქით, არასრულწლოვნები პასუხისმგებელნი არიან საკუთარ ქმედებებზე და მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ჩადენილი დანაშაულის გამოსწორებაში. თუმცა, არასრულწლოვანთა გასამართლებისას არ უნდა იყოს დადგენილი სამაგიეროს გადახდის პრინციპი. მიზანი ისაა, რომ დაწესდეს პასუხისმგებლობა და ამავე დროს ხელი შეუწყონ არასრულწლოვანთა რეინტეგრაციას".**

პასუხისგებაში მისაცემ არასრულწლოვანთა ასაკის შემცირებისას, კანონპროექტით განსაზღვრული იყო, რომ საგამოძიებო და საბრალდებო უწყებებში გამომძიებელთა სპეციალური კატეგორია მომზადდებოდა, რომლებიც ამ ასაკის მოზარდების მიერ ჩადენილ დანაშაულებებს გამოიძიებდნენ და გადაწყვეტილებებს მიიღებდნენ. არასრულწლოვანთა საქმეები სპეციალურად მომზადებულ მოსამართლეებს, პროკურორებს და გამომძიებლებს უნდა განეხილათ და უნდა შექმნილიყო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპეციალიზირებული დაწესებულება - საპატიმრო 12-დან 14 წლამდე მსჯავრდებულებისთვის.

ამ ხნის განმავლობაში, გამომძიებლებმა და მოსამართლეებმა არასრულწლოვანთა საქმეების გამოსაძიებლად და განსახილველად სპეციალური კურსები უკვე გაიარეს. რაც შეეხება კანონის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუქნტს, რომელიც დამნაშავე არასრულწლოვნებისთვის სპეციალიზებული დაწესებულების შექმნას ითვალისწინებდა. მიუხედავად იმისა, რომ კანონი კარგა ხანია ძალაშია შესული, სპეციალიზებული დაწესებულება ჯერჯერობით კვლავ არ არსებობს.

ნატო-რუსეთის ურთიერთობა კვლავ მძიმედ ვითარდება

ივა შილაკაძე

გუშინ დამთავრდა ნატო-ს გენერალურ მდივან ანდერს ფოგ რასმუსენის ოფიციალური ვიზიტი რუსეთში - პირველი მისი ამ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ. მოსკოვში ვიზიტის ფარგლებში რასმუსენმა მოლაპარაკება გამართა საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან, შეხვდა პრეზიდენტ დმიტრი მედვედევს, პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინს, რუსეთის პარლმენტის ორივე პალატის სპიკერებს და უშიშროების საბჭოს მდივანს. (ვიზიტის წინაპირობებისა და მისი პირველი დღეების შესახებ დაწვრილებით წერდა "24 საათი").

საბოლოოდ, ზრდილობიანი დიპლომატიური ფორმულირებების უკან საქმეში მეტ-ნაკლებად ჩახედული ექსპერტის თვალი ადვილად შეამჩნევდა, რომ რასმუსენის სტუმრობას რაიმე ხელშესახები წინსვლა არ მოჰყოლია ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და რუსეთის ურთიერთობებში. გუშინ საღამოს ეს ორივე მხარის მიერ მიცემულ ინტერვიუებშიც დადასტურდა "ბი-ბი-სი"-სა და "ეხო მოსკვისთვის".

2008 წლის აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომის შემდეგ ეს ურთიერთობა რამდენიმე თვით საერთოდ გაიყინა, შეჩერდა ყველა ერთობლივი პროექტი და საქმე დიპლომატების გაძევებამდეც კი მივიდა, თუმცა 2009 წლის გაზაფხულიდან ამ ურთიერთობებმა ოდნავი გალღობა დაიწყო. საქმე ის არის, რომ ნატო-ს და რუსეთს გარკვეულ სფეროებში საერთო ინტერესები აქვთ და სერიოზული წინააღმდეგობების მიუხედავად თანამშრომლობა მაინც სჭირდებათ.

მთავარი საკითხი, რაშიც მხარეები თანხმდებიან - არის ავღანელი თალიბების მიმართ მიდგომა და ანდერს ფოგ რასმუსენის მისიის მთავარი მიზანიც სწორედ ეს იყო, რომ რუსეთი ავღანურ კამპანიაში უფრო აქტიურ მოქმედებებზე დაეთანხმებინა. რუსეთის მონაწილეობა ავღანეთში ცოცხალი ძალით გამორიცხულია, ყოველ შემთხვევაში ახლო მომავალში ეს საკითხი არც განიხილება. ნატო რუსეთისგან მოითხოვს ცეცხლსროლი იარაღისა და ვერტმფრენების გაგზავნას ავღანეთის არმიისათვის, აგრეთვე სპეციალისტების გაწვრთნას და ამ ვერტმფრენების შემდეგ უფასო მომსახურებას სათადარიგო ნაწილებითა და საწვავით.

ნატო-ს გენერალურმა მდივანმა პრემიერ პუტინთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ "ჩვენ გვაქვს საერთო გამოწვევები და ინტერესები, ხოლო ავღანეთი თანამშრომლობის საკვანძო მომენტია" და რომ "ის მოუთმენლად ელოდება ურთიერთობების შემდგომ გაუმჯობესებას". პუტინმა იქვე აღნიშნა, რომ "ჯერ კიდევ რჩება ბევრი საკითხი, სადაც მხარეთა პოზიციები ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ იმედი აქვს, რომ მომავალში უფრო მეტ სფეროში ითანამშრომლებენ.

ვიზიტის მესამე დღის ბოლოს ცხადი გახდა, რომ მოლაპარაკებები საკმაოდ რთულად წარიმართა. ნატო-მ არაფერი დათმო არც უკრაინასა და საქართველოს საკითხში, რაც რუსეთისთვის მტკივნეულია. არც მედვედევის ინიციატივას - ევროპული უსაფრთხოების ახალი ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ - დაუჭირა მხარი. რასმუსენი მხოლოდ ამ წინადადებების განხილვაზეა თანახმა, ისიც ძირითადად ეუთოს ფარგლებში. რასმუსენმა ინტერვიუ მისცა რადიოსადგურ "ეხო მოსკვის" აგრეთვე ბრიტანულ "ბი-ბი-სი"-ს, სადაც ეს ყველაფერი პირდაპირ განაცხადა. ნატოს გენერალურმა მდივანმა კვლავ აღნიშნა, რომ ნატო რუსეთისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს და თანამშრომლობის მთავარი სფერო ავღანეთია.

იმავე "ეხო მოსკვისათვის" მიცემულ ინტერვიუში რუსეთის ფედერაციის საბჭოს საგარეო ურთიერთობების კომიტეტის ხელმძღვანელმა მიხაილ მარგელოვმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე რუსეთისთვის საკმარისია ისიც, რომ რასმუსენი რუსეთის პრეზიდენტის ინიციატივების განხილვაში მონაწილეობს. ხელშეკრულების ეს ტექსტი სწორედ განსახილველად იყო მომზადებული და რუსეთს არ აქვს სიმართლის უკანასკნელ ინსტანციაზე პრეტენზია. მისივე სიტყვებით, ნატო-სთან შემდგომი თანამშრომლობის გაგრძელება რუსეთისთვისაც საჭიროა.

ნაზრანში კიდევ ერთი მანქანა აფეთქდა

ჩრდილოეთ კავკასიაში სროლით და აფეთქებით, სამწუხაროდ, ვეღარავის გააკვირვებ და შეიძლება არც გუშინწინ, ოთხშაბათს მომხდარი შემთხვევისთვის მიექცია მედიას სერიოზული ყურადღება, რომ არა დაღუპული და დაშავებული ადამიანების ვინაობა. თან ამ შემთხვევის სხვადასხვანაირი ინტერპრეტაცია არსებობს. ოფიციალური ვერსიით, ნაზრანიდან მაგასისკენ მოძრავი ავტომანქანა მკვეთრად შემოტრიალდა პოლიციის გადასატანი პოსტის დანახვისას, ცოტა ხანში კი აფეთქების ხმა გაისმა. ხელისუფლებამაც საქმე ამ ვერსიის მიხედვით აღძრა. ინგუშეთის ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერ მაგომედ ხაზბიევის ინფორმაციით კი, ავტომობილი მას შემდეგ აფეთქდა, რაც ის სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა კარგად შეამოწმეს. სამართალდამცავები სრული ეკიპირებით, ნიღბებით და მუზარადებით იყვნენ პოსტზე. საინტერესოა, რომ მანქანაში იჯდა ოჯახი სრული შემადგენლობით: ლეილა ჯანიევა და მისი შვილები, რუსლანი, ფატიმა და ამირი. აქედან ორი ადამიანი, ლეილა და რუსლან ჯანიევები დაიღუპნენ, ფატიმა და ამირი დაიჭრნენ. საქმე ის არის რომ დაჭრილი 27 წლის ფატიმა ჯანიევა 25 ოქტომბერს ყაბარდო-ბალყარეთში მანქანაში ჩაცხრილული ბიზნესმენისა და ადამიანის უფლებათა დამცველის, ყოფილი ოპოზიციონერის მაკშარიპ აუშევის ქვრივია. ფატიმა ჯანიევა-აუშევა აფეთქების მომენტისთვის ფეხმძიმედ იყო. სხვათა შორის, ათიოდე დღის წინ საავადმყოფოში გარდაიცვალა აუშევის ბიძაშვილი, რომელიც თავდასხმის დროს მანქანაში იჯდა და დაიჭრა. ის მკვლელობის ერთადერთი მოწმე. იყო ცოტა საეჭვოა, რომ რომელიმე ოჯახი ასეთი "სრული შემადგენლობით" წასულიყო ასაფეთქებელი ნივთიერებით სავსე მანქანით ტერაქტის მოსაწყობად.

რუსეთმა და ამერიკამ "სტრატეგიულ" შეთანხმებას ჯერ ვერ მიაღწიეს

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ 2010 წლისთვის ალბათ ვერ მოხერხდება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შესახებ ახალი ხელშეკრულების მომზადება. დაახლოებით ასეთივე აზრი გამოთქვა თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა რობერტ გიბსმა. მისი ხელმოწერის ერთ-ერთ სავარაუდო ადგილად კოპენჰაგენის სამიტიც სახელდებოდა, სადაც ორივე ქვეყნის პრეზიდენტები ჩადიან. ძველ ხელშეკრულებას ვადა 5 დეკემბერს გაუვიდა. თუმცა მხარეები გამოხატავენ მზადყოფნას, მალე შეათანხმონ პრობლემური საკითხები.

შვეიცარიული ბანკი ირანთან თანამშრომლობისთვის დაჯარიმდა

შვეიცარიული საბანკო ჯგუფის "კრედიტ სუისეს" (Credit Suisse) ხელმძღვანელობა დათანხმდა 536 მილიონი დოლარის გადახდას ჯარიმის სახით, ირანელი კლიენტების ინტერესების "ლობირებისათვის". ის მალავდა თავისი კლიენტების ვინაობას და ამერიკის ბაზარზე საქმიანობის საშუალებას აძლევდა ირანის წინააღმდეგ ამერიკული სანქციების მოქმედების პერიოდში. ეს უკვე მეორე ასეთი შემთხვევაა. მანამდე ირანელებთან საქმის დაჭერისთვის ბრიტანული "Lloyds-TBS" 350 მილიონი დოლარით დაჯარიმდა.

მოამზადა ივა შილაკაძემ

ბერლუსკონის თავს კიდევ ესხმოდნენ

მილანში მდებარე "სან-რაფაელის" საავადმყოფოში მოთავსებულ იტალიის პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონის, თავს ახალგაზრდა მამაკაცი ესხმოდა. ბოროტმოქმედი პრემიერ-მინისტრის პალატაში შესვლას ცდილობდა, როდესაც იგი დაცვის წევრებმა დააკავეს.

პოლიციის ინფორმაციით, ტურინის მკვიდრი, 26 წლის ახალგაზრდა, რომლის ვინაობასაც იტალიელი სამართალდამცველები ჯერ არ ამხელენ, საავადმყოფოს დაცვის თანამშრომლებმა ღამის ორ საათზე დააკავეს, როდესაც საავადმყოფოს მერვე სართულზე ასვლას ცდილობდა, სადაც პრემიერ-მინისტრი წევს. წინასწარი დასკვნით, ახალგაზრდა მამაკაცს ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს. დაკავებული სახელმწიფო პოლიციის სპეცდანაყოფის კონტროლის ქვეშ იმყოფება.

იტალიის პრემიერ-მინისტრსი "სან-რაფაელის" საავადმყოფოში მკურნალობის კურსს გადის, როგორც ცნობილია, გასულ კვირას მას თავს დაესხნენ. ერთ-ერთი ვერსიით, თავდამსხმელი მასიმო ტარტალია მარტო არ მოქმედებდა. არსებობს მოწმე, რომელიც ამბობს, რომ დაინახა, თუ როგორ გადასცა ტარტალიას სხვა მამაკაცმა რაღაც საგანი, ბერლუსკონიზე თავდასხმის მცდელობამდე რამდენიმე წუთით ადრე.

ბერლუსკონის უცნობი პირი გასულ კვირას, მასობრივ მიტინგზე გამოსვლის შემდეგ დაესხა თავს. როგორც გაირკა, 42 წლის მასიმო ტარტალიამ, რომელიც ფსიქიკური პრობლემების გამო დიდი ხნის განმავლობაში გადიოდა მკურნალობის კურსს, საკმაოდ მძიმე მეტალის სუვენირი ბერლუსკონის დაახლოებით ორი, სამი მეტრის მანძილიდან ჩაარტყა. რის შედეგადაც პრემიერს ცხვირი გაუტყდა, დაუზიანდა კბილები და ტუჩი. "სან-რაფაელის" საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ, ექიმებმა განაცხადეს, რომ მისი მდგომარეობა გაცილებით მძიმე იყო, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა.

სამართალდამცველები ეჭვობენ, რომ ტარტალია მარტო არ მოქმედებდა. მათ ინციდენტის მოწმე, ანდრეა დი სორტე დაკითხეს. მოწმის ჩვენებით, მან დაინახა, რომ ვიღაცამ პრემიერ-მინისტრზე თავდასხმამდე რამდენიმე წუთით ადრე ტარტალიას რაღაც საგანი გადასცა. მისი განცხადებით, თავდასხმის დროს, იგი 5-6 ნაბიჯის დაშორებით იდგა ბერლუსკონისგან და პირდაპირ ხედავდა თავდამსხმელს.

დაკავებული თავდამსხმელი მილანში, "სან-ვიტორეს" ციხის სპეციალურ ნევროფსიქოლოგიურ ცენტრშია მოთავსებული. დაკითხვისას მან განაცხადა, რომ მარტო მოქმედებდა და თავდასხმის რაიმე პოლიტიკური მოტივი კატეგორიულად უარყო.

თავდასხმიდან ორი დღის შემდეგ, ტარტალიამ იტალიის პრემიერ-მინისტრს წერილი გაუგზავნა, სადაც მომხდართან დაკავშირებით ბოდიში მოუხადა და ჩადენილ დანაშაულს დაუფიქრებელი და მხდალი საქციელი უწოდა. მომხდართან დაკავშირებით კი ღრმა მწუხარება გამოთქვა.

ბერლუსკონის საავადმყოფოდან დღეს გამოწერენ. დღესვე მილანის სასამართლომ თავდამსხმელ მასიმო ტარტალიასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს. ტარტალიას ადვოკატები მის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაყვანას ითხოვენ. პროკურორი კი აცხადებს, რომ მან ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელი უნდა მოიხადოს.

გარდაიცვალა ეგორ გაიდარი

მოსკოვში 53 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა რუსეთის საბაზრო რეფორმების არქიტექტორი ეგორ გაიდარი. 1991 წელს ბორის ელცინმა, მაშინ არცთუ ცნობილი ახალგაზრდა ეკონომისტი მთავრობაში ვიცე-პრემიერისა და ფინანსთა მინისტრის პოსტზე მიიწვია. ამის მთავარი მიზეზს ის წარმოადგენდა, რომ გაიდარი მზად იყო, ხელისუფლებაში თავისი გუნდით მოსულიყო, თანამოაზრე ახალგაზრდა ეკონომისტებთან ერთად. ეს ჯგუფი ისტორიაში სწორედ ამ სახელით შევიდა - "გაიდარის გუნდი". უმაღლესმა საბჭომ ელცინს გაიდარის პრემიერად დანიშვნის საშუალება არ მისცა და მას მოვალეობის შემსრულებლის სტატუსით მოუწია მუშაობა. ეგორ გაიდარი იყო მემარჯვენე ლიბერალური ეკონომიკური მოდელის მომხრე. მუშაობის ერთი წლის განმავლობაში გაიდარის გუნდმა რუსეთში გააუქმა გეგმიურ-გამანაწილებელი სისტემა და აამუშავა საბაზრო მექანიზმები, მოახდინა ფასების ლიბერალიზაცია, დაიწყო პრივატიზაცია, მოსპო დეფიციტი და რიგები, განახორციელა რუბლის საერთაშორისო კონვერტაცია და გაათავისუფლა საგარეო ვაჭრობა. გაიდარი და მისი მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ მხოლოდ ასეთმა ენერგიულმა ნაბიჯებმა იხსნა რუსეთი შიმშილისგან, სიცივისგან, ტრანსპორტის გაჩერებისა და სამეურნეო კავშირების სრული მოშლისგან 1991-1992 წლების ზამთრის კრიტიკულ სიტუაციაში. ცხადია "შოკური თერაპიის" ასეთ სწრაფ ნაბიჯებს ბევრი ურყოფითი მოვლენაც მოჰყვა, იქნებოდა ეს ჰიპერინფლაცია, ანაბრების გაუფასურება, არკონკურენტუნარიანი საწარმოების ფაქტობრივი გაჩერება და სხვ. ყველაფერი ეს გაიდარის მიმართ უკმაყოფილებას ზრდიდა, კომუნისტებისა და ნაციონალისტებისთვის ის სიძულვილის ობიექტად იქცა.

თვითონ გაიდარი მოვლენების ასეთ განვითარებას წინასწარმეტყველებდა. თავს და მეგობრებს "კამიკაძეთა გუნდს" უწოდებდა. მას მალე მოუწია მთავრობიდან წასვლა. ბორის ელცინმა გაიდარი 1993 წელს ისევ მიიწვია პირველ ვიცე-პრემიერად, მაგრამ ოთხი თვის მუშაობის შემდეგ გაიდარმა პოსტი დატოვა სახელმწიფო დუმის დეპუტატად არჩევის გამო. ის ხელმძღვანელობდა თავის შექმნილ პარტიას "რუსეთის დემოკრატიული არჩევანი". 1999 წელს ის კვლავ აირჩიეს დეპუტატად "მემარჯვენე ძალთა კავშირიდან", რომელშიც მისი პარტიაც შედიოდა. გაიდარი დღემდე ხელმძღვანელობდა გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის ინსტიტუტს. დაწერილი აქვს რამდენიმე წიგნი.

გაიდარის თანაშემწემ გენადი ვოლკოვმა გუშინ განაცხადა, რომ ცნობილ რუს ეკონომისტს და პოლიტიკოსს შაბათს ნოვოდევიჩის სასაფლაოზე დაკრძალავენ.

მოამზადა ივა შილაკაძემ

კოპენჰაგენში შეთანხმების მიღწევა ვერ ხერხდება

მარიკა იაშვილი

გაერო-ს სამიტი დასასრულს მიუახლოვდა, თუმცა კოპენჰაგენში შეთანხმების მიღწევა მაინც ვერ ხერხდება.

განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები ვერ წყვეტენ, თუ როგორ ან რა დონემდე უნდა მოხდეს გამონაბოლქვის შემცირება და რა თანხები უნდა გამოიყოს ამ კუთხით ღარიბი ქვეყნების დასახმარებლად. თუმცა ფინანსები ერთადერთი საკითხია, რომელშიც უმნიშვნელო პროგრესი შეიმჩნევა.

დღეს დასკვნით დოკუმენტს უნდა მოეწეროს ხელი და სწორედ ამ მიზნით დანიის დედაქალაქში ათობით სახელმწიფოს ლიდერი ჩავიდა. სამიტში უშუალო მონაწილეობით სახელმწიფოთა მეთაურები იმის დემონსტრირებას ცდილობენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის კლიმატური პრობლემები. სამიტის დასკვნით დღეს სიტყვით ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა გამოვა. სწორედ ამის შემდეგ ეცდება 120 ქვეყნის ლიდერი კლიმატურ ცვლილებებთან საბრძოლველად შემუშავებული სტრატეგია ხელმოწერით დაადასტუროს. დოკუმენტმა, გეგმის მიხედვით, კოტის ხელშეკრულება უნდა ჩაანაცვლოს, რომელსაც მოქმედების ვადა 2012 წელს ეწურება.

თუმცა დოკუმენტის გაფორმების მიმართ სკეპტიციზმი სულ უფრო იზრდება. ჩინეთი მასპინძელ დანიას არასაკმარის გამჭვირვალობაში ადანაშაულებს იმის გამო, რომ დოკუმენტის სამუშაო ვერსიის შექმნისას კონსულტაცია ყველა ქვეყანასთან არ გამართულა. ჩინეთისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ შეთანხმების მიღწევა სერიოზული საფრთხის წინაშე დგას და მოლაპარაკებები "საშიშ ნიშნულს" მიუახლოვდა. სამიტის მიმდინარეობით უკმაყოფილებას ევროკომისიის პრეზიდენტი ჟოზე მანუელ ბაროზუც გამოხატავს. უგო ჩავესი კი აცხადებს, რომ "კლიმატი კაპიტალისტური ბანკი რომ ყოფილიყო, დასავლეთი მას დიდი ხნის წინ გადაარჩენდა."

უთანხოების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად თანხები იქცა, რომლებიც განვითარებულმა ქვეყნებმა განვითარებად ქვეყნებს კლიმატური ცვლილებების შედეგებთან საბრძოლველად უნდა გამოუყონ. თუმცა საბოლოოდ გარკვეული შედეგების მიღწევა ამ სფეროში მაინც მოხერხდა, რადგან იაპონიამ განაცხადა, რომ დოკუმენტის გაფორმების შემთხვევაში მზად არის, განვითარებად ქვეყნებს 2010 - 2012 წლებში ყოველწლიურად 5 მილიარდი დოლარი გამოუყოს. იაპონიის გადაწყვეტილებას წინ უძღოდა გასულ კვირას ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ გაკეთებული განცხადება, რომ ისინი მზად არიან, ღარიბ ქვეყნებს ყოველწლიურად 3.5 მილიარდი დოლარი გადაურიცხონ. ამავე ოდენობის თანხის გამოყოფის პირობა დადო ექვსეულმაც, რომელშიც ავსტრალია, საფრანგეთი, იაპონია, ნორვეგია, დიდი ბრიტანეთი და ამერიკა შედიან. თუმცა იაპონია აცხადებს, რომ თანხის გამოყოფას მხოლოდ ყველა მონაწილისთვის მისაღები შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში დათანხმდება. სწორედ იაპონია იცავს ყველაზე მეტად პოზიციას გამონაბოლქვთან ბრძოლის შესახებ.

ამავე დროს გრძელდება დემონსტრაციები, რომლებშიც შედეგის მიუღწევლობით უკმაყოფილო ადამიანები, ძირითადად, ცხადია, "მწვანეები" მონაწილეობენ. კოპენჰაგენში პროტესტის ტალღა იმ ფაქტმაც გამოიწვია, რომ რიგითი მსურველები სამიტზე დასწრებას ვერ ახერხებენ.

მარტო გუშინწინ აქციების დროს პოლიციამ 260 ადამიანი დააკავა. დემონსტრანტების დასაშლელად სამართალდამცავები ხელკეტებსა და ცრემლსადენ გაზს იყენებენ.

დაფინანსების პრობლემების გარდა, სამიტის მონაწილეებმა კიდევ მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრობლემები უნდა მოაგვარონ. მათ შორის გამონაბოლქვის შემცირების და მსოფლიოში ტემპერატურის ორი ან ერთნახევარი გრადუსით შემცირების პრობლემები. ამ ფონზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას ეჭვქვეშ სამიტის სულ უფრო მეტი მონაწილე აყენებს, თუმცა, როგორც გორდონ ბრაუნმა განაცხადა, "თუ გადაწყვეტილების მიღება ამ კვირაში ვერ მოხერხდება, ხალხს ეჭვი შეეპარება, რომ მისი მიღწევა საერთოდ აღარ იქნება შესაძლებელი".

რუსეთი, ნატო და ავღანეთი: დიდი თამაში დიდი ფსონებით

რას ფიქრობდა დმიტრი მედვედევი, როდესაც ის დადებითად შეხვდა ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას გეგმებს ავღანეთში შეიარაღებული ძალების რაოდენობის გაზრდის შესახებ?

"თალიბანის" წინააღმდეგ ომის გაფართოების შესახებ ბარაკ ობამას გეგმა ყველა მხრიდან იღებს მხარდაჭერას - ლიბერალებიდან ნეოკონსერვატორებამდე და მსოფლიო ლიდერებიდან რუსეთამდე. როგორც ცოტა ხნის წინ ჩატარებულ პრესკონფერენციაზე დმიტრი მედვედევმა განაცხადა, ოფიციალური მოსკოვი მზად არის, თავისი პარტნიორების მიერ გადადგმულ ყველა ნაბიჯს დაუჭიროს მხარი, მათ შორის ავღანეთთან მიმართებაში განხორციელებულ გეგმებსაც.

ივლისში მოსკოვმა და ვაშინგტონმა გააფორმეს ხელშეკრულება, რომელიც აშშ-ს საშუალებას აძლევს, რუსეთის საჰაერო სივრცის გამოყენებით წლის განმავლობაში საშუალოდ 4500 ავიარეისი განახორციელოს, რამაც მათ ავღანეთისთვის განკუთვნილი ტვირთის ტრანსპორტირების დამატებითი საშუალება მისცა. ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა ქვეყანა ავღანეთიდან თავისი ჯარების გამოყვანას ითხოვს, ანდერს ფოგ რასმუსენმა შეძლო, ნატო-ს წევრი 25 ქვეყანა დაეთანხმებინა, რომ მომავალ წელს შუა აზიაში დისლოცირებული სამხედრო შენაერთების რაოდენობა, საერთო ჯამში, დაახლოებით, 7 ათასამდე ჯარისკაცით გაზარდონ. არ არის გამორიცხული, ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდეს. მით უფრო, რომ ობამას ინიციატივას თალიბთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რასმუსენი ღიად მიესალმება.

იმის ახსნას, თუ რატომ უწევენ იგნორირებას ევროპელი ლიდერები თავისი ამომრჩევლების სურვილს ავღანეთთან მიმართებაში, ექსპერტები ასე ხსნიან: "მოტივაციის კუთხით თუ ვიმსჯელებთ, მხოლოდ ძალიან ცოტა ევროპულ ქვეყანას სჯერა, რომ "ალ კაიდასა" და თალიბანის განადგურება მათი უსაფრთხოებისთვის აუცილებელია. ამიტომ ავღანეთში დამატებით ძალებს ისინი, ძირითადად, ნატო-ს ავტორიტეტის შესანარჩუნებლად გზავნიან. ნატო ყოველთვის ახერხებდა იმის ბოლომდე მიყვანას, რასაც იწყებდა. გარდა ამისა, ევროპას სურს, რომ აშშ ევროპის თანამოაზრე იყოს არა მხოლოდ უსაფრთხოების საკითხში, არამედ რუსეთის მომავალი მაკონტროლებლის როლშიც."

საბოლოო ჯამში, ახლო მომავალში ავღანეთში ამერიკისა და ნატო-ს ძალების საერთო რაოდენობა 150 ათასი ჯარისკაცი იქნება 50 ქვეყნიდან, მხედველოაში თუ არ მივიღებთ იმ 80 ათას დაქირავებულ მებრძოლს, რომლებიც თავის საქმეს უკვე ასრულებენ. ამგვარად, მათი საერთო რაოდენობა 230 ათასი ჯარისკაცი იქნება. ყველა ევროპულ სახელმწიფოს, გარდა კვიპროსის, მალტის, ბელარუსის, რუსეთისა და სერბეთისა, ავღანეთში თავისი ჯარები ეყოლება. გარდა ამისა, იქ იქნებიან 9 პოსტსაბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლებიც.

ავღანეთში კოალიციისა და ამერიკის სამხედრო ძალების რაოდენობა უპრეცედენტო იქნება. ასეთი რაოდენობის კოალიციის შექმნა ამერიკამ და დიდმა ბრიტანეთმა ერაყის ომის დროსაც კი ვერ შეძლეს.

ბოლო სამი დიდი ომი - იუგოსლავია, ავღანეთი და ერაყი - ნატო-სთვის ნამდვილი გამოცდა იყო. სწორედ ამით აიხსნება ამერიკელი მაღალჩინოსნების გახშირებული ვიზიტები ორგანიზაციის მომავალი წევრი ქვეყნების დედაქალაქებში. მათ სურთ, ჰქონდეთ გარანტია, რომ ალიანსის წევრობის შემთხვევაში ისინი სამხედრო შენაერთების შუა აზიაში გაშვებას დათანხმდებიან.

მაგალითისთვის, სომხეთმა გამოიჩინა კეთილი ნება და გადაწყვიტა, რომ გერმანიის ბაზებზე საწვრთნელად გაუშვას 40 მშვიდობისმყოფელი, რომლებიც მოგვიანებით ავღანეთში გაემგზავრებიან. ხოლო სომხეთის დაუძინებელმა მტერმა აზერბაიჯანმა გადაწყვიტა, ავღანეთში მყოფი თავისი 90 ჯარიკაცის რაოდენობა გააორმაგოს. საინტერესო იქნება, თუ სომეხ და აზერბაიჯანელ სამხედროებს ერთად მოუხდებათ ცხოვრება, რადგან მათ ერთმანეთის წინააღმდეგ ომისთვის უფრო მეტი მიზეზი აქვთ, ვიდრე ავღანელებთან საომრად.

აგრეთვე ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა შეასრულოს ამ ენობრივმა ბაბილონის გოდოლმა ეფექტიანი ორგანოს როლი რადიკალი მუსლიმების წინააღმდეგ, რომლებიც მზად არიან, დამპყრობელთა გასაგდებად სიცოცხლე დაუფიქრებლად გაწირონ.

რუსეთის უმოქმედობა ავღანეთთან მიმართებაში იმით აიხსნება, რომ აშშ აქტიურად ცდილობს, მთელი პოსტსაბჭოთა სივრცე ნატო-ს გავლენის სფეროდ აქციოს, რაც რუსებისთვის სასურველი მოვლენა ნამდვილად არ არის. მით უფრო, რომ როგორც მოსკოვში მიიჩნევენ, ნატო არ წყვეტს თავის მუდმივ მაქინაციებს ჩეჩნეთში, რომელიც რუსეთის უშიშროებისთვის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ საფრთხედ მიიჩნევა.

თუმცა ამავე დროს რუსეთი სულ უფრო აჭიანურებს ირანისთვის დახმარების აღმოჩენას - როგორც ბირთვული იარაღის, აგრეთვე ყველაზე თანამედროვე საზენიტო რაკეტების მიწოდების საკითხში და ეს, როგორც ჩანს, ამერიკის პოზიციის გათვალისწინების ბრალია. ახლა კი უცებ ოფიციალური მოსკოვი კმაყოფილია ამერიკის მიერ ავღანეთში ომის გაფართოებით, რომელსაც ანალიტიკოსების ნაწილი წაგებულ და დანაშაულებრივ ომად მიიჩნევს. საინტერესოა, ხომ არ არის ეს რუსეთის სისუსტის გამოვლინება და მის მიერ ამერიკული გეგმების მიღება, რომლებიც ევრაზიის ჰეგემონიზაციას ითვალისწინებს, რამაც, საბოლოო ჯამში, შეიძლება თავად რუსეთის ფედერაციის არსებობას შეუქმნას საფრთხე?

ამავე დროს, რუსეთი ისევ გარდამავალ მდგომარეობაშია. მას სურს, იყოს დასავლეთის ნაწილი და ამავე დროს შუამავალი დასავლეთსა და მთელ დანარჩენ მსოფლიოს შორის. რუსეთის ელჩი ნატო-ში დმიტრი როგოზინი მიიჩნევს, რომ ამერიკა, ევროკავშირი და რუსეთი უნდა გაერთიანდნენ, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ერთმანეთის მიყოლებით დამარცხდებიან. რასაკვირველია, როგოზინს არ სურს, რომ ნატო-მ რუსეთს მარშით გადაუაროს. მას სურს, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი უსაფრთხოების შესახებ ერთობლივმა რუსულ-ევროპულმა შეთანხმებამ ჩაანაცვლოს.

ბუნებრივია, ნატო ერთ მშვენიერ დღეს ვერ აორთქლდება, იმ შემთხვევის გარდა, თუ მისი ბოლო თავგადასავალი ავღანეთში კრახით დასრულდება. ამიტომ რუსეთი ამ ომს, მართალია უღიმღამოდ, მაგრამ მაინც გაგებით ეკიდება.

შესაძლოა, ობამა ოსლოში ძალიან იყო დაკავებული და ვერ გაიგო, მაგრამ როგოზინმა განაცხადა, რომ ავღანეთისთვის განკუთვნილი ტვირთის რუსეთის ტერიტორიაზე ტრანზიტი შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის წინადადება ევროპული უსაფრთხოების ახალი სტრუქტურის შექმნის თაობაზე სერიოზულად არ იქნება განხილული. თუ მოვლენები ამერიკისთვის ყველაზე არასასურველი სცენარით განვითარდება და ავღანური ავანტურა წარუმატებლად დასრულდება, მაშინ რუსეთის სერიოზულად აღქმა არა მარტო ამერიკას, არამედ ევროპასაც მოუწევს, რაც "ატლანტიზმის" რუს მომხრეებს საშუალება მისცემს, ევროპასთან ინტეგრაცია ამერიკის ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე განახორციელონ. მაგრამ თუ ავღანური ოპერაცია წარმატებით დასრულდება და ნატო კიდევ უფრო გაძლიერდება, რუსეთს მოუხდება უარის თქმა თავის ევროპულ ოცნებაზე, რომლის მიხედვითაც ის ევროპის მაკონტროლებელი უძლიერესი თვითმპყრობელობა იქნებოდა, რომელიც ამერიკული იმპერიის დაშოშმინებას შეძლებდა.

იმ დროს, როდესაც ეს ინტრიგა ჯერ კიდევ ვითარდება, მდგომარეობის შეცვლა ბევრ მოვლენას შეუძლია. მაგალითად, უზბეკეთმა და ტაჯიკეთმა, ორმა მოქიშპე სახელმწიფომ, რომლებიც ავღანეთს ესაზღვრებიან და რომლებსაც ობამას გეგმების განხორციელებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვთ, ერთმანეთს, პრაქტიკულად, ომი გამოუცხადეს, რაც ამერიკული ტვირთის ავღანეთში გადაზიდვას მნიშვნელოვნად ართულებს. უზბეკეთის მიერ შუააზიური ენერგეტიკული სისტემიდან გამოსვლის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ტაჯიკეთი მეზობლისთვის წყლის მიწოდების შეწყვეტით დაიმუქრა და ახლა ვინ იცის, ეს ყველაფერი როგორ დამთავრდება. ყოველი შემთხვევისთვის, მათ თავიანთი შეიარაღებული ძალები ავღანეთში არ გაუგზავნიათ, სადაც ისინი, სომხებისა და აზერბაიჯანელების მსგავსად, აღმოჩნდებოდნენ ცდუნების წინაშე - თალიბების ნაცვლად იარაღი ერთმანეთისთვის მიეშვირათ.

"thepeoplesvoice.org"-ის (აშშ) მიხედვით მოამზადა მარიკა იაშვილმა

P.S. მიუხედავად იმისა, რომ ეს თვალსაზრისი მოვლენათა განვითარების თუ სახელმწიფოთა პერსპექტიული გეგმების მხოლოდ ერთ-ერთი ვარიანტია, მას არსებობის სრული უფლება აქვს და მეტიც, ის საკმაოდ საინტერესოა. თუმცა მაინც მიგვაჩნია, რომ ამ სტატიაში ცოტა ზედმეტად არის შეფასებული რუსეთის როლი და შესაძლებლობები, ყოველ შემთხვევაში, მისი ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობის პირობებში. ფაქტობრივად, არაფერია ნათქვამი

რევიუ

სანამ გავიღიმებთ და სანამ ჩიტი გამოფრინდება, გონზაგოს მკვლელობას უნდა დავესწროთ

სოფო კილასონია

დღეს და ხვალ, ანუ 18 და 19 დეკემბერს რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე წარმოდგენილი იქნება პრემიერა, გიო მგელაძის სპექტაკლისა "გაიღიმეთ, ჩიტი გამოფრინდება". მონაწილეობენ: ეკა მოლოდინაშვილი, დათუნა გოცირიძე, გოგა ბარბაქაძე, რუსუდან მაყაშვილი, ქეთი ხიტირი, დავით პაპუაშვილი, ზუკა პაპუაშვილი, ზაალ ბარათაშვილი. პიესის ავტორი და რეჟისორი გიო მგელაძე.

ეს ის დადგმაა, რომელსაც დიდი ხანია ველოდით. მართალია, რუსთაველის თეატრიდან მოსული მწირი შეტყობინება სხვა დანარჩენზე დუმს, თუმცა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სპექტაკლის მხატვარია ბევრისთვის კარგად ცნობილი და ბევრისთვის ალბათ საინტერესო მხატვარი - პოლინა რუდჩიკი. სამწუხაროდ, ვერაფერს ვიტყვით დადგმის მუსიკალურ გამფორმებელზე და ქორეოგრაფზე. თუ მონაწილეობენ ასეთები საერთოდ გიო მგელაძის პროექტში. აღნიშნულ დადგმას კი პროექტად იმიტომ მოვიაზრებ, რომ ის არსით ექსპერიმენტია და როგორც პროექტმა გაიმარჯვა რუსთაველის თეატრის მიერ ინიცირებულ კონკურსში. კონკურსი სწორედ რომ საინტერესო ჩანაფიქრის გამოვლენას გულისხმობდა. სასიხარულოა, რომ ამ პრემიერით ერთი პროექტი მაინც მიიღებს ლოგიკურ დასკვნას და თანაც ექსპერიმენტული სცენაც სახელს გაამართლებს, რეპერტუარის გამრავალფეროვნებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. სხვა დანარჩენზე საუბარი დღეს ნაადრევია, თუმცა პრემიერებს აუცილებლად დავესწრებით და ამაზე მოგვიანებით გავარგძელებთ, ანუ მას შემდეგ, რაც ერთი გულიანად გავიღიმებთ და ჩიტიც გამოფრინდება.

აი, დღეს კი ორიოდ სიტყვით რუსთაველის თეატრის მცირე სცენის რეპერტუარში სულ ცოტა ხნის წინ შესულ სულ სხვა დადგმაზე გავამახვილოთ ყურადღება. გიო მგელაძის დღევანდელი, ჯერ არნახული წარმოდგენა, მხოლოდ მიზეზია ჩემთვის, რათა გაგა გოშაძის ორი კვირის წინ წარმოდგენილ სპექტაკლზე დისკუსიას აქტუალობა შევძინო და წერილი, რომელიც უსასრულოდ გაგრძელებული ჩემი ვირუსის გამო სადღაც გადავინახე (დაგვიანებისთვის მკითხველს ბოდიშს ვუხდი), როგორმე დავასრულო.

მოკლედ ასე, "გონზაგოს მკვლელობა", თანამედროვე ბულგარელი პოეტის, პუბლიცისტისა და დრამატურგის, ნედიალკო იორდანოვის პიესაა. ავტორმა შექსპირისეული ჰამლეტის ამბავი საკუთარსავე დრამატურგიულ ღერძზე დაატრიალა და ჰამლეტის ტრაგედიის პარალელური დინებების კულუარული ისტორია გამოიგონა. გამოგონილი ავანსცენაზე გამოიტანა და თანამედროვეობისთვის აქტუალური, პერიოდულად კი ზოგადი - ეგზისტენციალური პრობლემები, ძალიან მარტივი ენითა, ფორმისეული წიაღსვლებით, "გაცვეთილი" ფრაზებით გაახმიანა. შესაძლოა ენის სიმარტივე მეჩვენება, მაგრამ წამოწეული პრობლემები ნამდვილად აღარ არის ერთუცნობიანი განტოლება მაინც. ენობრივ საკითხს არ შევეხებით, თუმცა რომ არ ვუწოდოთ მას ბანალური, მხოლოდ იმას დავუმატებ, რომ ლაიტმოიტივიც თითქოს მოსმენილია: მსახიობების ბედი პოლიტიკოსების ხელშია. ადამიანები პაიკები ვართ, - გადაძახილი უბრალო ადამიანისა და ამა ქვეყნის ხელისუფალთა უთანასწორო ტანდემზე. მიუხედავად ამ საკითხების მეტისმეტი ცნობადობისა, სპექტაკლის დიდი ნაწილი მაინც ყურადღებია. პრემიერებზე თითქმის სავსე დარბაზი გოშაძის ინსცენირებას საკმაო სიმშვიდითა და მოთმინებით ადევნებდა თვალს. ამას კი ჩემი აზრით, რამდენიმე მიზეზი ჰქონდა და მათ შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ.

მიზეზთაგან ერთ-ერთი სწორედ ის არის, რასაც შეიძლება ამ სპექტაკლის არსებობის მთავარი მოტივაცია დავარქვათ. მოტივაცია, რომელმაც რეჟისორს ეს პიესა შეარჩევინა. "გონზაგოს მკვლელობა" მაინც პოლიტიკური პიესაა და მოისმენთ თუ არა დიალოგებს დიქტატურის, ხელისუფალის ფობიების, სახელმწიფოებრივი წყობის კრიტიკის და ა.შ. თემებზე, მიხვდებით რომ თქვენ უყურებთ და ისმენთ იმას, რასაც 1. შეეჩვიეთ და 2. რასაც ნებისმიერ დროსა და რეჟიმში აქვს რაღაც სატყუარის გემო, რა ძალიან შორსაც არ უნდა იყოს პიესაში გახმიანებული კონტექსტები რეალობისგან... მოკლედ, საზოგადოებისთვის მიმზიდველია. მაყურებელთაგან ერთ-ერთმა თეატრალმა მითხრა კიდეც, რომ ეს უკვე ტრაფარეტია, რაშიც აუცილებლად უნდა დავეთანხმო მას. ტრაფარეტებს კი იოლად ვღებულობთ, უფრო სწორად იოლად გადავამუშავებთ როგორც მაყურებელი, ისე ავტორები.

მიზეზთაგან მეორეა, რიგს მნიშვნელობა ამ შემთხვევაში არ აქვს, სამსახიობო გუნდი. რადიკალურად განსხვავებული შესაძლებლობების, მონაცემებისა და სიღრმის მქონე ადამიანები. პრემიერიდან წამოსული პოტენციურმა მაყურებელმა მკითხა, თუ რა იყო მიზეზი იმისა, რამაც საკმაოდ ხანგრძლივ დადგმაზე გამაძლებინა. მოდით შევთანხმდეთ, რომ სიტყვა "გაძლების" გამო მე არ გავიკიცხები და თქვენ არ გაღიზიანდებით. სრულიად ადამიანური მოვლენაა. ნურც რიტორიკულ კითხვა-პასუხს გავახმოვანებთ: "რატომ მიდის ადამიანი თეატრში - იმიტომ, რომ კითხვებზე პასუხი იპოვნოს". ნუ ვიზამთ ამას, იმიტომ რომ მე სწორედ ამ ტიპის ბანალურობა დავწერე როცა გაძლება ვახსენე. მაგრამ არც თუ გაუაზრებლად. თეატრისადმი დამოკიდებულების კრიტერიუმების დამცირება მე და სხვა მაყურებელს არ მოუხდენია, ეს მაშინ მოხდა, როცა ქართველმა რეჟისორებმა წარმოდგენის კომერციული შესაძლებლობები მისი ხარისხისა და პროფესიონალიზმისგან გამიჯნულად გააზრეს, შემდეგ კი, როცა "კომერციული დადგმაში" აპრიორი იგულისხმება ცუდი და უხარისხო, თავად აღმოჩნდნენ საკუთარი სტანდარტების მსხვერლნი. და მოკლედ, როცა "გონზაგოს მკვლელობის" პოტენციური მაყურებელი მეკითხებოდა ასევე რიგით მაყურებელს, თუ რა დამამახსოვრდა და რით ვისიამოვნე ამ დადგმის ყურებისას, მე ყოველგვარ ეგზისტენციალიზმს მოკლებული პასუხი გავეცი - ზაალ ჩიქობავამ. აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ თავიდანვე ჩანს, რომ გაგა გოშაძეს არ ჩაუფიქრებია კომერციულად წარმატებული წარმოდგენის განხორციელება. ის უფრო იდეალისტურად მიუდგა საკითხს და ამ იდეალიზმით აამატყველა მსახიობები 3 საათის განმავლობაში მსახიობების პროფესიის სიმძიმეზე, ადამიანის უბედობაზე უვარგისი პოლიტიკისა და პოლიტიკოსების დროს და ა.შ.

მსახიობ ზაალ ჩიქობავას უნდა დავუბრუნდე. თავს ვერ დავდებ, რომ ამ მსახიობის ყველა როლი ნანახი მაქვს, თუმცა ნანახიდან გამომდინარე თავიდანვე ვიცოდი, რომ მისი როლი ყველა შემთხვევაში იქნებოდა მის მიერ გააზრებული და განცდილიც. თუმცა ზაალ ჩიქობავას სახე - ჰამლეტის მიერ დაქირავებული მსახიობების, მოხეტიალე დასის რეჟისორი "გონზაგოს მკვლელობაში" მოსალოდნელზე მეტად სიმპატიური და მიმზიდველი აღმოჩნდა მაყურებლისთვის. მართალია, მომაგონდა საყვარელი არსება ბავშვობიდან - სახელად ასისაი, მაგრამ ფაქტია, რომ ჩიქობავას გმირს მაყურებელი ასისაის ერთგული ბავშვივით მივეჯაჭვეთ და მსახიობმაც მოახერხა ეთამაშა ისე, რომ მაყურებელი ამ სიახლოვის მიუხედავად წამით არ გაეღიზიანებინა. მეტიც, მაყურებელში თანაგრძნობაც გამოეწვია სრულიად ბანალური დრამატურგიისა და მიზანსცენების მიუხედავად. რასაც სამწუხაროდ ვერ ვიტყვით სხვა მსახიობებზე.

რეჟისორის მეუღლეს განასახიერებს მარინა კახიანი. ტრადიციულად აქცენტირება ხდება მის ვიზუალურ მხარეზე, სამწუხაროა რომ რეჟისორმა გადაჭარბებულად წარმოგვიდგინა აღნიშნული გმირის ექსცენტრიკულ-აღზნებული სცენები. ამით თითქოს მეტისმეტად გადაღალა მსახიობი და რაც მთავარია, აქტიური გიმნასტიკის შემდეგ, სულ ბოლოში დაუსახა მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი - ტრაგიზმის უკიდურესი განცდა. ქალბატონი მარინა ის მსახიობია, რომელიც ყველაზე მეტად იხარჯება დადგმაში, თუმცა აჯობებდა მსახიობის სხვა შესაძლებლობებზე გამახვილებულიყო ყურადღება. ამით მაყურებელიც არ გადაიღლებოდა და გაიზრდებოდა შანსი იმისა, რომ პიესაშიც მოძებნილიყო იმაზე ზუსტი აქცენტი, ვიდრე ერთმოქმედებიანი სკეჩი ეჭვიანი ცოლისა და გადაღლილი ქმრის პაექრობის შესახებ.

მაყურებელში ტრადიციულ ინტერესსა და მოწონებას იმსახურებს ბაჩო ჩაჩიბაიას პერსონა. იმ დღეს, როცა წარმოდგენა ვიხილე, მართლაც საინტერესო გახლდათ მისი გმირი, ოღონდაც უფრო მეტად პირველ მოქმედებაში. მეორე მოქმედებაში თითქოს ვეღარ გააგრძელა განვითარება. აქაც სავარაუდოდ არასწორად გადანაწილებული რიტმთან და თანმიმდევრობასთან გვქონდა საქმე. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბაჩო ჩაჩიბაია ამ დადგმაში გამორჩეული ნიჭიერებისა და თავად მის მიერ მიგნებული მანევრებით მოდის მაყურებლამდე და მისი გმირის შტრიხები რეჟისორის მიერ, უფრო სწორად რეჟისორთან ერთად გამოძერწილი არ არის. ანუ უფრო სპონტანური და თავისთავადია. დაახლოებით იგივეს თქმა შემიძლია ნიკა ქაცარიძის შემთხვევაში. განსხვავება ის არის, რომ მსახიობი ამ სპექტაკლში, აქეთ-იქით სიარულსა და ემოციებში არ იქანცება. მისი როლი მწირია და ისიც ჩვეული ლაკონურობით ირგებს მლიქვნელი და პირფერი ადამიანის ნიღაბს, ეს კი მას აქამდეც ასევე მშვენივრად გაუკეთებია. სხვა დადგმებიდან წამოღებული მისი სახე, მაინც ახალისებს მაყურებელს და მსახიობის ტექნიკასა და სიზუსტეშიც კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით.

ძალიან პლაკატურად და უხეშად თამაშობს მანანა აბრამიშვილი. მერე რა რომ მისი პერსონაჟი მეძავობისგან არც თუ შორს არის. ის მაინც პერსონაჟია და ის სცენაზე დგას... სტერეოტიპულია მოსამართლე-ჯალათიც გელა ლეჟავას შესრულებით, თუმცა ამ ტიპის სახე თითქოს ამ მსახიობსაც გავარჯიშებული აქვს, ყოველ შემთხვევაში, მისი ღიმილიცა და რეპლიკებიც მის სხვა პეროსნაჟებს გვაგონებს. მაგრამ ის რომ მსახიობები "ახალ" პერსონაჟებს ვერ ქმნიან, ამაზე პასუხისმგებლობა რეჟისორსაც უნდა დავაკისროთ და სტერეოტიპებით სავსე ტექსტსაც უნდა დავაბრალოთ. მაგრამ ეს ტექსტიც ხომ რეჟისორის არჩევანია. მთლიანად დადგმა კი უკვე რუსთაველის თეატრის გადაწყვეტილება.

დადგმაში მნიშვნელოვან დატვირთვას თავისთავად იღებს ჯემალ ღაღანიძე, რომელიც ყველაზე ჭარმაგ მსახიობს განასახიერებს. მისი ოსტატობა თითქოს აბალანსებს კიდეც სიტუაციას, თუმცა ეს ბალანსი მაინც რთული მისაღწევია, და აი, რატომ. დრამატურგიული კვანძის შეკვრა და გახსნა, ყველა მნიშვნელოვანი სცენა და დიალოგი, (მნიშვნელოვანი - პიესისა და დადგმის უკვე ნახსენები მოტივაციის ამოსატივტივებლად, რასაც დიდი ამოტივტივება არც სჭირდება, ისედაც ზედაპირზეა), ზემოთ ნახსენები მსახიობების გმირების მისიას არ განეკუთვნება. "გონზაგოს მკვლელობას" მომქმედ გმირთა შორის ორი ავტორი ჰყავს: პოლონიუსი - მურმან ჯინორია და ჰორაციო - ლევან ხურციას შესრულებით. სწორედ ამ გმირების ურთიერთობაში, წარმოდგენასთან და საერთო სურათთან ადაპტაციაში ჩნდება ყველაზე სერიოზული პრობლემები. ლევან ხურციას გმირი თავისი ვითომ "ასიმეტრიული" აქცენტებით, არაფერთან შეხამებული ქორეოგრაფიული მონოლოგებით არაადეკვატურობის სერიოზულ განცდას ბადებს. ჰორაციო ისე მოძრაობს და ისე ცდილობს იყოს ორიგინალური, მონდომება დასაფასებელია, თუმცა გამოძახილს ვერსაიდან ჰპოვებს. რაც შეეხება ბატონ მურმან ჯინორიას. მან, სავარაუდოდ რეჟისორთან ერთად გადაწყვიტა მანერულ და პერიოდულად ძველბიჭურ სტილში გაეხსნა ხანში შესული მლიქვნელის სახე, თუმცა ეს არ არის ის სტილი, რომელიც პოლონიუსის ჭეშმარიტ ვინაობამდე მიგვიყვანდა. თუმცა შესაძლოა მე ვცდები, ანდა საპრემიერო წარმოდგენა გახლდათ ჯერ ისევ სველი მასა ყალიბში. ამას გარდა. ვახსენე, რომ ამ ორ გმირს ჰქონდა მნიშვნელოვანი სცენები წარმოსადგენი. სცენები სადაც იხლართება ინტრიგა და ამ ინტრიგის მსხვერპლნი ხდებიან როგორც მსახიობები - პაიკები, ისე ჰამლეტი და მისი სამეფო ოჯახი მთლიანად. შეტყობინება გასაგებია და ახლა ამაზე აღარ ვსაუბრობ, მაგრამ რეჟისორმა ტექნიკურად რამდენიმე სცენა ვერ წარმოაჩინა მკაფიოდ. პირობითი ენის, თუ ორიგინალური ფორმის ძიებაში ისინი დაიკარგა. მაგალითად, მაყურებელი საერთოდ ვერ ამჩნევს ჰორაციოს მიერ პოლონიუსის მკვლელობის სცენას და ბევრისთვის გაუგებარი რჩება, რატომ ეცემა სცენის ერთ კუთხეში მურმან ჯინორიას გმირი.

სიტყვა კიდევ რომ არ გამიგრძელდეს, შევეცდები, ჩემს მიერ უკვე აღნიშნული პრობლემატური საკითხები კიდევ გამოვკვეთო. გადამწყვეტი სცენების სიფერმკრთალე და მოუქნელობის, გაწელილი მეორეხარისხოვანი მიზანსცენების და დრამატურგიულ საფუძველში არასწორად დასმული აქცენტების გარდა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მთელი რეჟისურა მსახიობების შესაძლებლობებზე არის ჩამოკიდებული, სასურველი იქნებოდა მათ სახეთა დამუშავებასა და ზოგადად ძიება-აღმოჩენაზე რეჟისორს მეტი ემუშავა და მსახიობების უნარისა და ენერგიის იმედად არ შეეტოვებინა ეს პროცესი.

თუ გავითვალისწინებთ იმას, თუ რაოდენ ნარუმატებელია რუსთაველის თეატრში ახალგაზრდა რეჟისორების მოღვაწეობა და რამდენგვარი პრობლემა უჩნდებათ მათ, თუნდაც მსახიობებთან ურთიერთობის, ანდა ჩანაფიქრის ბოლომდე მიყვანის თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ გაგა გოშაძის პრემიერა რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე ამ ნიშნით მაინც საინტერესო ფაქტია და თუ რეჟისორი ბევრს იმუშავებს და რაც მთავარია, დრამატურგიის შერჩევისას მეტ მასშტაბს და მრავალფეროვნებას მოეჭიდება და მეტ რისკზეც წავა, სავარაუდოდ მის დადგმებზე უფრო საინტერესოდ ვიკამათებთ და მგონი, ეს კამათი ამ ამინდელზე უფრო მნიშვნელოვანი იქნება.

აფიშა

18 დეკემბერი

თეატრი

რუსთაველის თეატრი
ექსპერიმენტული სცენა
პრემიერა
"გაიღიმეთ ჩიტი გამოფრინდება"
რეჟისორი გიო მგელაძე
დასაწყისი: 19:45

მარჯანიშვილის თეატრი
(თეატრი სხვენში)
"წვიმის გამყიდველი"
დასაწყისი: 20:00

მიხეილ თუმანიშვილის თეატრი
"ჩუპრი-ჩუპარ დარეჯან"
დასაწყისი: 19.00

თავისუფალი თეატრი
"ბინა ყიფშიძის ქუჩაზე"
დასაწყისი: 19:00

გრიბოედოვის თეატრი
"მწირი"
დასაწყისი: 18.00

კინო

რუსთაველი

"გოგონა სლაიდიდან"
დასაწყისი: 12:00, 15:00, 17:30, 20:00, 22:15
(დარბაზი 1)
"პლანეტა 51"
დასაწყისი: 12:00, 14:00, 16:00, 18:00, 20:00, 21:30
(დარბაზი 2)
"ყველაფერი კარგად იქნება"
დასაწყისი: 12:30, 16:15, 20:15
"გაღმა ნაპირი"
დასაწყისი: 14:15, 18:15, 22:15
(დარბაზი 3)
"ამანათი"
დასაწყისი: 12:15, 14:30, 17:00, 19:30, 22:00
(დარბაზი 4)
"2012"
დასაწყისი: 13:00, 16:00, 19:00, 22:00
(დარბაზი 5)
ამირანი
"გოგონა სლაიდიდან"
დასაწყისი: 12:00, 14:30, 17:00, 19:30, 22:00.
(დიდი დარბაზი)
"2012"
დასაწყისი: 12:00, 17:30
"ახალი მთვარე"
დასაწყისი: 15:00, 20:00, 22:15
(მცირე დარბაზი

მუსიკა

კონსერვატორიის მცირე დარბაზი
ფოლკლორული მუსიკის კონცერტი
ანსამბლი "სახიობა"
ხელმძღვანელი მალხაზ ერქვანიძე
დასაწყისი : 19.00

ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი
ლადო ათანელის საქველმოქმედო კონცერტი
დასაწყისი: 19.00

გამოფენები

გალერეა "ვერნისაჟი"
ნინო სლეპჩენკოს ნამუშევრების გამოფენა

არტ გალერეა "ლაინი"
ქართველი მხატვრების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია - (ფერწერა, ქანდაკება)
მეიდან არტ ჰოლი
ქართველი მხატვრების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია - (ფერწერა, ქანდაკება)
მანანა არტ სალონი
თანამედროვე ქართული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევართა გამოფენა

"ობიექტური" კონკურსები

კონკურსი "ახალი ქართული პიესა" ანონიმური აღარ იქნება

თამარ კიკნაველიძე

საქართველოში სხვადასხვა ტიპის კონკურსები ეწყობა, ძირითადად მუსიკალური, ან ლიტერატურული. მუსიკალური კონკურსებიდან რამდენიმეს თვალს ტელევიზიის საშუალებით ვადევნებთ, დანარჩენზე ინფორმაციას კი მედიიდან ვიგებთ. არ ვიცი, რამდენად მაღალია კონკურსებში დამსახურებულად გამარჯვებულთა პროცენტული მაჩვენებელი - ამას ვერ გამოვთვლით, მაგრამ ვიცი, რომ მათი შედეგები ხშირად მიუღებელია და უკმაყოფილებას იწვევს.

კითხვაზე, რამდენად მიუძღვით უსამართლობაში წვლილი მათ, რომლებიც სახლებში, ან საკონცერტო დარბაზებში სხედან და კონკურსანტებს მობილური ტელეფონებით აფასებენ, პასუხის გაცემა რთულია. ამ ტიპის კონკურსების ორგანიზატორებს ღირსეულის გამოვლენა ნაკლებად აინტერესებთ. მათთვის მთავარია მოგება, რომელიც მაყურებლის აქტივობაზეა დამოკიდებული. ასეთ კონკურსებში მონაწილეობის მსურველებმა, მით უფრო კონკურსანტებმა, უნდა იცოდნენ, რომ შესაძლოა საუკეთესოები იყვნენ, მაგრამ ვერ გაიმარჯვონ - მათი ბედი სხვების ხელშია...

ამ "სხვებში" ხშირად ჟიურიც იგულისხმება. მისი კომპეტენტურობა, წესით, ცნობილი სახეების სიმრავლით არ უნდა განისაზღვრებოდეს, მაგრამ ეს იშვიათად ხდება. თავიდან ჟიურის წევრები საუკეთესოების გამოვლენის სურვილით იკრიბებიან, მოგვიანებით კი გადაწყვეტილებებს პირადი სიმპათიებიდან გამომდინარე იღებენ ხოლმე და კონკურსის



პირობით გასათვალისწინებელ ავტორთა ანონიმურობის დაცვის საკითხსაც ადვილად ივიწყებენ...

ანონიმური აღარ იქნება კონკურსი, სახელწოდებით "ახალი ქართული პიესა" (ორგანიზატორი - მანანა ანთაძე, "მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრალური ხელოვნების განვითარების ფონდის" დირექტორი), რომელიც წინ გველოდება. მასში მონაწილეობის მსურველებმა ნამუშევრები 30 დეკემბრამდე უნდა წარმოადგინონ. ვიმედოვნებთ, რომ კონკურსი, რომელიც ეროვნული დრამატურგიის განვითარებას ისახავს მიზნად და შარშანდელისგან გაზრდილი პრემიებით გამოირჩევა, გამარჯვებულებს ობიექტურად გამოავლენს და არ გამოიწვევს ისეთ უკმაყოფილებას, როგორიც, მაგალითად, ცნობილმა კოლუმბიელმა მხატვარმა და მოქანდაკემ, ფერნანდო ბოტერომ გამოთქვა.

ამ ხელოვანმა მისი სახელობის პრემიის ლაურეატების ნამუშევრებს "საკმაოდ უფერული" უწოდა და კოლუმბიური ჟურნალისტის, სახელწოდებით Arcadia, მიცემულ ინტერვიუში არ დამალა, რომ გამოფენაზე გამარჯვებულებისაზე უკეთესი ნამუშევრები ნახა.

"მე გულდაწყვეტილი ვარ იმის გამო, რომ ასეთი აღმოჩნდა საერთაშორისო ჟიურის არჩევანი", - სინანულით თქვა ბოტერომ. მან განაცხადა, რომ მომავალში მხარს აღარ დაუჭერს პრემიას, რომელსაც თანამედროვე ხელოვნებაში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულ კოლუმბიურ ჯილდოდ მიიჩნევდნენ. აქამდე ბოტერო კონკურსის საპრიზო ფონდზე თავად ზრუნავდა, ახლა კი ურჩევნია, რომ ეს თანხა ერთ, მაგრამ ნიჭიერ მხატვარზე დახარჯოს. "კოლუმბიის ახალგაზრდა მხატვრების ბოტერო ფონდის" წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მისი დახურვა ხელოვანებისთვის დიდი დარტყმა იქნება.

ბოტეროს სახელობის პრემია 2005 წელს დაწესდა და გადაეცემოდა მხატვრებს, რომელთა ასაკიც 35 წელს არ აღემატებოდა. მისი ფულადი ჯილდო კი 50 ათას დოლარს შეადგენდა. ცოცხალ კოლუმბიელ მხატვრებს შორის ფერნანდო ბოტერო გამოჩენილია. მისი პერსონალური გამოფენები მოეწყო რომის, ლონდონის, ბერლინის, მადრიდის, მოსკოვის, ჩიკაგოსა და სხვა ქალაქების მუზეუმებში. ბოტეროს ნამუშევრები დაცულია მსოფლიოს არაერთ მუზეუმში, მათ შორის გუგენჰეიმისა და ერმიტაჟის მუზეუმებში.

ფაქტია, რომ კულტურის სფეროს წარმომადგენლებისთვის ორგანიზებული კონკურსების შედეგები არაობიექტური მხოლოდ საქართველოში არ არის. ერთი განსხვავებით, ჩვენთან ასეთი კონკურსები ხშირად არ ეწყობა (ძირითადად, მის დაფინანსებასთან დაკავშირებული პრობლემების მიზეზით) და მათი უმეტესობაც თუ არაობიექტურად ჩატარდება, კონკურსანტები დაკარგავენ სტიმულს, რაც ხელოვანის განვითარებისთვის აუცილებელია. ამაზე ორგანიზატორებიც უნდა ზრუნავდნენ, ჟიურის წარმომადგენლებიც და ხელში მობილურმომარჯვებულნიც.

ტურინის გარდამოხსნა ყალბია?

არქეოლოგების ახალი აღმოჩენა

იერუსალიმის უძველეს სამარხებში მიაკვლიეს სუდარის ნაწილებს, რომლებიც ახ.წ.აღ-ის პირველ საუკუნეს განეკუთვნება. არქეოლოგების აზრით, ქსოვილის ნარჩენები ადასტურებენ ვერსიას, რომლის თანახმადაც ქრისტიანობის ცნობილი რელიკვია - ტურინის გარდამოხსნა ყალბია. ამის შესახებ ინფორმაციას The Daily Mail-ი ავრცელებს.

ქსოვილის ნარჩენების ანალიზით მტკიცდება, რომ ახლადნაპოვნი ტილო დამზადებულია დაახლოებით იმ დროს, როდესაც იესო ქრისტე გარდაიცვალა. ამასთან, ის უბრალო, თვლების ორმხრივი გადახლართვით არის ნაქსოვი, და არა სარჟულად (დიაგონალურად), რომელიც ტურინის გარდამოხსნაშია გამოყენებული. ქსოვილების სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ეს უკანასკნელი მეთოდი ქრისტეს გარდაცვალებიდან მხოლოდ ათასი წლის შემდეგ გაჩნდა.

ამის გარდა, ტურინის გარდამოხსნისგან განსხვავებით, იერიუსალიმში ნაპოვნი სუდარა ერთიან ქსოვილს კი არ შეადგენს, არამედ რამდენიმე ნაწილისგან შედგება. მაგალითად, ქსოვილის ერთი ნაწილი თავისთვის იყო განკუთვნილი. იმ შემთხვევაში თუ



ადამიანი, რომელსაც ასაფლავებდნენ, ცოცხალი აღმოჩნდებოდა და გონზე მოვიდოდა, მას სახიდან სუდარის მოხსნა და დაძახების საშუალება ეძლეოდა.

არქეოლოგმა შიმონ გიბსონმა (Shimon Gibson) სუდარაში გახვეული ნეშტი ჰინომის ხეობის მღვიმეში აღმოაჩინა. დნმ-ს ანალიზით დადგინდა, რომ გარდაცვლილ ადამიანს კეთრი ჰქონდა და ტუბერკულიოზმა მოკლა. ნეშტის ადგილსამყოფელის ჰერმეტულად დახურვამ ხელი შეუწყო იმას, რომ სუდარამ ჩვენამდე მოაღწია და მკვლევარების დაინტერესება გამოიწვია.

ლეგენდის თანახმად, სუდარაში, რომელსაც ახლა ტურინის გარდამოხსნას ეძახიან, იოსებ არიმათიელმა ჯვარცმული ქრისტეს სხეული გაახვია. მორწმუნეთაგან რამდენიმეს მიაჩნია, რომ ქსოვილზე იესოს ანაბეჭდი დარჩა. ამის მიუხედავად, 1980-იანი წლების ბოლოს ჩატარებულმა ანალიზმა დაადგინა, რომ ის ახ.წ.აღ-ის მეორე ათასწლეულის პირველ ნახევარში შეიქმნა. თუმცა, ეს ფაქტი რელიკვიის ორიგინალობაში დარწმუნებულების აზრზე არ მოქმედებს და სუდარასთან დაკავშირებული დავა გრძელდება.

United Nations Development Programme

UNDP Georgia

UNDP

გაეროს განვითარების პროგრამის

ტენდერი

სახალხო დამცველის ზუგდიდის ოფისის სარემონტო სამუშაოებზე

დეტალური ინფომაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ინტერნეტ გვერდზე www.undp.org.ge წინადადები უნდა ჩააბაროთ დალუქული კონვერტით, ლუქზე ხელმოწერითა და ბეჭდით სახალხო დამცველის ოფისში მოთავსებულ სპეციალურ ყუთში. გთხოვთ ჩააბაროთ თქვენი წინადადებები 2009 წლის 25 დეკემბრის 18.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, მაჩაბლის ქ.11, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი, გაეროს განვითარების პროგრამის პროექტი "სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების მხარდაჭერა". ტელ: (995-32) 92 24 78. საკონტაქტო პირი: ნინო ჭიჭინაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად (2009 წლის 13 ნოემბრის საბჭოს სხდომა №34) გამოცხადდეს კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე, 2009 წლის 18 დეკემბრიდან. (უნივერსიტეტის სახელწოდების ცვლილების შესახებ იხ. მთვარობის 2009 წლის 9 დეკემბრის №217 დადგენილება).

კონკურსი იწარმოებს შემდეგ ვადებში: საბუთების მიღება დაიწყება 2010 წლის 18 იანვრიდან, საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2010 წლის 10 თებერვალი, არჩევნები ჩატარდება 2010 წლის 23 მარტს.

რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილე კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1.პირადობის მოწმობის ასლი

2.CV

3.სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი

4.სამოქმედო გეგმა.

საბუთები უნდა წარმოადგინოთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში, სამუშაო დღეებსა და საათებში, მისამართი- ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5.

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
გადახდისუუნაროობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე

1. შპს "საქგაზპროექტი"-ს განცხადება გადახდისუუნარობის შესახებ მიღებული იქნას სასამართლო წარმოებაში.
2. მეირვედ დაინიშნოს ნიკოლოზ ბაკაშვილი - დაბადებული 1965 წლის 30 აგვისტოს, მცხოვრები ქ. თბილისში, იალბუზის ქუჩა N5-ში. პროფესიით ინჟინერ-ეკონომისტი.
3. აეკრძალოს შპს "საქგაზპროექტი"-ს ნებისმიერი გარიგების დადება, ან/და დადებული გარიგების შეწყვეტა სასამართლოს თანხმობის გარეშე.
4. აიკრძალოს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე განჩინების გამოტანამდე აღებული ვალების უზრუნველყოფა, შეჩერდეს ვალებისა და პროცენტების გადახდა.
5. შეჩერდეს შპს "საქგაზპროექტის" მიმართ იძულებითი აღსრულება.
6. განემარტოს მეურვეს, რომ იგი ვალდებულია შეინახოს სამეურვეო ქონება და დაიცვას იგი დაზიანებისა და განადგურებისაგან; დაადგინოს ყველა კრედიტორი და დაუყოვნებლივ შეატყობინოს მათ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ.
7. განემარტოს შპს "საქგაზპროექტი"-ს დირექტორს, რომ იგი ვალდებულია განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის განმავლობაში წარუდგინოს მეურვეს ინფორმაცია მოვალის ქონების, ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის, ასევე განცხადების წარმოებაში მიღების მომენტისათვის სასამართლოში მიმდინარე დავების შესახებ, ამ ინფორმაციის წარუდგენლობა, ინფორმაციის განზრახ დაგვიანებით ან გაყალბებული სახით წარდგენა, გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.
8. განემარტოს კრედიტორებს, რომ ისინი უფლებამოსილნი არიან განჩინების გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში წარუდგინონ სასამართლოს თავიანთი მოთხოვნები მათი წარმოშობის დამადასტურებელ მტკიცებულებებთან ერთად.
9. კრედიტორთა კრება მოწვეული იქნას 2009 წლის 22 დეკემბერს 11:00 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის N23 სხდომის დარბაზში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6;)
10. განჩინება გამოქვეყნდეს "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში", გაზეთ 24 საათში, გაზეთ "სიტყვა და საქმეში" და სასამართლო დაფაზე.
11. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მხარეთათვის გადაცემიდან 5 დღის ვადაში.

მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილი

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7) აცხადებს მრავალწლიან ხელახალ ტენდერს **ქ. თბილისში, ქ. თბილისის მერიის შენობაში (ჟ. შარტავას ქ. N7) კონდენციონერების სისტემის კაპიტალური რემონტის სამუშაოების** სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1.შესყიდვის ობიექტი -ქ. თბილისში, ქ. თბილისის მერიის შენობაში (ჟ. შარტავას ქ. N7) კონდენციონერების სისტემის კაპიტალური რემონტი;

2. შესრულების სავალდებულო ვადა - 2010 წლის 01 თებერვლიდან 2010 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

3. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2010 წლის 11 იანვრის 11:00 საათიდან 2010 წლის 11 იანვრის 16:00 საათამდე, მისამართზე: **ქ. თბილისი, ჟ. შარტავს ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური**.

4. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ)ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.

ე)ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

4.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:

ა)ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

ბ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

გ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიციკაციის და გამოცდილების შესახებ, მ. შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში;

დ)ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

5.პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

შენიშვნა: სამუშაოების შესასრულებლად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-4 მუხლის მიხედვით;

ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.

6.თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

7.სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიში: N200122900, ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174.

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი**, ქ. თბილისის მერიის შენობაში (ჟ. შარტავას ქ. N7) კონდენციონერების სისტემის კაპიტალური რემონტის სამუშაოების (ხელახალი)** სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

8.სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 18 დეკემბრის 09:00 საათიდან 2010 წლის 11 იანვრის 11:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

9.პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

10. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე)

11. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

12.შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

13. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე, მარიამ ცენტერაძე, მერი სულუაშვილი, ტელეფონი - (995-32) 37-85-72; 37-85-68.

სატენდერო კომისია

მე აქ დიდი ხნით ვარ...

პირველი გვერდიდან

ეს არის სფერო, რომელიც ეხება თითოეულ ოჯახს, თითოეულ ადამიანს.

- და სწორედ ამ სფეროში ჩატარდა ყველაზე სწრაფი და ყველაზე წარმატებული რეფორმა. თუმცა, ამ ბოლო ხანებში ამ რეფორმამ განიცადა ცვლილებები, რომლებსაც ბევრი ისეთი კრიტიკოსი გამოუჩნდა, აქამდე განათლების რეფორმას მხარს რომ უჭერდა. თქვენ განათლების მინისტრის პოსტზე ერთი კვირის წინ დაინიშნეთ და ამ პერიოდში რა ისეთ ხარვეზებს ხედავთ, რომელთა გამოსწორებაც აუცილებლად მიგაჩნიათ?

- პირველ რიგში, მოგვარდა ის, რის მოგვარებასაც ბევრი ეჭვის თვალით უყურებდა და შეუძლებელი ეგონა. საქართველოში ჩაწყობების გარეშე ბავშვები ხვდებიან უმაღლეს სასწავლებლებში. ამაზე ექვსი წლის წინ ფიქრიც ზედმეტი იყო. მაგრამ შეუძლებელია ყველა პრობლემის მოგვარება ხუთ, ექვს ან ათ წელიწადში. ყველაზე დიდი გამოწვევა, რომელიც ახლა ჩვენს წინაშე დგას, არის ზოგადი განათლება: მოსწავლეს უნდა ჰქონდეს სურვილი, რომ სკოლაში იაროს და ისწავლოს, მასწავლებელს კი - სურვილი და შესაძლებლობა, რომ ასწავლოს.

მე, როგორც მენეჯმენტში მუშაობის და მართვის დიდი გამოცდილების მქონეს, შემიძლია, გითხრათ, რომ შეუძლებელია მიკრომენეჯმენტით მართო ასეთი სტრუქტურა. აქ სამინისტროს როლი არის მაკრომენეჯმენტი. სამინისტრომ უნდა განსაზღვროს პოლიტიკა, უნდა განსაზღვროს მიმართულება და ვთქვათ, სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი უნდა იყოს იმპლემენტატორი ამ მიმართულებისა.

- თქვენი აზრით, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას პირველ რიგში?

- მე ვფიქრობ, რომ ამ წუთისთვის მოგვარებულია გამოცდების პრობლემა. ჩაწყობების გარეშე ბავშვები ხვდებიან უმაღლეს სასწავლებლებში. რაც ჩვენ ვერ მოვაგვარეთ აქამდე და რაც იქნება მოგვარებული უახლოეს მომავალში, არის ის, რომ ბავშვებს ექნებათ მოტივაცია, იარონ სკოლაში. მარტო ჟურნალების შემოღებით და დასჯით ჩვენ პრობლემას ვერ მოვხსნით. საერთოდ, ბავშვთან მიუღებელი და უაზროა დასჯის მეთოდით საუბარი. მას უნდა გაუჩნდეს ჯერ სურვილი, რომ რაღაც გააკეთოს, და მერე უნდა მიხვდეს იმის მნიშვნელობას, რასაც აკეთებს.

პირველი ფუნდამენტური ნაბიჯი, რომლის შედეგსაც ჩვენ მივიღებთ 2011 წელს, ეს იქნება ეროვნული გამოცდების ტოლფასი სასკოლო გამოსაშვები გამოცდები. ანუ საშუალო სკოლადამთავრებულები არ ჩააბარებენ უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ ოთხ გამოცდას. სკოლის დასრულების შემდეგ მოსწავლეები გამოსაშვებ გამოცდებს ჩააბარებენ; კონკრეტული უმაღლესი სასწავლებლები კი, კონკრეტული ფაკულტეტების მიხედვით, აირჩევენ იმ საგნებს, რომლებიც მათთვის იქნება პრიორიტეტული. ანუ: თუ ბავშვი ამთავრებდა სკოლას, იღებდა ატესტატს და აბარებდა სამ ან ოთხ გამოცდას (სხვათა შორის, წელს ყველა ოთხს ჩააბარებს), 2011 წლიდან ის ჩააბარებს სკოლის გამოსაშვებ გამოცდებს. რაოდენობა ჯერ არ არის განსაზღვრული - ამაზე ჯერ კიდევ ვსაუბრობთ ექსპერტებთან, მასწავლებლებთან, უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებთან. შეიძლება იყოს რვა, ათი, მაგრამ ეს იქნება კონკრეტული, სასკოლო პროგრამაზე ორიენტირებული გამოცდები და ერქმევა სასკოლო გამოსაშვები გამოცდები.

ხატია ჯიჯეიშვილის ფოტო

"თუ ვამბობთ, რომ მოსწავლეებს შორის ჯანსაღი კონკურენცია მათი განვითარებისა და წინსვლის მოტივაციას იძლევა და ამის გამო ოლიმპიადებს ვაწყობთ, წასახალისებლად მედლებიც დავაწესეთ, რატომ არ უნდა იყოს კონკურენცია სკოლებს შორის?!"

- კი მაგრამ, ეს შეიძლება სკოლებში იმ კორუფციის წამახალისებელი აღმოჩნდეს, რისი აღმოფხვრაც რეფორმის მიღწევად ითვლება...

- საქმეც ის გახლავთ, რომ გამოსაშვებ გამოცდებს სკოლებში არ ჩააბარებენ - საამისოდ გაფართოვდება ეროვნული საგამოცდო ცენტრის ქსელი. სწორედ ამ გამოცდებში მიღებული ნიშნების მიხედვით გაიცემა ატესტატები. თავის მხრივ, უმაღლესი სასწავლებლები, ფაკულტეტების მიხედვით, გამოაქვეყნებენ იმ საგანთა ნუსხას, რომლებიც მათთვის იქნება მნიშვნელოვანი და რომელში მიღწეულ შედეგსაც მოსწავლის ჩარიცხვისას ყურადღება მიექცევა.

სამი და ოთხი მისაღები გამოცდის მინუსი არის ის, რომ, ვთქვათ, მეთორმეტე კლასში ბავშვი ამ ოთხ საგანში რეპეტიტორთან დადის, მხოლოდ ამ ოთხ საგანს სწავლობს და არც სკოლაში სიარული აინტერესებს და დანარჩენ საგნებშიც ნულოვანი ცოდნა აქვს. 8 ან 10 გამოცდის შემთხვევაში რეპეტიტორებთან სიარულის ალბათობა მინიმუმამდე ეცემა და სკოლაში სიარულისა და სწავლის მოტივაციას ქმნის, რადგანაც გამოცდები მხოლოდ და მხოლოდ სასკოლო პროგრამაზე იქნება ორიენტირებული, იქნება მხოლოდ ის საკითხები, რაც ბავშვმა სკოლაში სიარულის 12 წლის მანძილზე ისწავლა - სხვა არაფერი. ამასთანავე, გაუგებრობებს რომ არ ჰქონდეს ადგილი, საგამოცდო პროგრამა წლის დასაწყისშივე, ყველა საგანში გამოქვეყნდება.

ცხადია, დაწესდება მინიმალური ზღვარი, რომელიც თითოეულ საგანზე უნდა გადაილახოს. ჯერ ამაზე ვმსჯელობთ. ასევე შესაძლებელი იქნება, სკოლის კურსდამთავრებულმა არ ისურვოს გამოსაშვები გამოცდების ჩაბარება. მას მიეცემა საბუთი, რომ მოისმინა სასკოლო პროგრამა და, შესაბამისად, უმაღლეს სასწავლებელში ვერ ჩააბარებს.

"პირველი ფუნდამენტური ნაბიჯი, რომლის შედეგსაც ჩვენ მივიღებთ 2011 წელს, ეს იქნება ეროვნული გამოცდების ტოლფასი სასკოლო გამოსაშვები გამოცდები. ანუ საშუალო სკოლადამთავრებულები არ ჩააბარებენ უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ ოთხ გამოცდას."

სასკოლო განათლებას მთლიანად აქვს მნიშვნელობა და მოსწავლეები მხოლოდ იმ საგნებს არ უნდა სწავლობდნენ, რომლებიც უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად სჭირდებათ - მათ მთლიანად სასკოლო პროგრამა უნდა ჰქონდეთ დაძლეული. ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ბავშვი ფრიადოსანი უნდა იყოს ფიზიკაშიც, ისტორიაშიც, ქიმიასა და მათემატიკაში, თუმცა ასეთებიც არიან, მაგალითად, ოქროსმედალოსნები, მაგრამ გარკვეული საბაზისო ცოდნა ყველას უნდა ჰქონდეს.

- ეს სამომავლო გეგმაა, ის მოსწავლეები კი, რომლებიც წელს დაამთავრებენ სკოლას, შარშანდელისგან განსხვავებით, ოთხ გამოცდას ჩააბარებენ. ამ გადაწყვეტილებას საკმაოდ კრიტიკულად შეხვდნენ და რეპეტიტორობის წახალისებადაც იქნა მიჩნეული...

- 2010 წელს ოთხ მისაღებ გამოცდას ჩააბარებენ და ჩემი აზრით, ეს აბსოლუტურად სამართლიანი და სწორი მიდგომაა. რაც მთავარია, ეს მოგვეხმარება, რომ მოვემზადოთ 2011 წლისთვის, როდესაც იქნება გამოსაშვები გამოცდები.

- თქვენ ახსენეთ გამოცდებამდე ერთი წლით ადრე - სასწავლო წლის დასაწყისში ერთიანი საგამოცდო პროგრამის გამოქვეყნება. ამ შემთხვევაში პრობლემას ხომ არ შექმნის სასკოლო სახელმძღვანელოების სიმრავლე, მრავალფეროვნება და ხშირი ცვლა?

- სახელმძღვანელოების გრიფირების პრობლემა ნიკა გვარამიამ მოაგვარა. უბრალოდ, საზოგადოებასთან ამ თემაზე კომუნიკაცია ვერ შედგა. აბსოლუტურად სწორი მიდგომაა, რომ მასწავლებელმა უნდა აირჩიოს სახელმძღვანელო, ჩვენი როლი არ მდგომარეობს იმაში, რომ ვუკარნახოთ, რომელი სჯობია. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ამ სახელმძღვანელოს მოხმარების ხანგრძლივობა - დღეს უკვე დავაწესეთ ხუთი წელი. ბევრი ოჯახია, სადაც შვიდი და რვა წლის ბავშვები ჰყავთ და ის სახელმძღვანელო, რომელსაც უფროსი ბავშვი ხმარობს, უმცროსისთვის გამოუსადეგარია. ეს არ არის სამართლიანი და, აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ხუთწლიანი გრიფირება კარგია. მეორე პრობლემაა მასწავლებლები, რომლებიც არაგრიფირებულ სახელმძღვანელოებს იყენებენ.

- და, როგორც ვიცი, ეს არ არის აკრძალული...

- ამიერიდან ეს იქნება მკაცრად დასჯადი. ამ შემთხვევაში სამინისტროს როლი არის ძალიან გასაგები, ძალიან მარტივი და ძალიან ცალსახა. თუ მასწავლებელი იყენებს არაგრიფირებულ სახელმძღვანელოს, მან ამის მიზანი უნდა ახსნას და თუ ვერ ასაბუთებს, დაისჯება, რადგან ამით არ ზიანდება მასწავლებლის ინტერესი, ამით ზიანდება ბავშვისა და სახელმწიფოს ინტერესები.

აუცილებლად გადასაწყვეტად მიმაჩნია, ასევე, სკოლების ბრენდირება. თუ ვამბობთ, რომ მოსწავლეებს შორის ჯანსაღი კონკურენცია მათი განვითარებისა და წინსვლის მოტივაციას იძლევა და ამის გამო ოლიმპიადებს ვაწყობთ, წასახალისებლად მედლებიც დავაწესეთ, რატომ არ უნდა იყოს კონკურენცია სკოლებს შორის?! აქაც იგივე შედეგის მიღწევაა შესაძლებელი.

მუდმივად იქნება გამოვლენილი საუკეთესო რაიონული სკოლა, ქალაქის საუკეთესო სკოლა და ა.შ. ჩვენმა თანამშრომლებმა უკვე დაიწყეს მუშაობა კრიტერიუმებზე, რომლებიც იქნება სრულიად გამჭვირვალე და მათი შეფასება, შესაძლოა, სამინისტროს კი არა, დამოუკიდებელ მრჩეველთა საბჭოს ან აუდიტორულ კომპანიას დაეკისროს. მთავარია შედეგი - თითოეულ სკოლას მუდმივად ჰქონდეს სიახლისკენ სწრაფვის, განვითარების სურვილი და მისწრაფება, რომ საუკეთესოს პოზიცია მოიპოვოს და შეინარჩუნოს. მაგალითად, ჩემი ბავშვი მომავალ წელს მიდის სკოლაში. არც მინისტრობამდე ვიცოდი და არ ახლა ვიცი, რომელი სკოლაა უკეთესი. სკოლის შეფასება დაკავშირებული არ არის მის მატერიალურ სახსრებთან, შენობის ფართობთან. ეს დაკავშირებულია, ცხადია, იმ ავტონომიურ პროგრამებთან, რომლებსაც კონკრეტული სკოლა საკუთარი ინიციატივით განახორციელებს; მის აქტიურობასთან და მართვასთან.

- რეფორმის შედეგად, სკოლების მართვაში სამეურვეო საბჭოები ჩაერთო. რამდენად ქმედითია მათი საქმიანობა? ცნობილია, რომ მათი მნიშვნელობა ნომინალურია და სკოლებს მაინც ერთპიროვნულად მართავენ დირექტორები.

- სხვათა შორის, სკოლების ბრენდირება სამეურვეო საბჭოების განვითარებას ნამდვილად დაეხმარება. სწორედ მათგან უნდა წამოვიდეს ინიციატივა. პირველ რიგში, საბჭო, რომელშიც სკოლის მოსწავლეების მშობლებიც შედიან, იქნება დაინტერესებული სკოლის განვითარებით. თქვენ მკითხეთ, რატომ არის რთული ეს რეფორმა. რთულია იმიტომ, რომ შედგება ბევრი მხარისგან, ბევრი კომპონენტისგან. არ შეიძლება, ცალკე ვისაუბროთ მშობელზე, ცალკე მასწავლებელზე, ცალკე დირექტორზე. თუ ყველა ეს კომპონენტი ერთად არ იქნება, ჩვენ შედეგს ვერ მივიღებთ, ანუ ყველა უნდა ჩაერთოს ამ სისტემაში. ჩემს შემდეგ გეგმაზე გეტყვით - მისი განხორციელება უკვე თებერვალში იქნება შესაძლებელი. ეს არის ე. წ "ალუმნაის ინსტიტუტის" ჩამოყალიბება. ეს ინსტიტუტი დასავლეთში საკმა-

გაგრძელება A13 გვერდზე

მე აქ დიდი ხნით ვარ...

მეთორმეტე გვერდიდან

ოდ კარგად მუშაობს. რა არის ამ ინსტიტუტის არსი? ჩვენ ვერაფრით დავუშვებთ სკოლებში ფულის შეგროვებას - ეს პირდაპირი მნიშვნელობით კორუფციის წყაროა, მაგრამ, სამაგიეროდ, შეგვიძლია გავაკეთოთ ასეთი რამ: მე დავამთავრე 52-ე სკოლა, მერე 11 წელი ვმუშაობდი ამერიკულ კორპორაციაში. საქართველოში ვიყავი ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მენეჯერი და ახლა შესაძლებლობა მაქვს, დავეხმარო ჩემს სკოლას. სკოლას უნდა ჰქონდეს იმის უფლება და საშუალება, რომ მომწეროს წერილი, მაქვს თუ არა მისთვის გარკვეული დახმარების აღმოჩენის სურვილი. თუ ასეთი სურვილი მაქვს, რატომ არ დავეხმარები იმით, რითაც შემიძლია - ერთი საკლასო ოთახის გარემონტება იქნება ეს, რამდენიმე წიგნი ბიბლიოთეკისთვის თუ რამდენიმე მერხი, ანუ ვის რისი შესაძლებლობაც ექნება. ეს იქნება საკუთარი გრძნობის გამოვლენა იმ სკოლის მიმართ, რომელშიც 11 წელი გავატარე. რასაკვირველია, დახმარება უნდა იყოს სრულიად ნებაყოფლობითი. ეს ინსტიტუტი მუშაობს შეერთებულ შტატებში, ევროპაში. ეს მეცენატობაა.

კიდევ ერთი, რაზეც პირველ რიგში დავიწყეთ მუშაობა: ეს არის სასკოლო პროგრამები. მკაცრი მითითება მივეცი ამ სფეროში მომუშავე ექსპერტებს, რომ პროგრამები, რომლითაც ბავშვები სწავლობენ, იყოს შესრულებადი. ანუ, არ შეიძლება მიუღწევადი კრიტერიუმების დაწესება. ვთქვათ, ავიღოთ მუსიკის სწავლება - არ შეიძლება ისეთი კრიტერიუმები დავაწესოთ, რომელთა შესრულებაც მხოლოდ ბეთჰოვენის მსგავსი ნიჭის მქონე ადამიანს ხელეწიფება.

- ბოლო ხანებში განათლების მინისტრები მალ-მალე იცვლებიან. როგორ ფიქრობთ, თქვენ გაცდიან გეგმების განხორციელებას?

- მე აქ დიდი ხნით ვარ და ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი. ჩემი გეგმებიდან ზოგის განხორციელებას რამდენიმე თვე სჭირდება, ზოგისას - ერთი წელი, ზოგისას - სამი და ყველაფერს გავაკეთებთ. იმის გარდა, რაზეც უკვე ვისაუბრეთ, მინისტრობის პერიოდში მოხდება მათემატიკის, უცხო ენების, კომპიუტერული პროგრამების სწავლების წახალისება. ეს არ ნიშნავს, რომ სხვა საკითხები ნაკლებად მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ სამ საგანში გვაქვს ოდნავ ჩავარდნები და უფრო მეტის გაკეთებაა საჭირო. საჭიროა გადაიხედოს ამ საგნების სწავლების კონცეფცია, მეთოდოლოგია; შესაძლოა რესურსების ნაკლებობაცაა - ეს ყველაფერი გასარკვევი და გასაკეთებელია. მოსაგვარებელია ბევრი რამ, ერთი შეხედვით წვრილმანები, ვთქვათ, კვების პრობლემა სკოლაში. არადა, ეს არ არის წვრილმანი და გარკვეულწილად სკოლებში უსაფრთხოების პრობლემასაც უკავშირდება...

- რადგან ეს პრობლემა ახსენეთ, უფრო დეტალურად ვისაუბროთ. რის გაკეთებას აპირებთ სკოლებში ძალადობის აღმოსაფხვრელად?

- უსაფრთხო სკოლა არ არის ცალკე მდგომი პრობლემა, ის ბევრი კომპონენტისგან შედგება და დავიწყებ ყველაზე მარტივით, რაც უკვე ვახსენე - სკოლის სასადილოები. ეს ჯერჯერობით იდეის დონეზეა და ამის თაობაზე უნდა შევხვდე ბიზნესკომპანიებს, ბანკირებს. იდეის არსი ისაა, რომ სასადილოების მართვა კერძო კომპანიებმა აიღონ ხელში. ეს მათთვის მომგებიანი ბიზნესი იქნება. ჩვენ კი გავაკონტროლებთ კვების სტანდარტებს. ამ საქმეში აუცილებლად გვჭირდება ბანკების დახმარება, რომ შემოვიღოთ მოსწავლის საკრედიტო ბარათი. თუ აქამდე ბავშვს საკვების ფულს ვაძლევდით და არ ვიცოდით, რაში დახარჯავდა და ასევე იქმნებოდა ამ ფულის წართმევის და ამის გამო ჩხუბის რეალური საშიშროება, ამ იდეის განხორციელების შემთხვევაში, თანხას ბარათზე ჩავურიცხავთ და დარწმუნებულები ვიქნებით, რომ ამ თანხას ბარათიდან ვერც მოხსნის, ვერც სიგარეტის საყიდლად გამოიყენებს - ამ ბარათის გამოყენების საშუალება მხოლოდ სკოლის სასადილოში ექნება. და რაც მთავარია, ძალით ვერავინ ეცდება მისთვის ფულის წართმევას - ბარათები სახელობითი იქნება და სხვა ვერ გამოიყენებს. ამ ბარათების შემოღებით სკოლაში ძალადობის გამომწვევ ერთ კომპონენტს აღმოვფხვრით. სხვა მხრივ, ძალიან კარგია, ის რაც უკვე კეთდება: სკოლებში ბავშვებთან მუდმივ დიალოგში შედიან პროკურატურის თანამშრომლები, უხსნიან, რა არის დანაშაული. ესეც უნდა გავაგრძელოთ. აუცილებლად მიმაჩნია სკოლებში უსაფრთხო ზონების შექმნა. ეს რამდენიმე სკოლაში უკვე არის და მასობრივი ხასიათი უნდა მიიღოს. ეს ნიშნავს სკოლაში გარკვეული სივრცის არსებობას, რომელიც კონტროლდება კამერების მეშვეობით, ანუ ბავშვს ეცოდინება, რომ თუ ამ ზონაში დადგება, მას აღარავითარი საფრთხე აღარ დაემუქრება და დაცული იქნება შესაძლო აგრესიისგან. ჯერჯერობით ეს არის, რაც შემიძლია, პირველ ეტაპზე გითხრათ.

- ჩვენი საუბრის დასაწყისს დავუბრუნდები - მოსწავლეებისთვის სკოლაში სიარულისა და სასკოლო პროგრამის მაქსიმალურად შესწავლის პრობლემას. აქ არის კიდევ ერთი და ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტი - კვალიფიცირებული, პროფესიონალი მასწავლებელი. თუ რეფორმის დასაწყისში მასწავლებლებისთვის აუცილებელი იყო კვალიფიკაციის ამაღლება და ატესტაციის გავლა, დღეს ეს აუცილებლობა მოხსნილია და გაურკვეველი ვადით გადადებული...

- ეს ძალიან კარგად მესმის, მაგრამ ჩემთვის ისიც აბსოლუტურად გასაგებია და ვიცი, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ამ წუთისთვის, სახელმწიფოს არსებული რესურსებიდან გამომდინარე, მასწავლებლებს გადავუხადოთ იმდენი, რამდენსაც იმსახურებენ. ძალიან ბედნიერი ვიქნებოდი, ეს რომ შემეძლოს. მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ და ხაზი გავუსვათ, რომ 2009 წლის განმავლობაში ხელფასი ორჯერ გაეზარდათ. გარდა ამისა, ამ კვირაში მთავრდება დაზღვევის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 82000 მასწავლებელი და სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლები მიიღებენ დაახლოებით 25000 ლარის ღირებულების სადაზღვევო პაკეტს. მე რომ დამნიშნეს, მე ვთქვი, რომ ჩემი პრიორიტეტი იქნება მასწავლებელი და მოსწავლე...

- რისთვისაც კრიტიკაც დაიმსახურეთ და ალბათ არცთუ უსაფუძვლოდ. განათლების სისტემის და შესაბამისად რეფორმის მთავარი ობიექტი მაინც მოსწავლეა, ხოლო მასწავლებელი უნდა იყოს ყველაფრით უზრუნველყოფილიც და კვალიფიციურიც, ისევ და ისევ იმისთვის, რომ ასწავლოს. არ მეთანხმებით?

- ჩვენ დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ყველას შეუძლია საკუთარი აზრის გამოთქმა. მე ვარ ამ სამინისტროს მინისტრი და ასეთი ხედვა მაქვს - ჩემთვის პრიორიტეტია როგორც მოსწავლე, ასევე მასწავლებელი. აქედან გამომდინარე, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მასწავლებლებს ჰქონდეთ სურვილი, ასწავლონ. ჩვენი მთავრობა აკეთებს ყველაფერს, რომ მასწავლებლების შრომა დაფასდეს. რაც შეეხება მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებას, სამწუხაროდ, ბევრ მასწავლებელს არ შეუძლია თავად იმუშაოს საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებაზე - დროის თუ კომუნიკაციის სიმცირის გამო. მთავრობა, ითვალისწინებს ამ პრობლემას და მასწავლებლებს გადამზადებისთვის ვთავაზობთ სპეციალური ვაუჩერების სისტემას. მასწავლებელი თავად ირჩევს საგანს, რომელშიც უნდა გადაემზადოს და კომპანიას, რომელსაც ანდობს გადამზადებას. ამ ზაფხულს კი დაიწყება სერტიფიცირების ნებაყოფლობითი პროცესი. სავარაუდოდ, მასწავლებლების 25 პროცენტი ჩაერთვება ამ პროცესში, რაც პატარა მაჩვენებელი ნამდვილად არ არის. ჩვენ გვინდა ვაჩვენოთ საზოგადოებას და მასწავლებლებსაც, რომ სერტიფიცირება ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენ მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებისთვის ყველაფერს ვაკეთებთ. სახელმწიფო საამისოდ საკმაოდ დიდ ხარჯს სწევს.

- ნებაყოფლობით სერტიფიცირებას ისევ ის მასწავლებლები გაივლიან, რომლებიც საკუთარ თავზე მუშაობას ცდილობენ. თუმცა, სკოლებში სხვა ტიპის მასწავლებელიც ძალიან ბევრია, რომელსაც ამის ინტერესი არ აქვს...

- პირველი ეტაპი ნებაყოფლობითია, მერე კი, ყველა დარწმუნდება, რომ ამას მოჰყვება მოტივაციის მიმართულებით გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები; დარწმუნდება, რომ ეს არის მნიშვნელოვანი პროცესი. სავარაუდოდ, ჩვენ ამ პროცესს რამდენიმე წელიწადში წარმატებით დავასრულებთ და ყველა მასწავლებელი იქნება სერტიფიცირებული.

და რაც მთავარია, მასწავლებლებს ეს მოსწონთ, თვითონ მათაც სურთ ეს.

- და ბოლოს, სამინისტროს შიგნით რის შეცვლას აპირებთ? გეგმავთ კადრების გადახალისებას?

- მე არ მაქვს პრეტენზია, რომ ვარ ლიტერატურის, მატემატიკის ან ისტორიის სპეციალისტი, მინისტრს ეს არც ევალება. ჩემი პროფესია არის მენეჯერობა. მე ვარ მმართველი და უნდა შევქმნა ისეთი სტრუქტურა, რომელიც ავტონომიურ რეჟიმში იმუშავებს. არ ვამბობ, რომ სტრუქტურა, რომელიც დამხვდა, კარგი იყო ან ცუდი. მან თავისი ამოცანა შეასრულა და დიდი შედეგიც მოგვიტანა. ახლა გვჭირდება უფრო სწრაფი, უფრო მოქნილი სისტემა, რომელიც გადაწყვეტილებებს მიიღებს უფრო სწრაფად, რომელიც მოგვცემს უფრო მეტ ტრანსპარანტულობას. სწორედ ამიტომ, მინდა გითხრათ, რომ ვიმოქმედე ძალიან ოპერატიულად და სამ დღეში შევცვალე სტრუქტურა. რაც შეეხება კადრებს, ჯერ მხოლოდ სამი ახალი კადრი მყავს: გენერალური ინსპექციის უფროსი, ჩემი მრჩეველი და ჩემი თანაშემწე.

> "მე აქ დიდი ხნით ვარ და ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი."

> "სკოლების ბრენდირება სამეურვეო საბჭოების განვითარებას ნამდვილად დაეხმარება. სწორედ მათგან უნდა წამოვიდეს ინიციატივა. პირველ რიგში, საბჭო, რომელშიც სკოლის მოსწავლეების მშობლებიც შედიან, იქნება დაინტერესებული სკოლის განვითარებით."

საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს სამაშველო აღჭურვილობა გადაეცემა

შვეიცარიის მთავრობა, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მეშვეობით, შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს სამაშველო აღჭურვილობას გადასცემს.

შსს-ს ინფორმაციით, სამაშველო აღჭურვილობა ცაგერისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტების მეხანძრეებს ცაგერისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში ბუნებრივი კატასტროფების შემცირების მიზნით განხორციელებული პროექტის ფარგლებში გადაეცემა. "ვინაიდან ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება წარმოადგენს შვეიცარიის მიერ გაწეული ჰუმანიტარული დახმარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას, SDC-მა დაიწყო ამ მიმართულებით პროექტების განხორციელება. სწორედ ამ დროიდან იწყება ნაყოფიერი თანამშრომლობა SDC-სა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს შორის", - განაცხადეს შსს-ში.

პროექტი "ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება ცაგერისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში" 2009 წლის მარტში დაიწყო და მიზნად ისახავს ცაგერისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში კატასტროფების შედეგად ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენასა და ეკონომიკური ზარალის შემცირებას ბუნებრივი კატასტროფების პრევენციისა და მზადყოფნის ღონისძიებების ხელშეწყობით ადგილობრივ დონეზე.

პროექტის ერთ-ერთი კომპონენტი "მზადყოფნა" მოიცავს აღნიშნული მუნიციპალიტეტების მეხანძრეთა ძირითად სასწავლო მომზადებასა და მათთვის სამაშველო აღჭურვილობის (სამთო, საწყალოსნო და ავტოკატასტროფების დროს საჭირო მასალები) გადაცემას.

"ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, ტრენინგის თბილისის მაშველთა ბაზაზე საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტისა და თბილისის მაშველთა ბაზის ხელშეწყობით ჩატარდა.

მანანა ღურჭუმელიძემ ჟურნალისტებს სასამართლო პროცესი მოუგო

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტმა მანანა ღურჭუმელიძემ ჟურნალისტებს სასამართლო პროცესი მოუგო.

როგორც "ინტერპრესნიუსი" აღნიშნული პროფკავშირის ცნობაზე დაყრდნობით იუწყება, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ლევან გვარამიას გადაწყვეტილებით, ჟურნალისტებს - დავით ფერაძეს და ქეთევან დოლიძეს გაზეთში - "ახალი განათლება" - გამოქვეყნებული სტატიებისათვის საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციების უარყოფა და მორალური ზიანის ანაზღაურება დაეკისრათ.

როგორც პროფკავშირში აცხადებენ, სტატიის ავტორები პრესაში გამოქვეყნებული უსაფუძვლო ბრალდებებითა და ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელებით, პირადად მანანა ღურჭუმელიძის დისკრედიტაციას ცდილობდნენ.

ღურჭუმელიძემ ღირსების დაცვის მიზნით სარჩელით სასამართლოს მიმდინარე წლის 6 მარტს მიმართა. სასამართლომ გადაწყვეტილება 15 დეკემბერს გამოიტანა. დავით ფერაძემ და ქეთევან დოლიძემ მათ მიერ გავრცელებული ვერც ერთი ინფორმაციის დადასტურება ვერ შეძლეს. სასამართლო პროცესების დროს გამოჩნდა, რომ მათ მიერ მედიით გაკეთებული განცხადებები ცილისწამება იყო.

ფოთში პედაგოგებზე სადაზღვევო ვაუჩერების გაცემა დასრულდა

ფოთში პედაგოგებზე სადაზღვევო ვაუჩერების გაცემა დასრულდა. სახელმწიფო პროგრამა მესამე წელია, მთელი ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება და იგი საჯარო სკოლების, ასევე პროფესიული სწავლების ცენტრების პედაგოგებსა და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალზე ვრცელდება.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინფორმაციით, ფოთში სადაზღვევო ვაუჩერი სულ 643 პედაგოგმა მიიღო. შარშანდელთან შედარებით წელს პედაგოგთა სადაზღვევო პაკეტის ოდენობა გაზრდილია. ვაუჩერის წლიური ღირებულება 180 ლარს შეადგენს. სასურველი სადაზღვევო კომპანია პედაგოგმა თავად უნდა შეარჩიოს. ამისთვის ვადა მათ 2009 წლის 31 დეკემბრამდე აქვთ განსაზღვრული. სადაზღვევო კომპანიის შერჩევის პროცესში პედაგოგებს სრული თავისუფლება აქვთ. მათ არჩევანში ჩარევა ან ზემოქმედება კანონით ისჯება.

"ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, ამ პროგრამაში სულ 83 ათასამდე ბენეფიციარია და პედაგოგთა სამედიცინო დაზღვევისთვის 2010 წლის ბიუჯეტში 19 მილიონ ლარამდეა განსაზღვრული.

ნინო სალუქვაძის ტირი საქართველოს თასის ღია პირველობას უმასპინძლებს

18-19 დეკემბერს ნინო სალუქვაძის ტირი საქართველოს თასის ღია პირველობას მასპინძლობს პნევმატური პისტოლეტით სროლაში. თასის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც უფროსები, ისე ახალგაზრდები და ჭაბუკები. შეჯიბრებაში სულ 40 მსროლელი (მათ შორის აზერბაიჯანელიც) გამოვა. დღეს ქალები და ჭაბუკები მოსინჯავენ ძალებს. ქალთა ფინალები 18:00 საათზე დაიწყება.

ხვალ კაცები და გოგონები გამოვლენ. კაცების ფინალები 18:00, ტურნირის დახურვა კი 18:30 საათზე დაიწყება. საქართველოს თასის მოსაგებად თბილისისა და ქუთაისის ორი კლუბი იბრძოლებს. ამ ტურნირით ქართველი მსროლელები 2009 წლის სეზონს დაასრულებენ.

სპორტის დეპარტამენტის პრესსამსახური

რიჩი დიქსონის სემინარს რაგბის მწვრთნელთათვის სპორტის დეპარტამენტმა უმასპინძლა

სპორტის დეპარტამენტში რაგბის კავშირის მიერ მოწვეულმა სპეციალისტმა რიჩი დიქსონმა, რომელიც ცხრა წელი შოტლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო, ქართველ მწვრთნელებს სემინარი ჩაუტარა. სემინარზე ბავშვთა რაგბის განვითარების მენეჯერმა ილია მაისურაძემ და ამავე კომიტეტის წევრმა ირაკლი ჭყონიამაც ისაუბრეს. დიქსონმა საქართველოსთვის შეადგინა სპეციალური პროგრამა, რომელიც სამი ნაწილისგან შედგება და 8-12, 13-15 და 16-18 წლის მორაგბეებისთვისაა გაწერილი.

უახლოეს პერიოდში გამოიცემა სახელმძღვანელოები, რომლებსაც, სხვადასხვა საკითხის უკეთ გასაცნობად, დართული ექნება DVD დისკები მწვრთნელებისთვის. დიდი ყურადღება დაეთმობა ბავშვთა აკადემიებს, სადაც იქნებიან ფიზმომზადების მწვრთნელები, განვითარდება სპორტული მედიცინა.

რიჩი დიქსონი:" პროგრამა საქართველოსა და ქართული რაგბის თავისებურებების მიხედვითაა შედგენილი. ბავშვთა მწვრთნელების დახმარება ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ საქართველოს ნაკრები მუდამ გამოდიოდეს მსოფლიო ჩემპიონატზე და იქ თამაშებსაც იგებდეს. თქვენი ყველა ასაკობრივი ნაკრების თამაში ვნახე. თვალშისაცემია ორი პრობლემა: წნეხის ქვეშ თამაში გიჭირთ და მორაგბეებს თამაშის ცოდნა და ტექნიკა აკლიათ.

აუცილებელი არ არის, რომ ბავშვების მწვრთნელი გუნდს ბოლომდე გაჰყვეს. ის პატარებთან უნდა დარჩეს და ახალი თაობა აღზარდოს. ყველა ბავშვთა მწვრთნელი მნიშვნელოვანია. ისინი ერთად ქმნიან საერთო სურათს. ჩვენც ერთად უნდა ვიფიქროთ და ვიზრუნოთ ქართული რაგბის განვითარებაზე".

სპორტის დეპარტამენტის პრესსამსახური

პოლონელები გაანაწყენეს

2012 წლის ევროპის ჩემპიონატს უკრაინა და პოლონეთი ერთობლივად უმასპინძლებენ. ამას წინათ გაიმართა კონტინენტის პირველობის სიმბოლოსა და სლოგანის პრეზენტაცია. სლოგანმა პოლონელთა უკმაყოფთილება გამოიწვია. საქმე ის არის, რომ ორმა სლავურმა ქვეყანამ სლოგანი სხვადასხვანაირად თარგმნა. Creating History Together - ასეთია ევრო 2012-ის სლოგანი. უკრაინელებმა ინგლისური ფრაზა სიტყვასიტყვით თარგმნეს და გამოვიდა: "ერთად ვქმნით ისტორიას". პოლონურ თარგმანში კი სლოგანი ასე ჟღერს: "ერთად შევქმნათ მომავალი". პოლონელებისთვის სიტყვა ისტორია წარსულს უკავშირდება, ინგლისურ ვარიანტში კი ისტორიის შექმნაში მომავალი იგულისხმება. პოლონელების აზრით, უკრაინელებმა განგებ დატოვეს ყველაფერი ისე, როგორც ინგლისურ ვარიანტში იყო. "ამით უკრაინელებმა მთელ მსოფლიოს გაუგზავნეს მესიჯი, რომლითაც ამბობენ: რაც მათთვის ისტორია და წარსულია, ჩვენთვის მომავალია. უნდათ თქვან, რომ ჩამორჩენილები ვართ", - წერს ერთ-ერთი პოლონური გაზეთი.

"ვიტ ჯორჯიას" სუპერსეზონი: ჩემპიონობა და სუპერთასი

მიხეილ აბაიშვილი

ახლად გახსნილ სტადიონ "ფოლადზე" სუპერთასი თბილისის "ვიტ ჯორჯიას" ერგო

2009 წლის საფეხბურთო სეზონი, რომელმაც საერთაშორისო სარბიელზე ამდენი უსიამოვნება, ნერვიულობა და სირცხვილი მოგვიტანა, ლამაზი ფეხბურთით, ახალი სტადიონით და იმედით დასრულდა. ყველაზე ტრადიციულ, დაძაბულ და საინტერესო "დედაქალაქურ დერბიში" "დინამომ" და "ვიტ ჯორჯიამ" დაუვიწყარი სანახაობა შესთავაზეს რუსთავში, ახლად გახსნილ სტადიონ "ფოლადზე" მისულ რამდენიმე ათას ქომაგს. ამ გუნდების დაპირისპირება ყოველთვის დაძაბული და პრინციპულია. გუშინ კი მორიგ ქართულ "სუპერკლასიკოს" დამატებით ხიბლს და მნიშვნელობას სძენდა ის, რომ ფსონზე სუპერთასი იდო. წინა სეზონში "ვიტ ჯორჯიამ" ჩემპიონის ტიტული ირგუნა, "დინამო" კი საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის ეროვნულ თასს დაეუფლა. შესაბამისად, გასული სეზონის უძლიერესი გუნდის გამოსავლენი მატჩი, რასაც ევროპის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნები ჩემპიონატის დაწყებამდე, კერძოდ, აგვისტოში აწყობენ (ჩვენ კი რატომღაც დეკემბრის მიწურულს - მ.ა.), გუშინ გაიმართა.

მიუხედავად იმისა, რომ გასული სეზონის მთავარი ტიტული "ვიტ ჯორჯიამ" მოიპოვა, წინასწარ ამ გუნდის ფავორიტობაზე საუბარი არასწორი იქნებოდა. მით უმეტეს, რომ "დინამო" "სუპერთასის" ფინალის გაცილებით "შინაური" წევრია და ამ შეხვედრაში სულაც ტიტულის დაცვა უწევდა: სუპერთასის წინა ფინალში "დინამომ" "ზესტაფონს" მოუგო და ეს პრესტიჟული ჯილდო მოიპოვა. ის შეხვედრაც დაძაბულად წარიმართა. მატჩის ძირითადი დრო ფრედ - 0:0 დასრულდა და გამარჯვებულის ვინაობა დამატებითი მეორე ტაიმის ბოლო წუთზე გაირკვა. მაშინ შეხვედრის 120-ე წუთზე სუპერთასის მომტანი თავური დარტყმა დინამოელმა ხმალაძემ შეასრულა.

ამ თვალსაზრისით გუშინდელი მატჩი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ერთი წლის წინანდელს. გადამწყვეტი გოლი, ისევ თავური დარტყმით, ისევ მეორე დამატებითი ტაიმის ბოლო წუთზე, დინამოელმა ფეხბურთელმა გაიტანა. მალე მთავარი არბიტრის, სილაგავას საფინალო სასტვენის ხმაც გაისმა და... ვიტ-ჯორჯიელებმა ზეიმი დაიწყეს. არ შევმცდარვარ. ქომაგი, რომელსაც არ უნახავს ეს მატჩი, ადვილად მიხვდება, თუ რაშია საქმე. სამწუხაროდ, როგორც სანაკრებო, ისე საკლუბო დონეზე, გახშირდა შემთხვევები, როცა გოლები საკუთარ კარში გაგვაქვს. ახლაც სუპერთასის ბედი ავტოგოლმა გადაწყვიტა.

თამაში ჩემპიონის, "ვიტ ჯორჯიას" საგრძნობი უპირატესობით დაიწყო და ვეტერინარეს მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში მატჩის სადავეები ხელიდან არ გაუშვიათ. "ვიტ ჯორჯიას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე გელა გომელაურის ოფიციალური დებიუტი სწორედ ამ მატჩში შედგა. მისმა შეგირდებმა ეგრეთ წოდებული "სწრაფი გოლის" გატანაც მოახერხეს. მე-10 წუთზე "დინამოს" საჯარიმო მოედნის მისადგომებიდან დათუნაიშვილის არცთუ ძლიერი, მაგრამ ზუსტი დარტყმის შემდეგ ლორია უძლური იყო. გაშვებული გოლის მიუხედავად, "დინამომ" თამაში ვერ გაათანაბრა: "ვიტ ჯორჯიას" საკუთარი საჯარიმო მოედნის მისადგომები საიმედოდ ჰქონდა გამაგრებული, ისე რომ, კაჭარავას გუნდს პირველ ტაიმში ერთი მეტნაკლებად საგოლე შეტევაც არ განუხორციელებია. საპირისპიროდ, კვარაცხელიას ზედიზედ ორ ეპიზოდში შეეძლო გოლის გატანა. თუ მეორე შემთხვევაში ჯაფარიძის ფლანგური ჩაწოდების შემდეგ დაახლოებით პენალტის ნიშნულთან მარტო მყოფმა ფორვარდმა ბურთი ვერ დაიმორჩილა და სიმწვავე დაიკარგა, პირველ შემთხვევაში კვარაცხელია, უბრალოდ, ვალდებული იყო, გოლი გაეტანა. კლიმიაშვილის მიერ წამოწყებული იერიში ბეჭვაიამ შეტევის მარჯვენა ფლანგზე გააგრძელა და მისი დაბალი, განივი გადაცემის შემდეგ "ვიტ ჯორჯიას" თავდამსხმელი კარიდან ხუთიოდე მეტრში აღმოჩნდა, თანაც ისე, რომ ხელს არავინ უშლიდა. თუმცა, ბურთი ფეხებში აებლანდა, ძვირფასი წამები დაკარგა და მცველებმა ვითარება განმუხტეს.

მეორე ნახევარში ვითარება რადიკალურად შეიცვალა, რასაც, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, კაჭარავას მიერ განხორციელებულმა სწორმა შეცვლებმა შეუწყო ხელი. მწვრთნელმა ჯუისისა და ნემსაძის ნაცვლად მოედანზე ვანაძე და ხმალაძე შეუშვა. როგორც ერთმა, ისე მეორე ფეხბურთელმა აშკარად გაძლიერა "დინამოს" შეტევითი პოტენციალი. მეტიც: ვანაძის ბურთთან პირველივე შეხება გოლით, უფრო ზუსტად, საგოლე პასით დასრულდა: შეტევის მარცხენა ფლანგზე გაჭრის და გამჭოლი გადაცემის შემდეგ თომაშვილმა ახლო მანძილიდან უძლიერესი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში. ეს 55-ე წუთზე მოხდა. ამის შემდეგ როგორც ერთი, ისე მეორე გუნდის ფეხბურთელებს მეტი სიფრთხილე დაეტყოთ. მიუხედავად იმისა, რომ ტემპი ისევ მაღალი იყო, გუნდები ზურგის მოშიშვლებას და უკანმოუხედავად შეტევაში გაჭრას ერიდებოდნენ. შედეგად, მატჩის ძირითად დროში გოლი აღარ გასულა.

განსაკუთრებული სიმწვავით და საგოლე მომენტების სიმრავლით არც დამატებითი ტაიმები გამოირჩეოდა. თითქოს ყველაფერი თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმების სერიამდე მიდიოდა, მაგრამ დადგა "დინამოსთვის" ფატალური 119-ე წუთი და კვანძი გაიხსნა: კახელიშვილის ფლანგური გარღვევისა და საჯარიმო მოედანზე ჩაწოდების შემდეგ ერთ-ერთმა დინამოელმა, რომელიც მოგერიებას ცდილობდა, თავური დარტყმით საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. ის იყო, "დინამომ" მოედნის ცენტრიდან დაიწყო თამაში და მსაჯის საფინალო სასტვენიც გაისმა - სუპერთასი თბილისის "ვიტ ჯორჯიას" ერგო.

ღია უკრაინაში ნაკრებმა ორჯერ იმარჯვა

საქართველოს წყალბურთელთა ეროვნული ნაკრები მისთვის კარგად ნაცნობ უკრაინულ წყალში ბურთაობს. დნეპროდერჟინსკში მიმდინარე უკრაინის ღია პირველობა წარმატებით დაიწყეს და ასეც აგრძელებენ - სამიდან ორ მატჩში გაიმარჯვეს. თავდაპირველად სევასტოპოლის ნაკრები 12:9 დაამარცხეს, მერე მარიოპოლის "ილიჩევიცთან" ორქულიანი სხვაობით 8:10 წააგეს, გუშინ კი "მინსკს" დაძაბულ შეხვედრაში სძლიეს. ქართველებისა და ბელარუსების მატჩში გარდამტეხი გამოდგა მეოთხე პერიოდი. ეს მაშინ, როდესაც ანგარიში 10:10 იყო. ვნებათაღელვაც სწორედ ამ დროს დაიწყო, მაგრამ, საქართველოს ნაკრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მეტოქეებს სამბურთიანი უპირატესობით მოუგეს - 14:11.

საქართველოს ნაკრებს დღეს კლუბ "კიევთან" უწევს ურთიერთობის გარკვევა, შეჯიბრების დასკვნით მატჩს კი ხვალ დნუ-სთან (დნეპროპეტროვსკი) გამართავს.

საქართველოს ნაკრები: ზურაბ ჭუმბურიძე, ალექსანდრე ნამორაძე, ზურაბ რურუა, კონსტანტინე გეგელაშვილი, ბექა ქენქაძე, გიორგი ხვედელიანი, გურამ კოტარია, ტატო ნიკოლეიშვილი, სანდრო რუსიშვილი, ნოდარ რაფავა, ბექა ქავთარაძე, ლუკა ტუკვაძე, ლევან ყავლაშვილი, გალაქტიონ ლაითაძე, იოვან პოპოვიჩი.

"ქორებმა" მეთვრამეტე თამაში მოიგეს

NBA-ს რეგულარული სეზონის მორიგ შეხვედრაში "ატლანტა ჰოუქსმა" საკუთარ "ფილიპს არენაზე" "მემფის გრიზლის" უმასპინძლა და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.

სტუმრებმა "ქორებს" მხოლოდ პირველი ოცი წუთის განმავლობაში გაუწიეს წინააღმდეგობა, შემდეგ კი ჯორჯიელებმა მემფისელებს საკუთარი ადგილი მიუჩინეს და თამაშიც იოლად მიიყვანეს გამარჯვებამდე. "ატლანტამ" ანგარიშით 110:97 გაიმარჯვა. ეს ჯორჯიული გუნდისთვის ამ სეზონში რიგით მეთვრამეტე მოგებული თამაშია. რაც შეეხება ზაზა ფაჩულიას, მაიკ ვუდსონმა ქართველ ცენტრს ამჯერად მხოლოდ 17 წუთი მისცა სათამაშოდ. დროის ამ მონაკვეთში ზაზამ საკუთარ აქტივში 4 ქულა, 2 მოხსნა, 2 ბლოკშოტი და 1 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. მას ერთხელაც არ დაუკარგავს ბურთი, ორივე საჯარიმო ზუსტად შეასრულა, თამაშიდან ნატყორცნი ორი ბურთიდან კი ერთი მოათავსა მეტოქის კალათში.

ატლანტელთა ლიდერები იყვნენ 24 ქულის მომგროვებელი ჯო ჯონსონი და ფაჩულიას კონკურენტი ალ ჰორფორდი (15 ქულა, 10 მოხსნა).

ისევე როგორც წინა რამდენიმე მატჩში, ვუდსონმა ძირითადის კალათბურთელებს დასვენების საშუალება მისცა და მხოლოდ მაშინ, როცა თამაშის ბედი თითქმის გადაწყვეტილი იყო, მოედანზე სათადარიგოები შეუშვა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი, ფაჩულიას 17 წუთზე მეტი არ არგუნა. "ქორების" ძირითადმა ცენტრმა ალ ჰორფორდმა მოედანზე 33 წუთი გაატარა.

მოიგო სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში "ატლანტას" კონკურენტმა "ორლანდომაც" და ცხრილში სტატუს კვო შენარჩუნდა. "ატლანტა" დივიზიონში მეორე, ხოლო აღმოსავლეთ კონფერენციაში მესამეა. მომდევნო მატჩს "ქორები" ატლანტაში, იუტელ "ჯაზმენებთან" ჩაატარებენ.

N12/89865-2
18.12.2009წ.

მოქ. კლავდია სამხარაძეს

მცხოვრები: ქ. თბილისი, ლესელიძის ქუჩა, ჩიხი 1, N4

შეტყობინება

(განმეორებითი)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 194-ე მუხლის შესაბამისად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მერიაში 2009 წლის 4 დეკემბერს შემოტანილია შპს "ლათა N"-ის დირექტორის თამარ ხულორდავას ადმინისტრაციული საჩივარი, ქ. თბილისის მერიის სსიპ-ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 7 სექტემბრის N01/1295 ბრძანებისა და N6/1304-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობის ბათილად ცნობის თაობაზე.

გაცნობებთ, რომ ზეპირი მოსმენა გაიამრთება ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის იურიდიულ სამსახურში (ჟ. შარტავას ქუჩა N7, II სართული, ოთახი N13; ტელ: 37.85.37.) **2009 წლის 29 დეკემბერს 13:00 საათზე.**

გთხოვთ, მობძანდეთ და წარმოადგინოთ თქვენს ხელთ არსებული საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა საჭირო დოკუმენტი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და წარმომადგენლის შემთხვევაში გთხოვთ, თან იქონიოთ კანონით დადგენილი წესით გაცემული რწმუნებულება.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 110-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს დაინტერესებული მხარის მონაწილეობის გარეშეც.

პატივისცემით,
სამართლებრივი აქტების მომზადებისა და
ექსპერტიზის განყოფილების უფროსი მალხაზ კუნელაური

საქართველო ქუთაისის მუნიციპალური წყალმომარაგების პროექტი

მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)
ხარჯმზომების შესყიდვა რეზერვუარებისა და სატუმბი სადგურებისათვის
N MCG/G/ICT/01-Kutaisi

წინამდებარე სატენდერო მოწვევა წარმოადგენს სატენდერო განცხადების გაგრძელებას ზემოხსენებულ პროექტზე, რომელიც გამოქვეყნდა 2008 წლის 18 აპრილს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ინტერნეტ გვერდზე და განახლდა 2009 წლის 1 ივნისს. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი არის ქუთაისის მუნიციპალური წყალმომარაგების პროექტის ერთ-ერთი თანა-დამფინანსებელი. აღნიშნული ტენდერი განხორციელდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის „შესყიდვების პოლიტიკისა და წესების" შესაბამისად, რამოდენიმე გამონაკლისის გარდა, რომელიც დადგენილია ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოსა (ემ-სი-ჯი) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის 2007 წლის 25 აპრილს გაფორმებულ ხელშეკრულებაში („ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება პარალელურ დაფინანსებაზე").

საგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც დადებულია 2007 წლის 26 აპრილს („საგრანტო ხელშეკრულება"), საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა (სმგფ), შემდგომში მოხსენებული როგორც „დამკვეთი", მიიღო გრანტი („ემ-სი-ჯი გრანტი") ფონდიდან - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს, და აპირებს გრანტის ნაწილით დააფინანსოს ქუთაისის მუნიციპალური წყალმომარაგების პროექტი (ხარჯმზომების შესყიდვა რეზერვუარებისა და სატუმბი სადგურებისათვის) შემდგომში მოხსენებული როგორც „პროექტი". ტენდერის პროცესის მართვასა და კონტრაქტის შესრულებას ახორციელებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

"დამკვეთი" იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით, რომელიც დაფინანსებული იქნება ემ-სი-ჯი-ს გრანტის ნაწილიდან და მოიცავს შემდეგს:

- ხარჯმზომების შესყიდვა რეზერვუარებისა და სატუმბი სადგურებისათვის

ტენდერი კონტრაქტზე, რომელიც ბანკის სესხის სახსრებით დაფინანსდება ღიაა ნებისმიერი ქვეყნის წარმომადგენელი ორგანიზაციებისათვის.

კონტრაქტის მისანიჭებლად კონკურსის მონაწილე უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთმოყვანილ კრიტერიუმებს და წარმოადგინოს დოკუმენტაცია შემდეგის დასასაბუთებლად:

(a) იმ შემთხვევაში თუ კონკურსის მონაწილე კონტრაქტის ფარგლებში გვთავაზობს საქონლის მოწოდებას, რომელსაც იგი არ აწარმოებს, კონკურსის მონაწილე სათანადოდ უნდა იქნას უფლებამოსილი საქონლის მწარმოებლის მიერ, იმისათვის რომ საქონელი მიაწოდოს შემსყიდველის ქვეყანას;

(b) კონკურსის მონაწილეს, საქონლის მწარმოებელთა და მომსახურების მომწოდებელთა ჩათვლით, შესაბამისი ფინანსური, ტექნიკური, და წარმოების საშუალებები და შესაძლებლობა უნდა გააჩნდეს კონტრაქტის შესასრულებლად;

(g) კონკურსის მონაწილეს ან მის აგენტს უნდა შესწევდეს უნარი განახორციელოს მომწოდებლის ტექმომსახურების, შეკეთებისა და სათადარიგო ნაწილების მარაგის შევსების მოვალეობები წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად;

(d) კონკურსის მონაწილე უნდა ფლობდეს I.S.O. 9001-2000 ან 14001 სერტიფიკატს (ან ექვივალენტურ ხარისხის მართვის სისტემის სერტიფიკატს);

საკონკურსო დოკუმენტაცია კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის აუნაზღაურებადი 200 ლარის (ან ექვივალენტი კონვერტირებად ვალუტაში, პლიუს კურიერის ხარჯები, თუ კონკურსანტს სურს, რომ დოკუმენტაცია მიწოდებულ იქნას კურიერის საშუალებით) გადახდისას. მოთხოვნის შემთხვევაში საკონკურსო დოკუმენტაცია მყისვე გაგზავნილ იქნება კურიერის საშუალებით, თუმცა დაკარგვის ან მიწოდების დაგვიანების შემთხვევაში პასუხისმგებლობა არ ეკისრება "დამკვეთს". შეძენილი საკონკურსო დოკუმენტაციის ასლი შეიძლება გაეგზავნოს კონკურსანტს ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

გადახდა იწარმოებს ქვემოთ მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე თანხის გადარიცხვის საშუალებით:

ბანკი რესპუბლიკა. გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი საქართველო
SWIFT: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with
Deutsche Bank Trust Company Americas, NY
SWIFT: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104
ა.შ.შ. დოლარის საბანკო ანგარიშის ნომერი: 341 800 01
ლარის საბანკო ანგარიშის ნომერი: 340 80001, კოდი # 220 101 757
ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
შესაბამისი მითითებით: **"მოწვევა სატენდერო პაკეტის შეძენაზე N MCG/G/ICT/01-Kutaisi"**

ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია არანაკლებ 10,000 (ათიათასი) აშშ დოლარისა.

წინასატენდერო შეხვედრა დაინტერესებული მონაწილეებისათვის დამატებითი განმარტებების მისაღებად ჩატარდება შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, 0112, დ. აღმაშენებლის გამზირი 150**, 2010 წლის 21 იანვარს, 11:00 საათზე.

საკონსურსო წინადადებები უნდა იქნას სათანადოდ შევსებული და მოწოდებული ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს 2010 წლის 2 თებერვლისა, 12:00 საათზე (ადგილობრივი დროით), სადაც საკონკურსო წინადადებები გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ამობეჭდილი და ელექტრონული (კომპაქტ დისკზე) სახით, იდენტური ვარიანტები. განფასება წარმოდგენილი უნდა იქნას Microsoft Excel 2003 ფორმატში, სხვა ნაწილები Microsoft Office Word 2003 ან უფრო ადრეული ვერსიების ფორმატში.

დაგვიანებული წინადადებები უარყოფილ იქნება და დაუბრუნდება წარმომდგენს გაუხსნელად.

პოტენციური კონკურსანტების აღრიცხვა, რომლებმაც შეისყიდეს სატენდერო დოკუმენტაცია იწარმოებს ქვემოთმოყვანილ მისამართზე.

კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია, აგრეთვე იხილონ და შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაცია შემდეგ მისამართზე:

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი:
ბ-ნი კონსტანტინე მგელაძე, აღმასრულებელი დირექტორი
მისამართი: ოთახი 413, მეოთხე სართული, დ. აღმაშენებლის გამზირი 150,
თბილისი 0112, საქართველო,
ტელ: +995-32-48-45-09/10/11/15
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge
2009 წლის 18 დეკემბერი

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 14 დეკემბრის N408/ო ბრძანების შესაბამისად მიმდინარეობს სსიპ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება "ლამპიონის" სალიკვიდაციო სამუშაოები. საინდეფიკაციო კოდი-206217725; მისამართი: ქ. თბილისი, ვარკეთილი-3, მე-3ა მ/რ, ტელ. 798640.

განცხადება ქვეყნდება დებიტორ-კრედიტორების ანგარიშების საბოლოო გარკვევის მიზნით. ასეთი დავალიანებების შემთხვევაში გთხოვთ, მიმდინარე წლის 25 დეკემბრამდე, მოგვაწოდოთ დასაბუთებული ინფორმაციები ზემოთ მითითებულ მისამართზე. მიუთითეთ თქვენი იურიდიული სტატუსი და რეკვიზიტები.

განცხადების მიღების დაწყების თარიღი: 2009 წლის 14 დეკემბერი, აუქციონის განცხადების მიღების დამთავრების თარიღი 2010 წლის 12 იანვრის 12 საათი. აუქციონის ჩატარების თარიღი 2010 წლის 12 იანვრის 12 საათი.

ბო თითქმის შაკია

ტროი მერფიმ ისტორიული მატჩი ჩაატარა

ზურაბ თალაკვაძე

დუაიტ ჰოვარდმა (12) კრის ბოში გადაკეტა

საინტერესოდ მიდის ზელიგის რეგულარული და თითქმის ყველა მატჩში ხდება ისეთი რამ, რაზეც ყურადღების გამახვილება ღირს. ამიტომ დღევანდელ საკალათბურთო მიმოხილვას ოდნავ განსხვავებულ ფორმატში შემოგთავაზებთ. იმედია, ეს სტილი თქვენს უკმაყოფილებას არ გამოიწვევს.

1. "დალასის" გერმანელმა მონსტრმა დირკ ნოვიცკიმ აჯობა "ოკლაჰომაში" იდენტურ პოზიციაზე მოთამაშე კევინ დიურანს. "თანდერის" ახალგაზრდა ლიდერმა თამაშიდან 18 სროლა შეასრულა და მხოლოდ 4 გამოიყენა. ამდენჯერვე სცადა ბედი დირკმაც და მხოლოდ ხუთჯერ ვერ ჩაუშვა ბურთი კალათში. ბოლო ათი წლის განმავლობაში ერთადერთხელ დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც მეტოქეთა სასტარტოს ფორვარდებმა ერთნაირი რაოდენობის სროლა შეასრულეს, ერთმა კი მეორეზე ცხრა შეცდომით მეტი დაუშვა. 2008 წლის 20 თებერვალს "ტორონტოსა" და "მეჯიქის" მატჩში კანადელთა კაპიტანმა კრის ბოშმა 16-ში 14, ხოლო ფლორიდელების თურქმა ფორვარდმა ჰედო თურქოღლუმ (რომელიც დღეს "ტორონტოშია") ამდენივე სროლიდან მხოლოდ 4 შეასრულა ზუსტად.

2. "ტორონტოსთან" მატჩში "ორლანდოს" ცენტრმა დუაიტ ჰოვარდმა 18 ქულა, 14 მოხსნა და 8 (!) დაფარება დააგროვა. შარშანდელი რეგულარულის დაწყებიდან, ჰოვარდმა უკვე მესამედ ჩაამთავრა რეგულარულის შეხვედრა, სულ მცირე, 15 ქულით, 10 მოხსნითა და 8 დაფარებით. ამ პერიოდში დუაიტის შედეგი არც ერთ მოთამაშეს არ გაუმეორებია. დუაიტმა ასევე შვიდიდან 6 სროლა გამოიყენა. ბოლოს 15 წლის წინ მოახერხა ერთმა მოთამაშემ შეხვედრის ზუსტი სროლების 85%-იანი მაჩვენებლით, 15 ქულით, 10 მოხსნითა და 8 დაფარებით დასრულება. 1994 წლის 11 ნოემბერს "დენვერის" ზაირელმა ცენტრმა დიკემბე მუტომბომ მატჩი 19 ქულით, 26 მოხსნით, 9 დაფარებითა და ასევე 7-დან 6 ზუსტი სროლით დაამთავრა.

3. ლიგის ისტორიაში პირველმა ლეგიონერმა ისრაელიდან, "საკრამენტოს" ფორვარდმა ომრი კასპიმ სასტარტო ხუთეულში პირველი გამოსვლა 22 ქულით აღნიშნა. ეს არის "საკრამენტოს" ისტორიაში სასტარტოს დებიუნტანტის მიერ ყველაზე უხვქულიანი შედეგის გამეორება. ამდენივე ქულა 1992 წელს "კლიპერსის" წინააღმდეგ შეხვედრაში რენდი ბრაუნმა მოიმკო. კასპი მაგარი ბიჭია...

4. "ვაშინგტონის" "დიდი სამეულის" (ანტუან ჯეიმისონი-გილბერტ არენასი-კეირონ ბატლერი) წევრებმა - ჯეიმისონმა და არენასმა მეთორმეტედ დაასრულეს შეხვედრა, სულ მცირე, 30-30 ქულით. გილბერტმა "საკრამენტოსთან" წაგებული მატჩი 33, ჯეიმისონმა კი 30 ქულით დაასრულა. სხვა გუნდებიდან 5-5 ასეთი შეხვედრა დაუგროვდათ "ლეიკერსის" კობი ბრაიანტსა და პო გასოლს და "ფინიქსის" სტივ ნეშსა და ამარე სტაუდმაიერს.

5. "შარლოტის" 101:98 დამარცხებაში "ინდიანას" მხრიდან ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა მძიმე ფორვარდმა ტროი მერფიმ. მან თამაშიდან 13-ში 10 სროლა გამოიყენა, პირადი სტატისტიკა კი 26 ქულითა და 15 მოხსნით შეავსო. მერფიმ მიმდინარე რეგულარულში ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლით (76.9) დაასრულა მატჩი, რომელშიც რომელიმე მოთამაშის ანგარიშზე, სულ მცირე, 25 ქულა და 15 მოხსნა იყო. "ინდიანას" ისტორიაში მერფიმდე 25-15-75%-იანი შეხვედრა ბოლოს ჩაატარა სტივ სტიპანოვიჩმა, რომელმაც 1987 წლის 20 თებერვალს მატჩი 30 ქულით, 15 მოხსნითა და ზუსტი სროლების 81.8%-იანი მაჩვენებლით ჩაამთავრა.

6. თავისთავად, ჰაილაითებში ლებრონ ჯეიმსიც უნდა მოხვედრილიყო. "ფილადელფიის" ძლევაში "მეფემ" ამჯერადაც უდიდესი როლი შეასრულა. ლებრონის ანგარიშზე 36 ქულა, 6 მოხსნა და 7 შედეგიანი გადაცემა იყო. ჯეიმსმა ზედიზედ მეათე მატჩი დაასრულა, სულ მცირე, 10 ქულით, 5 მოხსნითა და 5 ზუსტი პასით. ზელიგაში 2003/04 წლების რეგულარულში მისვლის შემდეგ ჯეიმსს უკვე მეოთხე ასეთი 10-მატჩიანი სერია აქვს. ამავე პერიოდში მთელ ლიგაში მხოლოდ ერთ მოთამაშეს ჰქონდა ასეთი სერია. 2004-ში "მინესოტას" ლიდერმა კევინ გარნეტმა, სულ მცირე, 10 ქულა, 5 მოხსნა და 5 შედეგიანი გადაცემა ზედიზედ 11 შეხვედრაში დააგროვა.

7. ლოს ანჯელესში მალე აღარავის გაახსენდება შაკილ ო`ნილი. ბუნებრივია - "ლეიკერსს" ხომ პო გასოლი ჰყავს, რომელმაც "მილუოკისთან" დამატებით დროში მოგებულ მატჩში გუნდს 26 ქულა და 22 მოხსნა შესძინა. ბოლოს "ლეიკერსს", სულ მცირე, 25 ქულა და 20 მოხსნა შაკმა მოუტანა, როდესაც 2004 წლის 21 მარტს... "მილუოკისთან" 31 ქულითა და 26 მოხსნით დაიქუხა. სხვათა შორის, ის მატჩიც დამატებით დროში დასრულდა, გამარჯვება "ლეიკერსს" დარჩა და, ამ შეხვედრის დარად, გადამწყვეტი სროლა კობი ბრაიანტმა გამოიყენა.

8. მიმდინარე სეზონში "ნიუ ორლეანის" მძიმე ფორვარდმა დევიდ უესტმა პირველად დაასრულა მატჩი, სულ მცირე, 30 ქულითა და 10 მოხსნით. "დეტროიტის" დაჩოქებაში უესტმა გუნდს 32 ქულა და 12 მოხსნა შესძინა. ამავე დროს, პირველი იანვრის მერე, დევიდის ანგარიშზე უკვე 8 ასეთი მატჩია. ამ შედეგით ის გაუთანაბრდა დირკ ნოვიცკის, "ოკლაჰომას" კევინ დიურანსა და ლებრონ ჯეიმსს. პირველ ადგილზე კი "ტორონტოს" კაპიტანი კრის ბოშია. მის ანგარიშზე 11 ასეთი სუპერმატჩია.

9. "კლიპერსმა" "მინესოტა" სტუმრად 25 ქულით დაამარცხა. მიმდინარე რეგულარულში "ანგელოზთა ქალაქის" გუნდმა უკვე მეორედ აჯობა მასპინძელს, სულ მცირე, 25 ქულით (პირველად 6 ნოემბერს მილუოკიში 118:90 მოიგო). 2009/10 წლის რეგულარულის დაწყებამდე "კლიპერსს" ასეთი სხვაობით თავის 39-წლიან ისტორიაში მხოლოდ ხუთი მატჩი ჰქონდა მოგებული.

10. "ჰიუსტონის" 111:101 დამარცხებაში კარმელო ენტონიმ უდიდესი როლი შეასრულა. ლიგის საუკეთესო სნაიპერმა მატჩი 38 ქულითა და 9 მოხსნით დაასრულა. მელომ ასევე 20 საჯარიმოდან 19 გამოიყენა და "ნაგეტსის" ისტორიაში ახალი რეკორდი დაამყარა. მანამდე "დენვერის" არც ერთ მოთამაშეს არ დაუსრულებია მატჩი 20 საჯარიმოს შესრულების მერე 95%-იანი მაჩვენებლით.

11. "მემფისის" წინააღმდეგ "ატლანტას" ერთ-ერთმა ლიდერმა ჯო ჯონსონმა 26 ქულა და 8 მოხსნა მხოლოდ 29 წუთში დააგროვა. ჯომ 16 სროლიდან 10 გამოიყენა და არც ერთი პერსონალური შენიშვნა არ მიუღია. "ჰოუქსის" ისტორიაში მანამდე მხოლოდ ერთმა მოთამაშემ შეძლო, სულ მცირე, 25 ქულისა და 8 მოხსნის 30 წუთზე ნაკლებში გაკეთება. 1995 წლის 8 მარტს კენ ნორმანმა "დენვერთან" მოედანზე მხოლოდ 26 წუთი დაჰყო, მაგრამ გუნდს 33 ქულა და 8 მოხსნა მოუტანა.

12. "ნიუ ჯერსი" კვლავ დამარცხდა და 26 შეხვედრიდან მხოლოდ ორი გამარჯვებით ლიგაში ბოლო ადგილზეა. ისტრუზერფორდელთა ლიდერმა, ცენტრმა ბრუკ ლოპესმა მატჩი 23 ქულითა და 10 მოხსნით დაასრულა. ლოპესმა უკვე მეთერთმეტედ დაამთავრა წაგებული მატჩი, სულ მცირე, 20 ქულითა და 10 მოხსნით. მეორე ადგილზე ამ საპატიო სიაში კრის ბოშია, რომელსაც ათი ასეთი დაპირისპირება დაუგროვდა.

NBA. რეგულარული

ატლანტა-მემფისი	110:97
ინდიანა-შარლოტი	101:98
ორლანდო-ტორონტო	118:99
ფილადელფია-**კლივლენდი**	101:108
ნიუ ჯერსი-**იუტა**	92:108
მინესოტა-**კლიპერსი**	95:120
მილუოკი-**ლეიკერსი**	106:107 ო.ტ.
ნიუ ორლეანი-დეტროიტი	95:87
საკრამენტო-ვაშინგტონი	112:109
დენვერი-ჰიუსტონი	111:101
ოკლაჰომა-**დალასი**	86:100
გოლდენ სტეიტი-**სან ანტონიო**	91:103

სატურნირო მდგომარეობა

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

1. ბოსტონი	**20:4 (83.3%)**
2. ტორონტო	11:17 (39.3)
3. ნიუ იორკი	8:16 (33.3)
4. ფილადელფია	6:19 (24.0)
5. ნიუ ჯერსი	2:24 (0.77)

ცენტრალური დივიზიონი

1. კლივლენდი	**19:7 (73.1)**
2. მილუოკი	11:12 (47.8)
3. დეტროიტი	11:14 (44.0)
4. ინდიანა	9:14 (44.4)
5. ჩიკაგო	8:15 (34.8)

სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონი

1. ორლანდო	**19:6 (76.0)**
2. ატლანტა	18:6 (75.0)
3. მაიამი	12:11 (52.2)
4. შარლოტი	10:14 (41.7)
5. ვაშინგტონი	7:16 (30.7)

დასავლეთის კონფერენცია

სამხრეთ-დასავლეთის დივიზიონი

1. დალასი	**19:7 (73.1)**
2. სან ანტონიო	13:10 (56.5)
3. ჰიუსტონი	14:11 (56.0)
4. ნიუ ორლეანი	11:13 (45.8)
5. მემფისი	10:15 (40.0)

ჩრდილო-დასავლეთის დივიზიონი

1. დენვერი	**19:7 (73.1)**
2. იუტა	15:10 (60.0)
3. პორტლენდი	15:11 (57.7)
4. ოკლაჰომა	12:12 (50.0)
5. მინესოტა	4:22 (15.4)

წყნარი ოკეანის დივიზიონი

1. ლეიკერსი	**20:4 (83.3)**
2. ფინიქსი	17:8 (68.0)
3. საკრამენტო	11:13 (45.8)
4. კლიპერსი	11:13 (45.8)
5. გოლდენ სტეიტი	7:18 (28.0)

ყოველ ოთხშაბათს
"24საათის" ახალი ჩანართი
"ავტოპანორამა"
ავტოინდუსტრიის სიახლეები, ავტობაზარი, ავტოსპორტი, ავტოწარმოების ისტორია ყველაფერი ავტომობილის შესახებ

თვალის მიკროქირურგიის
ჯავრიშვილის
კლინიკა
"ოფთალმიჯი"
ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით და ერთი მოძრავი საოპერაციო ბლოკით
სიახლე!
მნიშვნელოვანი ფასდაკლება
კატარაქტის ოპერაციაზე
ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80